

[ინგლისური ორიგინალი გავრცელებულია
2005 წლის 23 ნოემბერს 00:01 GMT]

საჯარო

amnesty international

საქართველო:

წამება და სასტიკი მოპყრობა
ვარდების რევოლუციის შემდეგაც
კვლავ პრობლემად რჩება



2005 ნოემბერი
AI Index: EUR 56/001/2005

INTERNATIONAL SECRETARIAT 1 EASTON STREET LONDON WC1X 0DW UNITED KINGDOM

amnesty international

საქართველო - წამება და სასტიკი მოპყრობა – “ვარდების რევოლუციის” შემდეგაც პრობლემად რჩება

2005 წლის ნოემბერი

შინაარსი

AI Index: EUR 56/001/2005

როდესაც 2003 წლის ნოემბრის “ვარდების რევოლუციის” შემდეგ ხელისუფლების სათავეში ახალი მთავრობა მოვიდა, მან შემკვიდრებაში მიიღო სისტემა, რომელშიც წამება და სასტიკი მოპყრობა ფართოდ იყო გავრცელებული, ხოლო ამ დანაშაულის ჩამდენნი, როგორც წესი, დაუსჯელნი რჩებოდნენ. მთავრობის შეცვლის შემდგომ რამდენიმე თვის განმავლობაში მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა; თუმცა გასული წლის მეორე ნახევარში მთავრობამ აღიარა წამებისა და სასტიკი მოპყრობის საკითხის მოგვარების აუცილებლობა.

ამჟამად წამებისა და სასტიკი მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლა მთავრობის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავია ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. უკანასკნელ რამდენიმე თვის მანძილზე საქართველოს ხელისუფლებამ, წამებისა და სასტიკი მოპყრობის ფაქტების ამსახველი ანგარიშების პასუხად, წამოიწყო ან განახორციელა გარკვეული ღონისძიებები. ესენი მოიცავდა საკანონმდებლო ცვლილებებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ დაკავების ადგილების საფუძვლიანი მონიტორინგს, მათ შორის სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) ეგიდით, ხოლო “ვარდების რევოლუციის” შემდეგ ათმა პოლიციელმა მიიღო თავისუფლების აღკვეთის განაჩენები დანაშაულებისთვის, რაც გამოიხატა წამებასა და სასტიკი მოპყრობაში.

მიუხედავად ყოველივე ამისა, საერთაშორისო ამნისტია კვლავაც იღებს ცნობებს საქართველოში წამებისა და სასტიკი მოპყრობის შესახებ. ბევრი შემთხვევა არ ხმაურდება, რადგან პოლიცია ახერხებს თავისი დანაშაულის დაფარვას, ხოლო დაზარალებული დაკავებულები (პატიმრები) შესაძლო რეპრესიების შიშით ერიდებიან ჩივილსა თუ დამნაშავეთა დასახელებას.

წამებასა და სასტიკეში შემჩნეულ დამნაშავეთა დაუსჯელობა კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება. საერთაშორისო ამნისტია შეშფოთებულია იმის გამო, რომ პროკურატურა ყველა პოტენციური წამებისა ან სასტიკი მოპყრობის შემთხვევებთან დაკავშირებით სისტემატურად არ აღძრავდა საგამომძიებრო საქმეებს; ხოლო პროკურატურის მიერ აღძრულ ათობით საქმეში დამნაშავეებმა პასუხი არ აგეს და დაუსჯელები დარჩნენ. წინამდებარე ანგარიშში მოყვანილი მაგალითები აჩვენებს, რომ წამების ან სასტიკი მოპყრობის შესახებ ცნობების საფუძველზე ჩატარებული გამოძიება ხშირად არ იყო დროული, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი.

წამებისა და სასტიკი მოპყრობის საწინააღმდეგო პრევენციული სამართლებრივი ღონისძიებების დანერგვა სერიოზულ ხარვეზებს შეიცავდა.

საერთაშორისო ამნისტიის მიერ ვარდების რევოლუციის შემდგომ პერიოდში მიღებული ანგარიშების თანახმად, დაკავებულთა წამებისა და მათ მიმართ სასტიკი მოპყრობის მეთოდები მოიცავდა ელექტროშოკის გამოყენებას, დაკავებულთა თავზე ცელოფანის პარკის ჩამოცმას, დაკავებულის ორ მაგიდას შორის მოთავსებულ ძელზე ჩამოკიდებას, სიგარეტითა და სანთლით დამწვრობის მიყენებას, დაკავებულის პირში

იარაღის ღულის მოთავსებას და გასროლით დამუქრებას, დაკავებულის ოჯახის წევრთა ცემის მუქარას, დაკავებულის პირის ნაჭრის ალიკაპით დახშობას, რომ ვერ იყვიროს, ხელკეპით, იარაღის კონდახითა და ფეხით ცემას.

წინამდებარე ანგარიშის მიზანია აღბეჭდოს წამებასა და სასტიკ მოპყრობასთან მიმართებაში არსებული მდგომარეობა და გამოავლინოს არსებული დადებითი და უარყოფითი ტენდენციები. ანგარიშის ბოლო ნაწილში მოცემულია რეკომენდაციები, რომელთა მიზანია ხელი შეუწყოს წამებისა და სასტიკი მოპყრობის საწინააღმდეგო სახელმწიფო პროგრამების ეფექტურობის გაზრდას.

შენიშვნა: წინამდებარე ანგარიშის ტექსტზე მუშაობა დასრულდა 2005 წლის 20 ნოემბერს.

KEYWORDS:

წინამდებარე ტექსტი აჯამებს შინაარსს 92 გვერდიანი (20,850 სიტყვიანი) დოკუმენტისა: 'საქართველო - წამება და სასტიკი მოპყრობა - "ვარდების რევოლუციის" შემდეგაც კვლავ პრობლემად რჩება' (AI Index: EUR 56/001/2005), რომელიც საერთაშორისო ამნისტიამ გამოსცა 2005 წლის ნოემბერში. ამ გამოცემასთან დაკავშირებული დეტალების დაზუსტებისა ან მასთან დაკავშირებული რაიმე ქმედების მსურველებს ვურჩევთ იხილონ სრული დოკუმენტი. ამ თემაზე და ასევე სხვა საკითხებზე ჩვენი მასალების ფართო არჩევანი მოცემულია ვებ-გვერდზე <http://www.amnesty.org>, ხოლო საერთაშორისო ამნისტიის ახალი ამბების რელიზების მიღება შესაძლებელია ელექტრონული ფოსტით:

http://www.amnesty.org/email/email_updates.html

INTERNATIONAL SECRETARIAT, 1 EASTON STREET, LONDON WC1X 0DW, UNITED KINGDOM

სარჩევი

შესავალი	1
წამება – სასტიკი მოპყრობა: საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო სტანდარტები	4
<i>რა არის წამება და რა არის სასტიკი მოპყრობა?</i>	4
<i>წამებისა და სასტიკი მოპყრობის აკრძალვა საერთაშორისო სამართალში</i>	5
“გარდების რეგულაციის” შემდეგ	8
<i>წამების და სასტიკი მოპყრობის შემთხვევების მოხშირება</i>	8
<i>მთავრობის მიერ წამების წინააღმდეგ მიღებული ზომები – ახალი ეპოქის დასაწყისი?</i>	9
მეტია გასაკეთებელი წამებისა და სასტიკი მოპყრობის აღმოსაფხვრელად	13
<i>შემთხვევების დღის სინათლეზე გამოტანა</i>	16
<i>ჯერ კიდევ ბევრი შემთხვევა არ ფიქსირდება</i>	18
<i>სასასტიკისგან დაცვის სამართლებრივი გარანტიები და მათი განხორციელება</i>	28
<i>ეროვნული კანონმდებლობა წამებისა და სასტიკი მოპყრობის შესახებ</i>	29
<i>დაპატიმრება</i>	31
<i>კონტაქტი გარე სამყაროსთან და იურიდიული კონსულტაცია</i>	32
<i>სამედიცინო შემოწმება</i>	34
<i>დაკითხვა</i>	37
<i>საპროცესო გარიგება</i>	38
<i>საქმის წინასწარი განხილვა და სასამართლო პროცესი</i>	39
<i>მოწმეები</i>	41
<i>დამნაშავეთა გასამართლება</i>	42
<i>გამოძიების ჩატარება დროულად, მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად</i>	45
<i>საგამოძიებო უნარების სრულყოფა და პროცედურების დაცვა</i>	55
<i>ექვმიტანილ პირთა თანამდებობრივი უფლებამოსილების შეჩერება</i>	
<i>გამოძიების დასრულებამდე</i>	56
<i>სასჯელის სიმძიმის შესაბამისობა დანაშაულის სიმძიმესთან</i>	61
<i>თანამდებობაზე არ აღდგენა</i>	61
<i>წამების დანაშაულის ხანდაზმულობის შეზღუდვის გაუქმება</i>	62
<i>რეპარაცია</i>	62
<i>გამოძიების, სასამართლოს და პროკურატურის მონიტორინგის მექანიზმის შექმნა</i>	64
რეკომენდაციები	65
<i>საქართველოს ხელისუფლებას</i>	65
<i>საერთაშორისო თანამეგობრობას</i>	69

შესავალი

ამჟამად წამებისა და სასტიკი მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლა ახალი მთავრობის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავია ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. მავდროულად, სწორედ ეს პრობლემა, 1991 წელს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოიპოვების დროიდან მოყოლებული, საერთაშორისო თანამეგობრობისა და ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების, მათ შორის საერთაშორისო ამნისტიის, ყურადღების ცენტრში იმყოფება.

საერთაშორისო ამნისტია აცნობიერებს, რომ სახელმწიფოს ჰქონდა და მას კვლავაც აქვს დასაძლვეი მნიშვნელოვანი დაბრკოლებები, ვიდრე ისეთი სისტემის ჩამოყალიბებას მოახერხებდეს, რომელიც საბოლოოდ აღმოფხვრის წამებასა და სასტიკ მოპყრობას. როდესაც 2003 წლის ნოემბრის “ვარდების რევოლუციის” შედეგად ხელისუფლების სათავეში ახალი მთავრობა მოვიდა, მან მემკვიდრეობაში მიიღო სისტემა, რომელშიც წამება და სასტიკი მოპყრობა ფართოდ იყო გავრცელებული, ხოლო ამ დანაშაულის ჩამდენნი, როგორც წესი, დაუსჯელნი რჩებოდნენ. საბჭოთა პერიოდის მსგავსად, როდესაც დანაშაულის აღიარება “მტკიცებულებების მეფედ” ითვლებოდა (და ხშირად ერთადერთი მტკიცებულებაც იყო), ჩვეულებრივი ამბავი იყო რომ პოლიციელები წამების გამოყენებით გამოძალავდნენ ბრალდებულს “აღიარებას” და ბრალდებისთვის საჭირო ცნობებს, ხოლო სისხლის სამართლის განაჩენი კი ასეთ “მტკიცებულებას” ეყრდნობოდა.

2002 წლის მარტში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) ადამიანის უფლებათა კომიტეტმა განიხილა საქართველოს მეორე პერიოდული ანგარიში ქვეყნის მიერ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო კონვენციით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების თაობაზე. კომიტეტმა გამოთქვა შეშფოთება “სამართალდამცავთა და სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების თანამშრომელთა მიერ პატიმრების ფართოდ გავრცელებული და რეგულარული წამების, მათდამი სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის ფართოდ გავრცელების შესახებ.”¹

2004 წლის მეორე ნახევრიდან მოყოლებული მთავრობის მაღალი თანამდებობის პირებმა არაერთგზის საჯაროდ აღიარეს წამებისა და სასტიკი მოპყრობის პრობლემა და გამოხატეს ამ მოვლენასთან ბრძოლის მზადყოფნა.

2005 წლის თებერვალში გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა წამებისა და სხვა სასტიკი, არაჰუმანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა ან სასჯელის შესახებ (სპეციალური მომხსენებელი წამების თაობაზე), მანფრედ ნოვაკმა განახორციელა ფაქტების მოძიებელი მისია საქართველოში და 16 მარტს გამოაქვეყნა რეკომენდაციების ნუსხა საქართველოს ხელისუფლებისათვის, მიმართული ქვეყანაში წამებისა და სასტიკი მოპყრობის აღმოსაფხვრელად.² საერთაშორისო ამნისტია მოუწოდებს ხელისუფლებას სასწრაფოდ შეასრულოს სპეციალური მომხსენებლის მიერ შეთავაზებული რეკომენდაციები. წინამდებარე ანგარიშში განხილულ საკითხებთან დაკავშირებული სპეციალური მომხსენებლისა და სხვა შესაბამისი საერთაშორისო სტრუქტურების საკვანძო რეკომენდაციები მოყვანილია წინგარიშის შესაბამის თავებში.

¹ საბოლოო დასკვნები საქართველოს მეორე პერიოდულ ანგარიშზე, გაეროს დოკუმენტები CCPR/CO/74/GEO, 2002 წლის 19 აპრილი.

² წამება და სხვა სასტიკი, არაჰუმანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა ან დასჯა, გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის სპეციალური მომხსენებლის, მანფრედ ნოვაკის წინასწარი შენიშვნები, საქართველოს მისია, გაეროს დოკუმენტები E/CN.4/2005/62/Add.3, 2005 წლის 16 მარტი.

უკანასკნელი რამდენიმე თვის მანძილზე საქართველოს ხელისუფლებამ, წამებისა და სასტიკ მოპყრობის ფაქტების ამსახველი ანგარიშების პასუხად, წამოიწყო ან განახორციელა გარკვეული ღონისძიებები. ესენი მოიცავდა საკანონმდებლო ცვლილებებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ დაკავების ადგილების საფუძვლიან მონიტორინგს, მათ შორის სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) ეგიდით, ხოლო “ვარდების რევოლუციის” შემდეგ ათმა პოლიციელმა მიიღო თავისუფლების აღკვეთის განაჩენები დანაშაულებისთვის, რომლებიც უკავშირდებოდა წამებასა და სასტიკ მოპყრობას.³

მიუხედავად ყოველივე ამისა, საერთაშორისო ამნისტია კვლავაც იღებს ცნობებს საქართველოში წამებისა და სასტიკი მოპყრობის ფაქტების შესახებ. ბევრი შემთხვევა არ ხმაურდება, რადგან პოლიცია ახერხებს თავისი დანაშაულის დაფარვას, ხოლო დაზარალებული დაკავებულები (პატიმრები) შესაძლო რეპრესიების შიშით ერიდებიან ჩივილსა თუ დამნაშავეთა დასახელებას. წამებასა და სასტიკეში შემჩნეულ დამნაშავეთა დაუსჯელობა კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება. საერთაშორისო ამნისტია შეშფოთებულია იმის გამო, რომ პროკურატურა ყველა პოტენციური წამებისა ან სასტიკი მოპყრობის შემთხვევასთან დაკავშირებით არ აღძრავდა სისტემატიური წესით საგამომძიებრო საქმეს; ხოლო პროკურატურის მიერ აღძრულ ათობით საქმეში დამნაშავეებმა პასუხი არ აგეს და დაუსჯელები დარჩნენ. წინამდებარე ანგარიშში მოყვანილი მაგალითები აჩვენებს, რომ წამების ან სასტიკი მოპყრობის შესახებ ცნობების საფუძველზე ჩატარებული გამოძიება ხშირად არ იყო დროული, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი.

ანგარიშის პირველ ნაწილში განისაზღვრულია< თუ რა არის წამება და სასტიკი მოპყრობა, და ჩამოთვლილია იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ადამიანის უფლებათა სტანდარტები, რომლებიც მიუხედავებ საქართველოს ვითარებას. მეორე ნაწილში მოკლედ განხილულია 2003 წლის ნოემბრის “ვარდების რევოლუციის” შემდეგ წამებასა და სასტიკ მოპყრობასთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენები. მესამე ნაწილი განიხილავს ისეთ რამდენიმე სფეროს, რომლებშიც განსაკუთრებით საჭიროა სახელმწიფოს მიერ შემდგომი ღონისძიებების გატარება, რათა შეიქმნას ეფექტური სისტემა წამებისა და სასტიკი მოპყრობის აღმოსაფხვრელად. ანგარიშში მოცემულია მთავრობის მიერ შესაბამის სფეროებში განხორციელებული ღონისძიებების მაგალითები და განსაზღვრულია ის დარჩენილი სირთულეები, რომლებიც წამებისა და სასტიკი მოპყრობის აღმოსაფხვრას უშლის ხელს. ანგარიშის ბოლო ნაწილში მოცემულია რეკომენდაციები, რომელთა მიზანია ხელი შეუწყოს წამებისა და სასტიკი მოპყრობის საწინააღმდეგო სახელმწიფო პროგრამების ეფექტურობის გაზრდას.

ანგარიშში მოყვანილი ინფორმაცია ძირითადად ეყრდნობა საქართველოში განხორციელებული ფაქტების მოსაძიებელი სამი მისიის (2004 წლის 5-20 მარტი, 2005 წლის 25 მარტი - 5 ივნისი, და 2005 წლის 20-28 ოქტომბერი) ფარგლებში აღებულ ინტერვიუებსა და მოპოვებულ მასალებს. კვლევა აღნიშნულ საკითხებზე ჩატარდა თბილისსა და ზუგდიდში. ფაქტების მოძიების პროცესში ინფორმაციის წყაროებს წარმოადგენდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები და შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, გენერალური პროკურატურის, ეროვნული უშიშროების საბჭოს, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები; სამთავრობათაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, იურისტები, ჟურნალისტები და დამოუკიდებელი ექსპერტები. გარდა ამისა, საერთაშორისო ამნისტიის წარმომადგენელმა მოინახულა რამდენიმე დაკავებული - თბილისის № 1 და ზუგდიდის № 4

³ საერთაშორისო ამნისტიამ ინფორმაცია მიიღო გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის განყოფილებიდან წერილობით, 2005 წლის 10 ნოემბერს.

წინასაგამოძიებო იზოლაცორებში, რომლებმაც. მათი ცნობით, განიცადეს წამება ან სასტიკი მოპყრობა. ორგანიზაციამ ასევე მოინახულა თბილისში დიღმის № 2 წინასწარი დაკავების დაწესებულება. დამატებით, წინამდებარე ანგარიში შეიცავს ინფორმაციას, რომელიც მოპოვებულია სახელმწიფო მოხელეებთან, სამთავრობათაშორისი ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, იურისტებთან, დამოუკიდებელ ექსპერტებთან მიწერმოწერის შედეგად, და ასევე მასმედით გავრცელებულ ცნობებს.

წამებისა და სასტიკი მოპყრობის გარდა, საქართველოში საერთაშორისო ამნისტიას შემოფოთებას ზოგი სხვა საკითხიც იწვევს, მაგრამ ესენი – ანგარიშის გამოიხილვის გამო – მხოლოდ მოკლედ განიხილება. მას შემდეგ, რაც ახალი ხელისუფლება მოვიდა სახელმწიფოს სათავეში, საერთაშორისო ამნისტიას სულ უფრო მეტად აშფოთებს ის ზეწოლა, რომელსაც პროკურატურა და სხვა სამთავრობო სტრუქტურები ახორციელებენ სასამართლოებზე; იგი აგრეთვე შემოფოთებულია მთავრობის მხრიდან მედიის, განსაკუთრებით კი ტელევიზიის, თავისუფლების ხელყოფის მცდელობების შესახებ მოსული ცნობების გამო. ამას ემატება მინიშნებები, რომ პოლიცია ხშირ შემთხვევაში აყაღებს (თხზავს) სისხლის სამართლის საქმეებს, განსაკუთრებით ნარკოტიკებთან დაკავშირებული ცრუ ბრალდებების მეშვეობით. გარდა ამისა, საერთაშორისო ამნისტიამ მოუწოდა ხელისუფლებას უზრუნველყოს საქართველოს მიერ არ გაცემის (non-refoulement) პრინციპის პატივისცემა და არ მოახდინოს ან არ შეუწყოს ხელი ისეთი ადამიანების სხვა სახელმწიფოებისთვის გადაცემას (ექსტრადიციას), თუკი მათ ემუქრებათ ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევა, მაგალითად წამება, წარმომავლობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში.⁴ საერთაშორისო ამნისტია ასევე შემოფოთებულია იმით, რომ თუმცა გასული წლის განმავლობაში რელიგიურ უმცირესობებზე თავდასხმის საქმეში დამნაშავეთაგან რამოდენიმე ავო პასუხი, ასობით მათგანი ჯერაც დაუსჯელია. მეორეს მხრივ, მსჯავრდებულთაგან ზოგიერთმა არ ავო პასუხი ყველა იმ თავდასხმაზე, რომელშიც იღებდა მონაწილეობას.⁵ ჩვენი ორგანიზაცია ასევე მოუწოდებს ხელისუფლებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს დაკავების ადგილებში არსებული პირობების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას.⁶ რიგი საკითხებისა

⁴ ბოლო წლებში საერთაშორისო ამნისტია განსაკუთრებით შემოფოთებულია რამდენიმე ჩეჩენი პიროვნების გამო, რომლებიც საქართველოდან რუსეთში იყვნენ ექსტრადირებული “ტერორიზმის” ბრალდებით და ასევე ერთი ქურთი პირის გამო, რომელიც ამჟამად თბილისშია დაკავებული და მოთხოვნილია თურქეთის ხელისუფლების მიერ, რადგან ის, სავარაუდოდ, ქურთების მუშათა პარტიის წევრია.

⁵ დეტალებისთვის იხილეთ საერთაშორისო ამნისტიის ბიულეტენი – შემოფოთებები ევროპისა და ცენტრალური აზიის შესახებ – რომელიც წელიწადში ორჯერ გამოდის (AI Index: EUR 01/012/2005). დეტალებისთვის იხილეთ 2000-დან 2004 წლების შესახებ საერთაშორისო ამნისტიის ყოველწლიური ანგარიშის საქართველოს ნაწილი. ასევე, ტექსტები საერთაშორისო ამნისტიის ბიულეტენიდან – შემოფოთებები ევროპისა და ცენტრალური აზიის შესახებ – რომელიც წელიწადში ორჯერ გამოდის, 1999 წლის ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით (AI Index: EUR 01/01/00) და 2005 წლის იანვრიდან ივნისამდე (AI Index: EUR 01/012/2005).

⁶ ამ ანგარიშის მოსამზადებლად ჩატარებული კვლევის ფარგლებში საერთაშორისო ამნისტიამ 2005 წლის 1 ივნისს მოინახულა თბილისში დიღმის წინასწარი დაკავების დაწესებულება და დააფიქსირა პირობები, რომლებიც აშკარად არ შეესაბამებოდა სასჯელაღსრულების პირობებისა და სტანდარტების საერთაშორისო ნორმებს. მაგალითად, საკნები იყო ბნელი, არანაირი ხელოვნური განათებით და თითქმის არანაირი ბუნებრივი შუქით, რადგან ფანჯრებს ფარავდა მეტალის ფირფიტები, რომლებსაც სულ მცირეოდენი პატარა ნახვრეტები ჰქონდა. საკნებში არ იყო საკმარისი სუფთა ჰაერი და ზოგიერთ საკანში ძირს ეყარა ნაგავი. შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის

გადაუწყვეტელი რჩება საერთაშორისოდ არ-აღიარებულ, ფაქტობრივად გამოყოფილ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან დაკავშირებით.

წამება – სასტიკი მოპყრობა: საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო სტანდარტები

რა არის წამება და რა არის სასტიკი მოპყრობა?

გაეროს კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაჰუმანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის წინააღმდეგ (“კონვენცია წამების წინააღმდეგ”), რომლის მონაწილე სახელმწიფოთა შორის არის საქართველოც, პირდაპირ ეხება საჯარო მოხელეთა მხრიდან განხორციელებულ წამებასა და სხვა სასტიკ, არაჰუმანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას.⁷ მუხლი 1 შემდეგნაირად განსაზღვრავს წამებას:

“ამ კონვენციის მიზნებისათვის, ტერმინი „წამება“ ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც ადამიანს განზრახ მიეყენა მძიმე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ტკივილი ან ტანჯვა იმ მიზნით, რომ - მისგან ან მესამე პირისაგან მიღებულ იქნას ინფორმაცია ან დანაშაულის აღიარება; მოხდეს მისი დასჯა იმ ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა ან რომლის ჩადენაში იგი ეჭვმიტანილია; ან, მისი ან მესამე პირის დაშინება ან იძულება; ან, ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, - როცა ასეთი ტკივილი ან ტანჯვა მიყენებულია თანამდებობის პირის მიერ ან მისი წაქეზებით თუ თანხმობით, ან უსიტყვო დაშვებით, ან თუ ეს ხორციელდება სხვა პირის მიერ, რომელიც ოფიციალური პირის სტატუსით მოქმედებდა.”

ტერმინი “სასტიკი, არაჰუმანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა” გამოიყენება ისეთი ქმედების შესაფასებლად, როგორცაა ფიზიკური ან ფსიქოლოგიური შეურაცხყოფა, ბნელ საკანში გამოკეტვა, დაკავებულის ძირითადი ადამიანური მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ან შეურაცხმყოფელი ზემოქმედების სხვა ფორმები. წამება ამ სპექტრის ყველაზე უკიდურეს და თანამიმდევრულ ფორმას წარმოადგენს. ამგვარად, ხშირად შეუძლებელია მკაფიო ხაზის გავლება წამებისადმი გატოლებულ დანაშაულსა და სასტიკ, არაჰუმანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას შორის. ამ ანგარიშის ტექსტში ტერმინი “სასტიკი მოპყრობა” გამოიყენება როგორც “სასტიკი, არაჰუმანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის” შემოკლებული ექვივალენტი.

წინამდებარე ანგარიშში მოყვანილი რამდენიმე შემთხვევა იმდენად ზღვარსგასულია, რომ უპირობოდ უტოლდება წამებას. მაგალითად, როდესაც გენო ქულავა (იხ. ქვემოთ), სავარაუდოდ, მაგიდებს შორის ძელზე ჩამოკიდეს, სცემეს წიხლითა და ხელკეტებით, დააგდეს იატაკზე, და ხელი სანთლის ცეცხლზე დაუწვეს, აქ არანაირი ეჭვი არ არის ის, რომ რაც მან განიცადა “წამების საწინააღმდეგო კონვენციის” განმარტებას ცალსახად შეესაბამება. თუმცა, განმარტების საკითხს რომ არც მივაქციოთ ყურადღება, ამგვარი მოპყრობა უდაოდ არღვევს საქართველოს მიერ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს.

თანამშრომლებმა აღიარეს, რომ ეს პირობები პრობლემატურია და აღნიშნეს, რომ ეძებენ დაფინანსებას დაწესებულების გასარემონტებლად.

⁷ საქართველომ კონვენციის რატიფიკაცია მოახდინა 1994 წელს.

წამებისა და სასტიკი მოპყრობის აკრძალვა საერთაშორისო სამართალში

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ერთმნიშვნელოვნად კრძალავს წამებისა და სასტიკი მოპყრობის ყველა ფორმას. ამ აკრძალვას შეიცავს არაერთი ხელშეკრულება და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი, ისევე, როგორც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი, რომელიც სავალდებულოა ყველა სახელმწიფოსათვის იმის მიუხედავად, არიან თუ არა ისინი ამ აკრძალვის შემცველი სპეციალური შეთანხმებების მონაწილე მხარეები. წამების აკრძალვა აკისრებს სახელმწიფოებს ვალდებულებას *erga omnes*, ე.ი. ვალდებულებას საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა სხვა წევრის წინაშე, რასაც შესაბამისი უფლებაც შეეფარდება⁸. წამებისა და სხვა სასტიკი მოპყრობის აკრძალვა არის *jus cogens* (სავალდებულო) ნორმა და იგი ეხება ყველა სახელმწიფოს.⁹ ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ საკითხში არ დაიშვება არანაირი გამონაკლისი და სახელმწიფოებს არ შეუძლიათ საგანგებო მდგომარეობის პირობებშიც კი ან რაიმე სხვა მიზეზის გამო გადაუხვიონ ამ ვალდებულების აღსრულებას.¹⁰ საქართველო არის ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ხელშეკრულების მონაწილე მხარე და შესაბამისად, ვალდებულია დაემორჩილოს ამ ხელშეკრულებების მოთხოვნებს.

გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წელს მიღებული “ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის” მე-5-ე მუხლმა დააფიქსირა სახელმწიფოთა შორის არსებული კონსენსუსი იმის მიმართ, რომ არავინ არ უნდა განდევნოს წამების ან სასტიკი მოპყრობის მსხვერპლი. 1948 წლის შემდგომ მიღებულ იქნა მრავალი საერთაშორისო და რეგიონული შეთანხმება და ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტი, რომლებიც შეიცავს ამგვარ აკრძალვას. ეს ინსტრუმენტები მოიცავს იურიდიულად სავალდებულო ხელშეკრულებებს და კონვენციებს, და ასევე დეკლარაციებს და მსგავს ინსტრუმენტებს, რომლებიც არ არის სამართლებრივი თვალსაზრისით ისევე სავალდებულო, როგორც ხელშეკრულებები, მაგრამ რადგან ისინი მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის ან გაეროს სხვა ორგანოების მიერ, მათ აქვთ საგრძნობი ძალა და ამდენად წარმოადგენენ დიდი ავტორიტეტის მქონე შეთანხმებას სახელმწიფოთა შორის ამ დოკუმენტებში ასახული სტანდარტების თაობაზე. 1966 წელს მიღებული “სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის” (ICCPR) მე-7-ე მუხლი კრძალავს წამებასა და სასტიკი მოპყრობას. ამ პაქტის საფუძველზე ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფი – გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, რათა ზედამხედველობა გაუწიოს მხარეთა

⁸ წამება და სხვა სასტიკი, არაჰუმანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა ან დასჯა. გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის სპეციალური მომხსენებლის, პ.კოიმაანის მოხსენება, გაეროს დოკუმენტი. E/CN.4/1986/15, 1986 წლის 19 თებერვალი, პარ. 3; ICTY, პროკურატურა ფურუნდიას წინააღმდეგ (*Prosecutor v. Furundzija*) (საქმე no. IT-95-17/1), განმწესრიგებელი პალატა, სასამართლო პროცესი, 1998 წლის 10 დეკემბერი, პარ. 151.

⁹ გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი, ზოგადი კომენტარი № 24, 1994 წლის 4 ნოემბერი. ზოგადი საერთაშორისო სამართლის აბსოლუტური ნორმა, ასევე ცნობილია, როგორც, *jus cogens*, ის განსაზღვრულია სახელმწიფოებო სამართლის ვენის კონვენციის მიერ (მუხლი 53), როგორც “ნორმა, რომელიც მიღებული და აღიარებულია სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მთლიანად როგორც ნორმა, რომლისგან გადახვევაც არ არის დაშვებული და რომელიც შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ასეთივე ხასიათის მქონე ზოგადი საერთაშორისო სამართლის სხვა ნორმით.”

¹⁰ იხ. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, მუხლი 7, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, მუხლი 3 და წამების საწინააღმდეგო კონვენცია, მუხლი 2 (2).

მიერ პაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას. 1950 წელს მიღებული “ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის” (ECHR) მე-3-ე მუხლიც კრძალავს წამებასა და არაჰუმანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას. ამ კონვენციის თანახმად, ცალკე პირებს აქვთ უფლება კონვენციით მათთვის მინიჭებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში სარჩელით მიმართონ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. ამ სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენები იურიდიულად სავალდებულოა სახელმწიფოთათვის და ამგვარი განაჩენით მათ შესაძლოა დაეკისროთ დაზარალებულისთვის კომპენსაციის გადახდა.

ადამიანის უფლებათა დაცვის ამ ზოგადი ინსტრუმენტების გარდა, არსებობს ასევე ისეთი ინსტრუმენტები და მექანიზმები, რომლებიც მიმართულია კონკრეტულად წამებისა და სხვა სასტიკი მოპყრობის წინააღმდეგ. ზოგიერთმა ამ ინსტრუმენტოვანი მიღებულ იქნა, ან განიცადა სრულყოფა, საერთაშორისო ამნისტიისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების საზოგადოებრივი ზეწოლის შედეგად. 1972 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო “დეკლარაცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაჰუმანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა ან სასჯელისაგან ყველა ადამიანის დაცვის შესახებ”. 1984 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო “კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაჰუმანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ” (კონვენცია წამების წინააღმდეგ). ეს არის სამართლებრივი თვალსაზრისით სავალდებულო ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მხარეების მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს, რათა აღიკვეთოს საჯარო მოხელეთა მიერ ჩადენილი წამება და სხვა სასტიკი მოპყრობა¹¹ ავალდებულებს მათ ჩაატარონ შესაბამისი გამოძიება წამებისა და სხვა სასტიკი მოპყრობის შესახებ ცნობების არსებობის შემთხვევაში,¹² და უზრუნველყოს სათანადო რეპარაცია.¹³ კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოებს წამება და სასტიკი მოპყრობა სისხლის სამართლის დანაშაულად დააკანონონ.¹⁴ კონვენციამ დააარსა “წამების საწინააღმდეგო კომიტეტი” (CAT) – დამოუკიდებელი ექსპერტებით დაკომპლექტებული ორგანო, რომელიც ზედამხედველობას უწევს მხარეთა მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას. 1985 წელს გაეროს “ადამიანის უფლებათა კომისიამ” (CHR) დანიშნა “სპეციალური მომხსენებელი წამებისა და სხვა სასტიკი, არაჰუმანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის საკითხზე” (სპეციალური მომხსენებელი წამებაზე), რომლის მანდატი მოიცავს უფლებას მიმართოს ნებისმიერი სახელმწიფოს მთავრობას, მიუხედავად მისი ამა თუ იმ შეთანხმებაში მონაწილეობისა, და უშუალო ჩარევის უფლებას გადაუდებელ შემთხვევაში.

როგორც ევროპულ, ისე საერთაშორისო დონეზე არსებობს ხელშეკრულებები, რომლებიც აფუნებს მონიტორინგის ორგანოებს დაკავების ადგილების მოსანახულებლად. 1987 წელს მიღებულმა “წამებისა და არაჰუმანური ან შეურაცხმყოფელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპულმა კონვენციამ” დააარსა მონაწილე სახელმწიფოთაგან მოვლენილი ექსპერტებისგან შემდგარი კომიტეტი – “წამებისა და არაჰუმანური ან შეურაცხმყოფელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კომიტეტი” (CPT) – რომელიც უფლებამოსილია მოინახულოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები, რათა გააძლიეროს პატიმართა წამებისა და სასტიკი მოპყრობისგან დაცვა. ექსპერტთა კომიტეტმა გამოაქვეყნა სტანდარტების კრებული, რომელიც მოიცავს წევრ სახელმწიფოებში დაკავების ადგილების მონახულებისას შესამოწმებელ უმთავრეს საკითხებს; მასში შესულია პოლიციის მიერ

¹¹ კონვენციის მუხ. 2, 10 და 16.

¹² კონვენციის მუხ. 12, 13 და 16.

¹³ კონვენციის მუხ. 14.

¹⁴ კონვენციის მუხ. 4.

დაკავებულ პირთა საკითხებიც.¹⁵ კომიტეტმა განახორციელა სამი ვიზიტი საქართველოში, რომელთა განმავლობაშიც სხვა საკითხებთან ერთად შესწავლილ იქნა პოლიციის მიერ დაკავებულ პირთა წამება და მათ მიმართ სასტიკი მოპყრობა.¹⁶

2002 წელს გაერომ მიიღო “წამების საწინააღმდეგო კონვენციის არჩევითი პროტოკოლი” (OPCAT). ეს პროტოკოლი ჯერ არ შესულა ძალაში, მაგრამ, ისევე როგორც ზემოთ მოყვანილი წამების აღკვეთის ევროპული კონვენცია, იგი აყალიბებს მონაწილე სახელმწიფოებში თავისუფლების აღკვეთის ადგილების მონახულების მექანიზმებს; იგი ასევე მოითხოვს მონაწილე სახელმწიფოებისაგან, რომ მათ წამებისა და სხვა სასტიკი მოპყრობის პრევენციის მიზნით თავადაც ჩამოაყალიბონ ეროვნული ზედამხედველობითი სტრუქტურები.

იმ ინსტრუმენტების გარდა, რომლებიც სპეციფიურად წამებასა და სასტიკ მოპყრობას ეხება, არსებობს ორი ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტი, რომლებიც განსაზღვრავენ ზოგადად თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებულ სტანდარტებს და მოიცავს წამებისა და სხვა სასტიკი მოპყრობისაგან დაზღვევის მექანიზმებს. ესენია – “ადამიანის ნებისმიერი ფორმით დაკავების ან პატიმრობის დროს დაცვის გაეროს პრინციპების კრებული” (“გაეროს პრინციპების კრებული”) და “პატიმართა მიმართ მოპყრობის გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები”. (“გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები”).

თავისუფლების აღკვეთის ადგილები და პატიმრებიდან სასამართლომდე
დაპატიმრების შემდეგ დაკავებულები მიყავთ ახლომდებარე პოლიციის განყოფილებაში ან წინასწარი დაკავების იზოლატორში. ყველა დაკავებული, მათ შორის ისინიც, ვინც პირველად პოლიციის ქვეგანყოფილებაში მიიყვანეს, იმყოფება წინასწარი დაკავების საკანში პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე. პოლიციის განყოფილებაზე და წინასწარი დაკავების იზოლატორიც შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაშია. თუ დაკავებული ესწრება სასამართლოს სხდომას, მოსამართლის მიერ განაჩენის გამოტანამდე ის იმყოფება სასამართლოს საკანში. ისეთ შემთხვევებში, როდესაც დაკავებულს არ სურს სასამართლოს სხდომაზე დასწრება, ის იმყოფება წინასწარი დაკავების იზოლატორში განაჩენის გამოტანამდე. ასეთ შემთხვევაში სასამართლოში მისი წარმოადგენა ადვოკატს უხდება. თუ დაკავებულის საქმე ბრუნდება გამოძიებაში, ის გადაჰყავთ საგამოძიებო იზოლატორში, რომელიც ექვემდებარება იუსტიციის სამინისტროს, სადაც ის რჩება სასამართლო პროცესის განმავლობაში – იმ შემთხვევების გარდა, როდესაც სასამართლო დარბაზში იმყოფება – ვიდრე საქმეზე გამოცხადდება საბოლოო განაჩენი.

¹⁵ წამების საწინააღმდეგო კომიტეტის სტანდარტები იხ. ინტერნეტში: <http://www.cpt.coe.int/en/documents/eng-standards-scr.pdf>

¹⁶ წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ყველა ანგარიში იხ. ინტერნეტში: <http://www.cpt.coe.int/en/states/geo.htm>

“ვარდების რევოლუციის” შემდეგ

წამების და სასტიკი მოპყრობის შემთხვევების მოხშირება

2003 წლის ნოემბრის “ვარდების რევოლუციის” შემდეგ, წამება და სასტიკი მოპყრობა საერთაშორისო ამნისტიასა და სხვა ადამიანის უფლებათა დამცველ საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის კვლავ შემაშფოთებელ პრობლემად დარჩა. მიღებული ცნობების თანახმად, ხელისუფლების შეცვლის მომდევნო თვეებში სიტუაცია გაუარესდა კიდევაც.

არასამთავრობო ორგანიზაცია “თავისუფლების ინსტიტუტის” დირექტორმა ლევან რამიშვილმა 2004 წლის მარტში საერთაშორისო ამნისტიისთვის მიცემულ ინტერვიუში გააკრიტიკა ხელისუფლება ადამიანის უფლებებისათვის არასათანადო ყურადღების მიქცევის გამო. მისი თქმით, “მათი ყურადღება ძირითადად კორუფციასთან ბრძოლასა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ეთმობა. ადამიანის უფლებების დაცვა დღის წესრიგში არ დგას.”

საქართველოს სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა 2005 წლის 5 მაისს საერთაშორისო ამნისტიას განუცხადა, რომ “რევოლუციის შემდეგ ახალმა მთავრობამ გადაწყვიტა გამოეცხადებინა დევნა იმ კრიმინალებს, რომლებიც დაუპყრნენ სამართლებრივ პასუხისმგებლობას შევარდნაძის დროს. ხშირად, ხელისუფლებას არ ჰქონდა ნივთმტკიცებები, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ ეს ადამიანები კორუფციაში იყვნენ გარეულნი. ამდენად, ხშირ შემთხვევაში პოლიცია მათ უგდებდა ნარკოტიკებს ან იარაღს, შემდეგ კი მათ სცემდნენ დანაშაულის აღიარების გამოსაძალავად.”

ყველამ იცოდა, რომ კორუფციას ღრმად ჰქონდა ფესვები გაღმული საქართველოში და ახალმა ხელისუფლებამ მასთან ბრძოლა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად გამოაცხადა. ამ კონტექსტში სამართალდამცავმა ორგანოებმა დაპატიმრებების სერია ჩაატარეს, რომლებსაც თან სდევდა ცნობები, რომ გამოიყენებოდა წამება და სასტიკი მოპყრობა, ასევე საპროცესო დარღვევები და ნივთმტკიცებების გაყალბება.

ცნობილმა ადვოკატმა ეკა ბესელიამ, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა წამებისა და სასტიკი მოპყრობის საქმეებზე, 2004 წლის მარტში განუცხადა საერთაშორისო ამნისტიას, რომ “ვარდების რევოლუციის შემდეგ პოლიცია მოგებული დარჩა. რასაც მანამდე ჩუმად აკეთებდნენ, ახლა საჯაროდ ჩადიან. როდესაც ისინი მიმართავენ ძალადობას და სცილდებიან სამართლებრივ ჩარჩოებს, მათ აღარ ეშინიათ სასჯელის. პოლიციის მიერ ჩატარებული ოპერაციების დროს რამდენიმე ადამიანის მკვლელობა მოხდა. მთავრობის წარმომადგენლები, როგორც წესი, დაუყოვნებლივ აცხადებენ, რომ პოლიციის მიერ გამოყენებული ძალა იყო სიტუაციის შესატყვისი და ადეკვატური.”

“ვარდების რევოლუციის” შემდგომ თვეებში ადამიანის უფლებათა დამცველმა ჯგუფებმა დააფიქსირეს წამებისა და სასტიკი მოპყრობის ათობით შემთხვევა და გადასცეს ისინი სახელისუფლებო სტრუქტურებს - მოთხოვნით ჩაეტარებინათ ამ ცნობების საფუძველზე საფუძვლიანი და დამოუკიდებელი გამოძიება. ამას ხელისუფლების მხრიდან პრაქტიკულად არანაირი გამოსხმაურება არ მოყოლია.

ასე მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციამ “ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის” შეადგინა სია, რომელშიც შევიდა 2004 წლის მონაცემები – 500-მდე ცნობა საცარაულო წამებისა და სასტიკი მოპყრობის შესახებ. ამ ორგანიზაციის წევრმა ნანა კაკაბაძემ საერთაშორისო ამნისტიას განუცხადა: “როგორც კი ჩვენთან შემოდოდა ახალი საქმე, ჩვენ დაუყოვნებლივ გადავცემდით მას გენერალურ პროკურატურას. მიუხედავად ამისა, პასუხი არასოდეს მიგვიღია. პასუხის მოსაპოვებლად

გასულ წელს პრეს-კონფერენცია მოვიწვიეთ და იმ დროისთვის შეგროვებული დაახლოებით 300 საქმე გადავეცით შინაგან საქმეთა მინისტრიეს მოადგილეს, თუმცა პასუხი არც ამას მოყოლია.”¹⁷

მთავრობის მიერ წამების წინააღმდეგ მიღებული ზომები – ახალი ეპოქის დასაწყისი?

2004 წლის მეორე ნახევარში ადამიანის უფლებათა დამცველმა აქტივისტებმა და სახალხო დამცველმა, სოზარ სუბარმა,¹⁸ გამოაქვეყნეს სასოწარმკვეთი სტატისტიკური მონაცემები, რომელთა მიხედვითაც მხოლოდ თბილისში, “ვარდების რევოლუციის” შემდეგ პერიოდში, 1100-ზე მეტი ადამიანი აღმოჩნდა წამების ან სასტიკი მოპყრობის მსხვერპლი. მცდელობა წარმატებული აღმოჩნდა და წამებისა და სასტიკი მოპყრობის საკითხი მთავრობის დღის წესრიგში დადგა.

დაახლოებით იმავე დროიდან მოყოლებული, სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირებმა საჯაროდ აღიარეს წამებისა და სასტიკი მოპყრობის პრობლემის არსებობა და გამოთქვეს მასთან ბრძოლის გამიზნულობა.

2004 წლის 18 ოქტომბერს საქართველოს გენერალურმა პროკურორმა, ზურაბ ადეიშვილმა, და იმდროინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა, ირაკლი ოქრუაშვილმა, პრეს-კონფერენციაზე განაცხადეს, რომ შეთანხმდნენ პოლიციის განყოფილებების და წინასწარი დაკავების იზოლატორების მონიტორინგის პროგრამაზე, რომელიც სახალხო დამცველის ეგიდით განხორციელდებოდა. ამ პროექტის ერთ-ერთ მიზნად დასახელდა წამებასა და სასტიკი მოპყრობასთან ბრძოლა.

2004 წლის აგვისტოში,¹⁹ შემდეგ კი 2005 წლის მარტში და ივნისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ეხებოდა წამებისა და სასტიკი მოპყრობის საკითხს. მიმდინარე საკანონმდებლო რეფორმების ფარგლებში დაგეგმილია ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შექმნა. შავარაუდოდ, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი პარლამენტში 2005 წლის დეკემბრისთვის შევა.²⁰ ლევან რამიშვილის (თავისუფლების ინსტიტუტი) თქმით, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მომავალ წელს იქნება მიღებული; მასში შევა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ბოლო დროს შესული ცვლილებებიც.²¹

გარკვეული პროგრესი შეინიშნება წამებასა და სასტიკი მოპყრობაში დამნაშავე პირთა დასჯის მხრივაც, თუმცა გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. “ვარდების რევოლუციის” შემდეგ, 2004 წლის ნოემბერში პირველი განაჩენები გამოცნა სამ პოლიციელს.²² 2005 წლის 10 ნოემბერს გენერალური პროკურატურის ადამიანის

¹⁷ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ, თბილისი, 2005 წლის 24 ოქტომბერი.

¹⁸ სოზარ სუბარი დაინიშნა საქართველოს სახალხო დამცველად 2004 წლის სექტემბერში.

¹⁹ 2004 წლის აგვისტოში მიღებული ბევრი ცვლილება ეყრდნობოდა 2003 წლის იანვრის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს.

²⁰ კორესპონდენცია ვლექტრონული ფოსტით იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილესთან, გიგა ბოკერიასთან, 2005 წლის 17 ნოემბერი.

²¹ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ, თბილისი, 2005 წლის 24 ოქტომბერი.

²² უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და ახლად დანიშნულ მოსამართლეებთან შეხვედრაზე, რომელიც ტელევიზიით 2005 წლის 21 ივნისს გადაიცა, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა: “15 წლის მანძილზე არცერთი პოლიციელი არ გასამართლებულა

უფლებათა დაცვის განყოფილების მიერ საერთაშორისო ამნისტიისთვის მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ წამებასა და სასტიკ მოპყრობასთან გათანაბრებული დანაშაულებებისათვის 10 პოლიციელს მიესაჯა სამართლოს მიერ თავისუფლების აღკვეთა და ამჟამად ისინი იხდიან სასჯელს.

მოქმედმა მთავრობამ 2004 წლის ივნისში დაიწყო საქართველოში წამების საწინააღმდეგო სამოქმედო გეგმის შესრულება (2003-2005წწ), რომელიც მიღებულ იქნა 2003 წლის სექტემბერში მაშინდელი პრეზიდენტის ელუარდ შევარდნაძის მიერ. გეგმა შეიმუშავა ეროვნული უშიშროების საბჭომ, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) საქართველოს მისიასა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიუროსთან (ODIHR) კონსულტაციით. ამ გეგმის მიხედვით, ხელისუფლებამ აიღო პასუხისმგებლობა წამებისა და სასტიკი მოპყრობის აღმოსაფხვრელად რეფორმების ჩატარებაზე, რაც მოიცავს საკანონმდებლო ქმედებებს, დაკავების ადგილების მონიტორინგსა და დამნაშავეთა დაუსჯელობის საწინააღმდეგო ღონისძიებებს.

ამ სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ეროვნული უშიშროების საბჭომ, გენერალურმა პროკურატურამ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ და სახალხო დამცველის ოფისმა განახორციელეს ორი ერთობლივი მონიტორინგის პროექტი. პირველი პროექტი მოიცავდა ყველა ზემოთ აღნიშნული დაწესებულებიდან თითო მაღალი თანამდებობის პირის მიერ 2004 წელს პოლიციის 25 განყოფილების და ციხის მონახულებას. მსგავსი პროექტი დაიწყო 2005 წლის ივლისშიც და გაგრძელდება წლის ბოლომდე. იგი მოიცავს ხუთ ვიზიტს თბილისის სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში და 20 ვიზიტს დედაქალაქს გარეთ. “ეს არ გახლავთ გაუფრთხილებელი ვიზიტები, მაგრამ მათი მთავარი მნიშვნელობა იმაშია, რომ ისინი პოლიციას მთელი ქვეყნის მასშტაბით უჩვენებენ პოლიტიკურ ნებას მიმართულს წამებისა და სასტიკი მოპყრობის აღმოსაფხვრელად” – განაცხადა საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო და საგანმანათლებლო განყოფილების უფროსმა, ანა ჟვანიამ.²³ ეუთოს მისიის ადამიანური განზომილების განყოფილების თანამშრომელმა ირის მუთმა საერთაშორისო ამნისტიას გამოუთქვა აზრი, რომ “რადგან ყველა შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენელი ადგილზე იქნება, ყველა აღმოჩენილ დარღვევაზე უმაღლეს დონეზე რეაგირება იქვე იქნება შესაძლებელი. ეს უდაოდ პოზიტიურია.”²⁴ 2004 წელს განხორციელებული მონიტორინგის პროექტის შედეგად, მთავრობამ შეიმუშავა რიგი რეკომენდაციებისა სისტემის გასაუმჯობესებლად. მათ შორის, - სამინისტროების გაუმჯობესებული თანამშრომლობა წამებასთან ბრძოლის საქმეში, სპეციალური ტრენინგ კურსი პოლიციის შესაბამისი თანამშრომლებისათვის - პოლიციის მიერ დაკავების დროს ჩანაწერების წარმოების წესებზე, ასევე - სპეციალური პროგრამის განხორციელება შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლაციორების გასარემონტებლად.

2004 წლის ივნისის დასაწყისში პრემიერ მინისტრ ზურაბ ჟვანიას მიერ გამოთქმული თხოვნის საპასუხოდ ევროპის კავშირის საბჭომ 28 ივნისს მიიღო გადაწყვეტილება - სისხლის სამართლის სისტემის რეფორმაში მთავრობის

ადამიანის უფლებათა დარღვევისათვის. თუმცა, საერთაშორისო ამნისტიამ იცის რამდენიმე შემთხვევის შესახებ, როდესაც საქართველოში “ვარდების რევოლუციამდე” დაისაჯნენ წამებასა და სასტიკ მოპყრობაში მხილებული დამნაშავენი. მაგალითებისთვის იხილეთ ჩანაწერი საქართველოს შესახებ საერთაშორისო ამნისტიის ბიულეტენიდან – შეშფოთებები ევროპისა და ცენტრალური აზიის შესახებ – რომელიც წელიწადში ორჯერ გამოდის, 1997 წლის ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით (AI Index: EUR 01/01/98).

²³ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ, თბილისი, 2005 წლის 26 ოქტომბერი.

²⁴ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ, თბილისი, 2005 წლის 21 ოქტომბერი.

დასახმარებლად საქართველოში კანონის უზენაესობის ევროკავშირის მისიის (EUJUST THEMIS) ერთწლიანი ვადით დაარსების შესახებ. 2004 წლის 19 ოქტომბერს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გამოსცა ბრძანება მთავრობის საკვანძო წევრებისაგან შემდგარი სამუშაო ჯგუფის დაარსების შესახებ, რომელსაც დაევალა საქართველოს სისხლის სამართლის საკანონმდებლო ბაზის რეფორმირება ექვსი თვის განმავლობაში, EUJUST THEMIS-ის მხარდაჭერით.²⁵ პრეზიდენტმა სამუშაო ჯგუფის წევრთა რიგებში დამატებით შეიყვანა რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირი, პარლამენტის წევრები, სახალხო დამცველი და სამოქალაქო საზოგადოების ორი წარმომადგენელი. შემდგომში შეიქმნა ცხრა ქვეჯგუფი, რომ იმუშავონ შესაბამის თემატურ სფეროებზე, მათ შორის ისეთებზე, როგორც: “პოლიციის თანამშრომლები და დანაშაულის პრევენცია”, “პროკურატურა”, “სახალხო დამცველის ინსტიტუტის რეფორმა” და “სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი”. 2005 წლის ივლისში პრეზიდენტმა სააკაშვილმა დაამტკიცა და გამოაქვეყნა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგია. მან განსაზღვრა რიგი ღონისძიებებისა, რომელთა შესრულებას სერიოზული გავლენა უნდა ჰქონდეს საქართველოში წამებისა და სასტიკი მოპყრობის გამოყენებაზე. მაგალითად, ამ სტრატეგიის თანახმად, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ამჟამად განხილვის სტადიაშია, შემოიტანს “მოწმეთა და დაზარალებულთა დაცვისათვის საჭირო სპეციალურ ზომებს”. მასში ასევე აღნიშნულია, რომ “საზოგადოებას უნდა ჰქონდეს პოლიციის ღონისძიებებში მაქსიმალურად ღრმად ჩახედვის საშუალება და ყველა დონეზე პოლიციის მართვაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა.” ამ მიზნით, გათვალისწინებულია დამოუკიდებელი საზოგადოებრივი საბჭოების ჩამოყალიბება “პოლიციის ყველა განყოფილებასა და სამმართველოში”, სადაც შევლენ საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. საბჭოების საქმიანობა მოიცავს დაკავებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის და პატიმრობის პირობების მონიტორინგს. სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, “საზოგადოებრივი საბჭოები იკისრებენ იმ პასუხისმგებლობებს, რომლებიც გაწერილია სახალხო დამცველსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის დადებულ მემორანდუმში დაკავებულთა მდგომარეობისა და თავისუფლების აღკვეთის საკნების ზედამხედველობის შესახებ.” სტრატეგია ასევე ითვალისწინებს, რომ შემუშავებული იქნება პოლიციის ეთიკის კოდექსი ევროსაბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინებით. რაც შეეხება სახალხო დამცველის ინსტიტუტის რეფორმირებას, სტრატეგია ითვალისწინებს “ძლიერი რეგიონული ოფისების” შექმნას, რომლებიც დაფარავენ “საქართველოს მთელ ტერიტორიას”. ოქტომბერში საერთაშორისო ამნისტიამ შეიტყო, რომ შემდეგი ნაბიჯი სტრატეგიის განხორციელების მიმართულებით იქნებოდა სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც მოიცავდა ზემოთ აღნიშნული ცხრა ქვეჯგუფის მიერ დამუშავებულ საკითხებს. გათვალისწინებული იყო აგრეთვე, რომ სამოქმედო გეგმა მოიცავდა თითოეული ელემენტის შესრულების დროით განრიგს. 2005 წლის 16 ნოემბრისთვის სამოქმედო გეგმა ჯერ ისევ დამუშავების პროცესში იყო.

2005 წლის 8 ივლისს საქართველოს პარლამენტმა ხმა მისცა გაეროს წამების საწინააღმდეგო კონვენციის არჩევითი პროტოკოლის (OPCAT) რატიფიკაციას და 9 აგვისტოს საქართველო ოფიციალურად მიუერთდა მას.²⁶ სახალხო დამცველმა შეატყობინა ამ უკანასკნელი ფაქტის შესახებ საერთაშორისო ამნისტიას 2005 წლის 14 აგვისტოს წერილში, სადაც მან განაცხადა, რომ “შიდასახელმწიფოებრივ დონეზე წამების საწინააღმდეგო მექანიზმები განვითარდება ჩვენი დაწესებულების ბაზაზე. სახალხო დამცველის ოფისი კარგ საფუძველს წარმოადგენს OPCAT-ის ფარგლებში მონიტორინგის სისტემის ჩამოსაყალიბებლად. უკვე არსებობს აუცილებელი

²⁵ პრეზიდენტის ბრძანება № 914.

²⁶ *Black Sea Press*, 2005 წლის 8 ივლისი.

საკანონმდებლო ბაზა და გამოცდილება და ასევე ორგანიზაციული შესაძლებლობები ამ ამოცანის განსახორციელებლად.”

წამებისა და სასტიკი მოპყრობის პრევენციის ნებისმიერი ეროვნული მონიტორინგის მექანიზმი უნდა შეიქმნას და მუშაობდეს გაეროს გენერალური ასამბლეის 1993 წლის დეკემბერში მიღებულ “ადამიანის უფლებების დაცვისა და გაუმჯობესებისთვის შექმნილი ეროვნული ინსტიტუტების მოქმედების პრინციპების”²⁷ შესაბამისად. საერთაშორისო ამნისტიის თვლის, რომ OPCAT-ის რატიფიკაციის შემდეგ საქართველოში მონიტორინგის ეროვნული მექანიზმის ჩამოყალიბებისას უთუოდ მნიშვნელოვანი იქნება იმის უზრუნველყოფა, რომ მექანიზმებს ჰქონდეთ ფუნქციური დამოუკიდებლობა, ხოლო განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მათში მონაწილე პირთა შერჩევასა და მომზადებას. 28 მონაწილეთა შერჩევა უნდა მოხდეს გამჭვირვალეობის პრინციპების გათვალისწინებით; მათ უნდა გააჩნდეთ აუცილებელი უნარ-ჩვევები და პროფესიული ცოდნა, გარდა ამისა, ისინი უნდა იყვნენ დამოუკიდებელი.²⁹ OPCAT-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, ეროვნული სამეთვალყურეო ორგანოებს წევრებად უნდა აირჩნენ კანდიდატები, რომელთაც ახასიათებს მაღალი მორალური თვისებები, ასევე დიდი ადმინისტრაციული გამოცდილება სამართლის სფეროში, განსაკუთრებით სისხლის სამართლის განხრით, სასჯელაღსრულების ან პოლიციის ხელმძღვანელობის, ან თავისუფლების აღკვეთის ისეთ სხვა სფეროებში დადასტურებული პროფესიული გამოცდილება, რაც უკავშირდება პატიმართა მიმართ მოპყრობას. მათ შორის ასევე უნდა იყვნენ ექიმები, ფსიქიატრები და ადვოკატები. წევრებმა უნდა გაიარონ სპეციალური წვრთნა თაღისუფლების აღკვეთის პირობების ეფექტური მონიტორინგის განხრით.

რამდენიმე ყოფილმა და ამჟამინდელმა პოლიციის თანამშრომელმა გამოუთქვა საერთაშორისო ამნისტიას აზრი, რომ “ვარდების რევოლუციის” შემდეგ პოლიციელებისთვის ხელფასების მომატებამ დადებითად იმოქმედა იმაზე, რომ პოლიციას ნაკლებად ეწამებინა ან სასტიკად მოპყრობოდა დაკავებულებს. ანტიტერორისტული დანაყოფის ერთერთმა ყოფილმა თანამშრომელმა 2005 წლის 22 ოქტომბერს საერთაშორისო ამნისტიას განუცხადა, რომ “ვარდების რევოლუციამდე პოლიციელები იმდენად პატარა ანაზღაურებას იღებდნენ, რომ მათ სამუშაოს დაკარგვის არ ეშინოდათ და დასაკარგიც ნაკლები ჰქონდათ. გარდა ამისა, წარსულში პოლიცია ხშირად იყენებდა ძალადობას დაკავებულისგან ან მისი ნათესავებისგან ფულის გამოძალვის მიზნით. ხელფასების გაზრდამ პოლიციაში ასეთი სახის კორუფცია შეამცირა.”

²⁷ გენერალური ასამბლეის 1993 წლის 20 დეკემბრის რეზოლუცია 48/134. გაეროს დოკუმენტები A/RES/48/134.

²⁸ იყო ზეპირი კრიტიკა სახალხო დამცველთან არსებული მონიტორინგის საბჭოს წევრთა შერჩევასთან დაკავშირებით. ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივისტებმა ორგანიზაციებიდან “ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის”, “ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი” და “კონსტიტუციის 42-ე მუხლი”, განაცხადეს, რომ მონიტორინგის საბჭოს წევრების არჩევის წესი არ იყო გამჭვირვალე და არ ეყრდნობოდა პროფესიონალიზმს და რომ გამოცდილი აქტივისტები მათი არასამთავრობო ორგანიზაციებიდან არ იყვნენ დაშვებულნი, რადგან ისინი ცნობილი არიან, როგორც ძალიან კრიტიკულები სახალხო დამცველისა და ხელისუფლების მოქმედებების მიმართ. რამდენიმე აქტივისტმა, რომლებმაც ითხოვეს მონიტორინგის საბჭოს წევრობა, განაცხადა, რომ მათ ვერ მიიღეს განმარტება სახალხო დამცველისგან, თუ რატომ არ იყო მათი ანკეტა დამაკმაყოფილებელი და ვერ მიიღეს ინფორმაცია მონიტორების დანიშვნის კრიტერიუმებთან დაკავშირებით.

²⁹ იხ. ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტები: *საერთაშორისო ამნისტიის რეკომენდაციები ადამიანის უფლებათა ეფექტური დაცვისათვის* (AI Index: IOR 40/007/2001).

ახალი მთავრობის მოქმედების პერიოდში პოლიციის აკადემიამაც მნიშვნელოვანი რესტრუქტურული ზაცია განიცადა. საქართველოში ეუთოს მისიის მრჩეველმა პოლიციის საკითხებში, რაღაც პალომ, საერთაშორისო ამნისტიას განუცხადა, რომ “წარსულში საქართველოში არ არსებობდა პოლიციის პროფესიული წვრთნა. პოლიციის აკადემიაში მიმდინარეობდა სამრთლებრივი საფუძვლების სწავლება, მაგრამ აქ არ ისწავლებოდა კონკრეტული პროფესიული უნარ-ჩვევები.”³⁰ თბილისში არსებული პოლიციის აკადემია ამჟამად აყალიბებს ახალ სასწავლო პროგრამას პოლიციელებისათვის, რომელიც მიმართული იქნება ყველა ტიპის პოლიციელის წვრთნაზე, მათ შორის სასახლეგრო, საპატრულო, კრიმინალური და ფინანსური პოლიციისა. პოლიციის აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობებისა და განვითარების განყოფილების თანამშრომელმა, მარინა ლებანიძემ, საერთაშორისო ამნისტიას აცნობა, რომ “პირველი ტრენინგი ჩაუტარდა საპატრულო პოლიციას. თავდაპირველად, გასულ წელს ჩატარდა მხოლოდ ორკვირიანი წვრთნა, მაგრამ 2005 წლის აპრილში პირველმა პოლიციელებმა გაიარეს ჩვენი ძირითადი სამთვიანი მომზადების კურსი. ეს კურსი ძირითადად თეორიულია, თუმცა ვგეგმავთ დამატებით სამთვიანი პროგრამის მომზადებას მომავალი წლისთვის, რომელიც ძირითადად პრაქტიკაზე იქნება ორიენტირებული.”³¹ როგორც დაგეგმილია, ყველა პოლიციელი ვალდებული იქნება გაიაროს თეორიული და პრაქტიკული ნაწილებისაგან შემდგარი ძირითადი საწვრთნელი კურსი. დამატებით, პოლიციის აკადემია გეგმავს სპეციალიზირებული მოსამზადებელი კურსების შექმნას, რომელიც პოლიციის სხვადასხვა ქვედანაყოფების სპეციფიურ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. “ჩვენ ასევე ვგეგმავთ სპეციალური სავალდებულო კურსის მომზადებას ყველა იმ პოლიციელისთვის, რომელიც პოლიციის რიგებში დიდი ხანია მუშაობს, მაგრამ არასოდეს გაუვლია ფორმალური წვრთნა. პირველი ასეთი კურსი გაიარეს ამ ზაფხულს კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა”, აგვისნა მარინა ლებანიძემ. მისი თქმით, პოლიციის აკადემიის სასწავლო კურსს დაემატა ადამიანის უფლებათა დაცვის კომპონენტი, მათ შორის ისეთი საკითხები, როგორცაა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართალი და სტანდარტები, ასევე დაემატა მასალა წამებისა და სასტიკი მოპყრობის, ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის შესატყვისი გამოყენების შესახებ და დაგეგმილია სწავლების ამ ნაწილის კიდევ უფრო გაძლიერება.

მეტია გასაკეთებელი წამებისა და სასტიკი მოპყრობის აღმოსაფხვრელად

თუმცა ბევრი მნიშვნელოვანი ნაბიჯი უკვე გადადგმულია, მთავრობას ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი გზა აქვს გასავლელი ქვეყანაში წამებისა და სასტიკი მოპყრობის სრულად აღმოსაფხვრელად. გრძელვადიანი შედეგების მისაღწევად საჭიროა სტრატეგიული მიდგომა. ამ თავში ყურადღება გამახვილებული იქნება იმ საკითხებზე, რომლებსაც, საერთაშორისო ამნისტიის აზრით, მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს.

ბოლო თვეების განმავლობაში საერთაშორისო ამნისტია კვლავინდებურად იღებდა ინფორმაციას საქართველოში წამებისა და სასტიკი მოპყრობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ამნისტიასთან საუბარში ოფიციალური პირები უარყოფდნენ 2005 წელს წამების შემთხვევებს, გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის განყოფილების უფროსმა, თამარ თომაშვილმა, 2005 წლის 26 სექტემბერს საერთაშორისო ამნისტიას აცნობა, რომ პოლიციელი, რომელმაც

³⁰ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ, თბილისი, 2005 წლის 28 ოქტომბერი.

³¹ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ თბილისი, 2005 წლის 28 ოქტომბერი.

მტკიცებისამებრ 2005 წლის აგვისტოში მცირეწლოვანი აწამა, სასჯელს იხდის სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე (1) მუხლის მე-2-ე ნაწილის (“წამების შესახებ”) შესაბამისად. საერთაშორისო ამნისტიამ დამატებით მიიღო ინფორმაცია 2005 წელს წარმოებულ სხვა საქმეების შესახებაც, რომლის მიხედვით პატიმრები სავარაუდოდ აწამეს.

შეუძლებელია რაიმე კონკრეტული დასკვნის გაკეთება იმის თაობაზე, თუ ზუსტად რამდენი ადამიანი გახდა წამებისა და სასტიკი მოპყრობის მსხვერპლი საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ გაკეთდა წამებისა და სასტიკი მოპყრობის განცხადებების რეგისტრაციის სისტემის გასაუმჯობესებლად, არ არსებობს სრული და სანდო სტატისტიკური მონაცემები. შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა და მონიტორინგის განყოფილების უფროსმა, შოთა ხიზანიშვილმა, საერთაშორისო ამნისტიას 2005 წლის 3 ოქტომბერს წერილით აცნობა, რომ მისმა განყოფილებამ, 2005 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, სასტიკი მოპყრობის შესახებ ცნობების შემცველი 70 საქმე გადაუგზავნა გამოძიებისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციასა და გენერალურ პროკურატურას. სახალხო დამცველის ოფისის მიერ 2005 წლის აგვისტოში გამოცემულ “პოლიციის მონიტორინგის სტატისტიკის ანალიზის” თანახმად, 2005 წლის იანვრიდან აგვისტომდე მონიტორინგის ჯგუფმა აღმოაჩინა კანონსაწინააღმდეგო ფიზიკური ძალადობის შემცველი 192 საქმე. 2005 წელს, პოლიციის მიერ ძალადობის გამოყენების შესახებ ცნობების საფუძველზე გენერალურმა პროკურატურამ 118 წინასწარი გამოძიება ჩაატარა.³²

როგორც ჩანს, ბევრ ადამიანს არ განუცხადებია პოლიციის მხრიდან სასტიკი მოპყრობის შესახებ, ხოლო შეკითხვაზე მათი სხეულის დაზიანებების წარმოშობის შესახებ ისინი შემდგომი რეპრესიების შიშით ამტკიცებდნენ, რომ ეს დაზიანებები მათ დაკავებამდე მიიღეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა და მონიტორინგის განყოფილებამ 2005 წლის აპრილიდან სექტემბრამდე შემოწმებულ წინასწარი დაკავების დაწესებულებებში შემოსულ დაკავებულთა მთლიანი რაოდენობიდან (5194 ადამიანი), დააფიქსირა სხეულის დაზიანების 930 შემთხვევა. ამათგან მხოლოდ 40-მა განაცხადა, რომ დაზიანებები პოლიციის მხრიდან ძალადობის შედეგად მიიღეს.³³

პოლიციის განყოფილებებიდან წინასაგამოძიებო იზოლაციორებში გადაყვანისას მდპერსონალის მიერ აღრიცხული დაზიანებების რიცხვი “ვარდების რევოლუციის” შემდეგაც იგივე დონეზე დარჩა, რაც ადრე. 2003 წელს ექიმების მიერ აღრიცხულ იქნა 462 ასეთი შემთხვევა, 2004-ში – 393 შემთხვევა, 2005 წლის იანვრიდან მარტამდე – 133 შემთხვევა.³⁴

2005 წლის განმავლობაში სხეულის დაზიანებების უმრავლესობა, რაც დაზარალებულთა განცხადებების თანახმად პოლიციის მხრიდან ძალადობის შედეგად იქნა მიღებული, ამ განცხადებების თანახმად დაკავების დროს იქნა მიღებული. იგივე პერიოდის განმავლობაში საერთაშორისო ამნისტია იღებდა ცნობებს, რომელთა მიხედვით დაკავებულებს აწამებდნენ ან სასტიკად ეპყრობოდნენ მანქანებში

³² საერთაშორისო ამნისტიამ ინფორმაცია მიიღო გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის და მონიტორინგის განყოფილებიდან 2005 წლის 10 ნოემბერს.

³³ საერთაშორისო ამნისტიას ინფორმაცია მოაწოდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის განყოფილებიდან შოთა ხიზანიშვილმა და გიორგი კიკნაძემ 2005 წლის 3 და 6 ოქტომბერს.

³⁴ ციფრები მოგვაწოდა მაია ხაციბაძე იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა და სოციალურ საკითხთა სამსახურიდან, 2005 წლის 30 მაისს.

გადაყვანისას, ასევე პოლიციის განყოფილებებში და შინაგან საქმეთა სამინისტროში. ერთმა დაკავებულმა განაცხადა, რომ მას სასტიკად მოეპყრნენ სასამართლოში საქმის წინასწარი განხილვისას. იყო ასევე ცნობები, რომ რამდენიმე ადამიანს ქუჩაში თავს დაესხნენ სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული უშიშროების სამსახურის თანამშრომლები, და ასევე - რომ ზოგი პირი წაიყვანეს უკაცრიელ ადგილებში – სასაფლაოზე ან ტყეში, და იქ სასტიკად მოექცნენ.

ვარდების რევოლუციის შემდგომ პერიოდში საერთაშორისო ამნისტიის მიერ მიღებულ ანგარიშებში, დაკავებულთა წამებისა ან სასტიკი მოპყრობის აღწერილი მეთოდები მოიცავს ელექტროშოკს, დაკავებულის თავზე ცელოფანის პარკის ჩამოცმას, დაკავებულის ორ მაგიდას შორის ძელზე ჩამოკიდებას, სიგარეტითა და სანთლით მიყენებულ დამწვრობას, დაკავებულის პირში იარაღის ღულის შეყოფას და გასროლით დამუქრებას, წებოვანი ლენტით (სკოჩით) თვალების აკვრას, ყურებზე გაშლილი ხელით დარტყმებს, დაკავებულის ოჯახის წევრების ცემით მუქარას, დაკავებულის პირის ნატრის ალიკაპით დახშობას - რომ ვერ იყვირონ, ცემას – მათ შორის ხელკეტით, იარაღის კონდახით და ფეხით.

როგორც “საქართველოში წამებისა და სასტიკი მოპყრობის წინააღმდეგ სამოქმედო გეგმა”-ში (2003-2005) არის ასახული, მთავრობის ერთერთი მიზანია განახორციელოს სპეციალური ღონისძიებები, რათა “ქალები და არასრულწლოვნები სრულად დაცული იყონ წამების, სხვა სასტიკი, არაჰუმანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისაგან”. ამის მიუხედავად, კვლავაც არის განცხადებები ქალებისა და მცირეწლოვნების მიმართ სასტიკი მოპყრობის შესახებ. მაგალითად, 2005 წლის 21 თებერვალს, საინფორმაციო სააგენტომ “ბლექ სი პრეს” გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმად სახალხო დამცველის სამსახურის მონიტორინგის საბჭომ მიიღო ცნობა, რომ 16 წლის ახალგაზრდა დააკავეს თბილისის გარეუბანში, მუხიანში, და სასტიკად სცემეს, რათა მას “ელიარებინა” ქურდობა.

ასეთი ფონზე, განცხადებები, რომლებიც უარყოფენ საქართველოში წამებისა და სასტიკი მოპყრობის შემთხვევების არსებობას, საზიანოა და სასტიკი მოპყრობის მსხვერპლებს უკარგავს სურვილს პოლიციის ძალადობის შემთხვევაში იჩივონ ამის თაობაზე. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და ახლად დანიშნულ მოსამართლეებთან შეხვედრისას, რაც საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის პირველი სატელევიზიო არხით გადაიცა, 2005 წლის 21 ივნისს პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა: “მე გულწრფელად ვაღიარებ, რომ რევოლუციის შემდეგ რამდენიმე თვის განმავლობაში კვლავ იყო ადამიანის უფლებათა დარღვევის რამდენიმე სერიოზული ინციდენტი, ნარკოტიკებისა და იარაღის ჩაღება და ცემა. ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე ასეთი რამ არ ყოფილა. [. . .] მას შემდეგ რაც [მერაბ] ბალათურია დაინიშნა თბილისის პოლიციის უფროსად, პოლიციის მიერ დაკავებული არცერთი ადამიანი არ ყოფილა ნაცემი.”³⁵ მერაბ ბალათურია თბილისის პოლიციის უფროსად 2005 წლის იანვარში დაინიშნა. ოფიციალური ინფორმაცია ეწინააღმდეგება პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებას. როგორც საერთაშორისო ამნისტიამ შინაგან საქმეთა სამინისტროსგან შეიტყო, იანვრიდან აპრილამდე 20-ზე მეტმა დაკავებულმა შესჩივლა შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა და მონიტორინგის განყოფილებას, რომ ისინი წამების ან სასტიკი მოპყრობის მსხვერპლნი გახდნენ.

³⁵ ნანა კაკაბაძემ ორგანიზაციიდან ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის, 2005 წლის 24 ოქტომბერს საერთაშორისო ამნისტიას განუცხადა: “ის ადამიანები, ვინც აწამეს რევოლუციის შემდეგ და ვისი საქმეებიც შეითხზა და ვისაც ნარკოტიკი ჩაუგდეს, ჯერ კიდევ ციხეებში იმყოფებიან. თვით სააკაშვილიც ამბობს, რომ ამას რაიმე უნდა ეშველოს. ახლა საჭიროა ამ ადამიანების ამნისტირება.”

პრეზიდენტ სააკაშვილის ამ გამოსვლის დროისთვის სსენებულ საქმეთა უმეტესობა, ან ფაქტობრივად თითქმის არცერთი, არ იყო ბოლომდე გამოძიებული. 28 ოქტომბერს პრეზიდენტმა თბილისში გამართულ ბიზნეს ფორუმზე კი განაცხადა “მე მუამაყება, რომ ჩვენ ვართ პირველი ქვეყანა ამ რეგიონში, სადაც ადამიანებს აღარ სცემენ და აღარ აწამებენ და პოლიცია არ ჩადის უკანონო ქმედებებს.”

შემთხვევების დღის სინათლეზე გამოტანა

იმისათვის, რომ ეფექტურმა სისტემამ ბოლო მოუღოს წამებასა და სასტიკ მოპყრობას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ყველა იმ წინააღმდეგობის აღმოფხვრას, რაც ხელს უშლის წამებისა და სასტიკი მოპყრობის მსხვერპლთ განაცხადინ პოლიციის მიერ მათდამი სასტიკი მოპყრობის შესახებ, ისე რომ ყველა ასეთი შემთხვევა შესაბამისად იქნას გამოძიებული.

საერთაშორისო ამნისტია აღნიშნავს, რომ ზოგმა სამთავრობო დაწესებულებამ და სახალხო დამცველმა საგრძნობი ძალისხმევა გამოიჩინეს წამებისა და სასტიკი მოპყრობის შემთხვევების დღის სინათლეზე გამოსატანად.

ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ, 2004 წლის ბოლოდან მოყოლებული, განხორციელებული წინასწარი დაკავების ადგილების ფართო მონიტორინგი. 2005 წლის 5 მაისს სახალხო დამცველმა საერთაშორისო ამნისტიას განუცხადა: “ჩვენ ეს პროექტი 2004 წლის ნოემბერში დავიწყეთ. ჩვენი თანამშრომლების გარდა, მე ასევე მივეცი ნებართვა რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს, წვეოდნენ წინასწარი დაკავების ადგილებს. 2005 წლის იანვრიდან მარტის დასაწყისამდე ჩვენმა ოფისმა ჩაატარა თბილისისა და შიდა ქართლის სადღეღამისო მონიტორინგი. ამჯერად ჩვენი მონიტორინგის ჯგუფი ყოველდღე 8 საათის განმავლობაში და კვირაში ორჯერ 24 საათით დადის იუსტიციისა და თავდაცვის სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფ იზოლატორებსა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში.”³⁶

2005 წლის აპრილსა და მაისში საერთაშორისო ამნისტიის მიერ გამოკითხულ ადამიანის უფლებათა დაცვის ბევრ აქტივისტს მიაჩნდა, რომ მონიტორინგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა წამებისა და სასტიკი მოპყრობის შემთხვევების შემცირების და მათი გამოაშკარავების საქმეში. თუმცა, თბილისს გარეთ წარმოებული მონიტორინგის ინტენსიობა საკმაოდ დაბალი იყო. ამდენად, საერთაშორისო ამნისტიას არ მიაჩნია, რომ თბილისს გარეთ ამ ქმედებებს საგრძნობი გავლენა შეეძლოთ მოეხდინათ.

2005 წლის ივლისსა, აგვისტოსა და სექტემბერში სახალხო დამცველის ოფისის თანამშრომლებმა გააძლიერეს მონიტორინგის ინტენსიობა თბილისს გარეთ რეგიონებში. სახალხო დამცველის ოფისის ინფორმაციისა და განათლების განყოფილების უფროსის, ანა ჟვანიას თანახმად, შესაბამისად 25 და 23 ვიზიტი ჩატარდა ივლისსა და აგვისტოში თბილისს გარეთ პოლიციის იმ განყოფილებებში და წინასწარი დაკავების ადგილებში, რომლებიც ყველაზე პრობლემატურად იყო მიჩნეული. ამის მიუხედავად, თბილისთან შედარებით, რეგიონებში მონიტორინგის დონე მაინც საგრძნობლად დაბალია.

2005 წლის იანვრიდან მონიტორინგის ჯგუფმა თვეში საშუალოდ 200-მდე დათვალიერება განახორციელა თბილისს გარეთ მდებარე თავისუფლების აღკვეთის

³⁶ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ თბილისი, 2005 წლის 5 მაისი.

დაწესებულებებში.³⁷ თუმცა სახალხო დამცველს ჰყავს წარმომადგენლები რამოდენიმე ქალაქში თბილისს გარეთ, იქ თანამშრომლების რაოდენობა ორი-სამი ადამიანით შემოიფარგლება თითო ადგილას და ბიუჯეტიც მეტად შეზღუდული აქვთ.³⁸

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის და მონიტორინგის განყოფილების (2005 წლის იანვარში დაარსდა) უფროსის მოადგილის გიორგი კიკნაძის თქმით, მისმა დეპარტამენტმა დაავალა საქართველოს ყველა წინასწარი დაკავების დაწესებულების უფროსს, დაუყოვნებლივ შეატყობინონ დეპარტამენტს წამების ან სასტიკი მოპყრობის მიმანიშნებელი სხეულის დაზიანებით შემოსული ყველა დაკავებულის შესახებ. “როგორც კი ჩვენ მივიღებთ ინფორმაციას, რომ დაკავებული შემოვიდა [წინასწარი დაკავების დაწესებულებაში] სხეულის დაზიანებებით, ჩვენ დაუყოვნებლივ მივემგზავრებით ადგილზე, შევისწავლით შემთხვევას და გავესაუბრებით ადამიანს. ჩვენ გვინდა, პირველებმა გამოვააშკარაოთ წამებისა და სასტიკი მოპყრობის შემთხვევები. ჩვენ ვაღვანთ ჩანაწერს და ვაფიქსირებთ, დაზარალებულის თქმით, როდის და როგორ მიიღო მან ეს დაზიანებები. თუ მას აქვს საჩივარი პოლიციის მიმართ, ჩვენ ვთხოვთ მას დაგვისახელოს პიროვნებები ან მოგვაწოდოს სხვა ინფორმაცია, რაც მათ დადგენაში დაგვეხმარება. ჩვენ ასევე ვამოწმებთ სამედიცინო ჩანაწერებს და თუ აღმოვაჩინებთ მცირედ დარღვევასაც კი, ხოლო დაკავებულის თქმით ეს პოლიციის მოქმედებითაა არის გამოწვეული, ჩვენ გადავცემთ საქმის შესახებ ინფორმაციას ჩვენი სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, რათა მათ შეძლონ შიდა გამოძიების დაწყება.”³⁹

2005 წლის 27 ოქტომბერს გიორგი კიკნაძემ საერთაშორისო ამნისტიას უამბო: “სისტემა ახლა ძალიან კარგად მუშაობს. წინასწარი დაკავების დაწესებულებების უფროსები რეგიონებიდან მაქსიმუმ 50-60 წუთის განმავლობაში ფაქსით გვაცნობებენ ყველა ისეთი შემთხვევის შესახებ, როდესაც დაკავებული შედის მათთან აშკარა სხეულის დაზიანებით, ამდენად რეგიონებში არსებულ სიტუაციას ამჟამად კარგად ვაკონტროლებთ.” თუმცა ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის განყოფილების თანამშრომლები საერთაშორისო ამნისტიას უცხადებენ, რომ ისინი ახერხებენ დაუყოვნებლივ გაესაუბრონ სავარაუდო წამების ან სასტიკი მოპყრობის მსხვერპლ დაკავებულებს თბილისში, განყოფილებაში თანამშრომელთა რაოდენობა არ იძლევა იგივენაირი მოქმედების საშუალებას მთელი საქართველოს ფარგლებში. საერთაშორისო ამნისტიას ეცნობა, რომ ამჟამად არ არსებობს დეპარტამენტის

³⁷ იანვარი: 131 ვიზიტი; თებერვალი: 105; მარტი: 39; აპრილი: 25; მაისი: 105; ივნისი: 397; ივლისი: 338; აგვისტო: 249. ინფორმაციის წყარო: სახალხო დამცველის მიერ 2005 წლის აგვისტოში მომზადებული პოლიციის მონიტორინგის სტატისტიკის ანალიზი.

³⁸ 2005 წლის სექტემბრისთვის იყო ოფისები ბათუმში, ქუთაისში, თელავში, სამცხე-ჯავახეთსა და ზუგდიდში.

³⁹ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ თბილისი, 2005 წლის 25 აპრილი. გიორგი კიკნაძემ საერთაშორისო ამნისტიას შეატყობინა, რომ, იმისათვის, რომ გამოძიება დაჩქარდეს, 2005 წლის 1 მაისიდან ყველა საქმე, რომელზეც შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის დეპარტამენტი მუშაობს, იმავდროულად გადაეცემა გენერალურ ინსპექციასა და გენერალურ პროკურატურას. ამ ცვლილების მიღებამდე, თავდაპირველად გენერალურ ინსპექციას უნდა დაესრულებინა შიდა გამოძიება, ვიდრე საქმე გენერალურ პროკურატურას გადაეცემოდა. შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 5 იანვრის ბრძანების თანახმად, ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსს უფლება აქვს “დაიშვებოდეს ადგილობრივ და რეგიონალურ ადმინისტრაციულ შენობებში განთავსებულ შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ წინასწარი დაკავების დაწესებულებებში სპეციალური ნებართვის გარეშე”. დეპარტამენტის უფროსს შეუძლია ეს უფლება გადასცეს თავის თანამშრომლებს.

თანამშრომელთა რაოდენობის გაზარდისა და თბილისს გარეთ განყოფილების ფილიალების ჩამოყალიბების რაიმე პერპექტივა.⁴⁰

2000 წელს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ პენიტენციურ სისტემაში მომუშავე ექიმებმა დაიწყეს ბრალდებულთა სამედიცინო შემოწმება და მათ სხეულზე არსებული დაზიანებების დოკუმენტაცია, როდესაც ისინი თავდაპირველად შემოდოდნენ საგამოძიებო იზოლატორებში.⁴¹ ეს პროცედურა შემოღებულ იქნა 1999 წელს პენიტენციურ სისტემის შინაგან საქმეთა სამინისტროდან იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლის დონისძიებათა ფარგლებში. 2002 წლის იანვარში იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებითმა დეპარტამენტმა შექმნა მონაცემთა ბაზა შემთხვევების რეგისტრაციისა და სტატისტიკის საწარმოებლად. დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის, მაია ხაციას თქმით, ნებისმიერი ინფორმაცია ახალი შემთხვევის შესახებ, სადაც დაფიქსირდება, რომ დაკავებულს აღენიშნება დაზიანება, დაუყოვნებლივ გადაეცემა გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის განყოფილების უფროსს.⁴² გარდა ამისა, “თვეში ერთხელ ეს განახლებული მონაცემები ეგზავნება – სხვა ადრესატთა შორის - გენერალურ პროკურატურას, სახალხო დამცველს და არასამთავრობო ორგანიზაციებს”, დასძინა მან.

წინსვლის მიუხედავად, წამებისა და სასტიკი მოპყრობის ყველა შემთხვევის გამოაშკარავებას ჯერ კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა ხვდება. არის სერიოზული მინიშნებები იმისა, რომ პოლიცია აგრძელებს შემთხვევების დამალვას და რომ დაკავებულებს ხშირად წამებისა და სასტიკი მოპყრობის შესახებ ჩივილის ეშინიათ და მომავალი რეპრესიების შიშით არჩევენ არ დაასახელონ დამნაშავეები.

ჯერ კიდევ ბევრი შემთხვევა არ ფიქსირდება

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის დეპარტამენტმა 2005 წლის 1 იანვარს დაიწყო იმ დაკავებულთა სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, რომლებსაც აღენიშნებოდათ სხეულის დაზიანებები თბილისის № 1 და № 2 წინასწარი დაკავების საკანში მოხვედრისას. ამ ინფორმაციის შეგროვება ხდება სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების ხელმძღვანელების მიერ მოწოდებული სამედიცინო ჩანაწერების საფუძველზე. სტატისტიკური მონაცემები შეიცავს დაწვრილებით ინფორმაციას სხეულის დაზიანებათა მიყენების დროისა (დაკავებულთა ჩვენების მიხედვით) და პოლიციის მიერ წამებისა და სასტიკი მოპყრობის შესახებ განმცხადებელთა რაოდენობის შესახებ. პირველი აპრილიდან მოყოლებული დეპარტამენტი აქვეყნებს მსგავს სტატისტიკურ ინფორმაციას საქართველოს ყველა რეგიონის შესახებ.

2005 წლის 4 მაისს დეპარტამენტმა საერთაშორისო ამნისტიას მიაწოდა მის თანამშრომელთა მიერ გამოკითხული 25 დაკავებულის სია, რომლებიც ამტკიცებენ რომ 2005 წლის იანვრის შემდგომ პერიოდის განმავლობაში მათ სასტიკად მოეპყრათ პოლიცია. აღნიშნულ სიაში არ არის დავით-ოვლი ჯაფაროვის შემთხვევა, რომელიც 2005 წლის თებერვალში გადაყვანილ იქნა წინასწარი დაკავების № 2 იზოლატორში (დიდომი, ქ. თბილისი). ამ პიროვნების მტკიცებით, მას პოლიცია აწამებდა და სასტიკად ეპყრობოდა როგორც მისი დაკავების დროს, ასევე დაკავების შემდეგაც. ეს შემთხვევა ცხადყოფს, რომ დეპარტამენტის მიერ აღრიცხული შემთხვევების რაოდენობასა და

⁴⁰ საერთაშორისო ამნისტიის მიერ მიღებული წერილი ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის, შოთა ხიზანიშვილისაგან, 2004 წლის 3 ოქტომბერი.

⁴¹ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ მაია ხაციასთან, თბილისი, 2005 წლის 30 მაისი.

⁴² საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ თბილისი, 2005 წლის 30 მაისი.

დაკავებულთა მიერ წამებისა და სასტიკი მოპყრობის შესახებ გაკეთებული რეალური განცხადებების რაოდენობას შორის შეუსაბამობაა. კიდევ ერთი შემთხვევა, რომლის ასახვაც არ მოხდა დეპარტამენტის მიერ, არის ალექსანდრე მხეიძის საქმე (იხ. ქვემოთ).

ადვოკატ ავთო ტყეუჩავას თქმით, 2005 წლის 24 თებერვალს მისი კლიენტი, დავით-ოლღი ჯაფაროვი, ეთნიკური აზერბაიჯანელი, გამოვიდა თავისი სოფელ ფონიჭალაში (გარდაბნის რაიონი) მაღაზიაში სიგარეტის საყიდლად. ამ დროს შეჩერდა თეთრი ფერის ავტომობილი, საიდანაც გადმოხტა ექვსი სამოქალაქო ტანსაცმლის მამაკაცი, რომლებმაც ძალით ჩასვეს დავით-ოლღი ჯაფაროვი ავტომობილში ყოველგვარი განმარტების გარეშე. მანქანაში ჩაჯდომის დროს, მამაკაცებმა დაიწყეს მისი ცემა. ადვოკატის თანახმად, დავით-ოლღი ჯაფაროვი გადაიყვანეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მთაწმინდა-კრწანისის რაიონული განყოფილების ფონიჭალის ქვეგანყოფილებაში, სადაც მან განაცხადა, რომ იგი სცემეს და წიხლი დაარტყეს სახეში და ზურგში. ამის შემდეგ, მისი ადვოკატის განცხადებით, მისი კლიენტი წაიყვანეს შინაგან საქმეთა სამინისტროში, სადაც მას ხელზე სცემეს იარაღით; სახეზე მას ჩამოაფარეს ცელოფნის პარკი, რათა მას გასჭირვებოდა სუნთქვა; შემდგომ ერთ-ერთმა პოლიციის თანამშრომელმა ჩაუდო იარაღი პირში და უყვიროდა, რომ მას ეღიარებინა, რომ იყო ნარკოტიკებით მოვაჭრე. იგივე დღეს, მოგვიანებით, დავით-ოლღი ჯაფაროვი გადაიყვანეს დიდმის წინასწარი დაკავების იზოლატორში. ავთო ტყეუჩავას თქმით, ექიმმა არ აღნიშნა თავის ანგარიშში დავით-ოლღი ჯაფაროვის განცხადება, რომ პოლიციამ იგი აწამა და სასტიკად მოეპყრო მას. იზოლატორის თანამშრომლებმაც ასევე უგულვებელყვეს დაკავებულის განცხადებები.⁴³ 26 თებერვალს დავით-ოლღი ჯაფაროვს ბრალად დასდეს “ნარკოტიკების უკანონო შესყიდვა და მოხმარება” (სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი № 260, ნაწილი 3 გ). 2005 წლის 27 თებერვალს მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ დააბრუნა იგი სამთვიან წინასწარ პატიმრობაში და ის გადაყვანილ იქნა ქ. თბილისის № 1 წინასაგამოძიებო იზოლატორში. სამედიცინო შემოწმებამ, რომელიც დავით-ოლღი ჯაფაროვს ჩაუტარდა საპრობილემში მისვლისას, დაადგინა, რომ მას ჰქონდა სისხლჩაქცევები მარჯვენა თვალთან, მარცხენა ბეჭის ძვალთან, და აღენიშნებოდა ჭრილობები მარჯვენა ხელზე. გარდა ამისა, მას აღმოაჩნდა ნაკაწრები წარბებს შორის და ზურგზე, ხერხემალთან. 4 მარტს დავით-ოლღი ჯაფაროვის მამამ, ჯაფარ ჯაფაროვმა გააგზავნა საჩივრები მისი ვაჟისადმი მოპყრობის თაობაზე მთავრობის რამდენიმე წარმომადგენელთან და გენერალურ პროკურატურაში. დამოუკიდებელმა სასამართლო სამედიცინო ექსპერტმა, მაია ნიკოლეიშვილმა, 4 მაისს გამოკვლევა ჩაუტარა დავით-ოლღი ჯაფაროვს და დაადასტურა ციხის ექიმების დიაგნოზი ერთი გამონაკლისით: მისი დასკვნით დავით-ოლღი ჯაფაროვის ხელზე არსებული ჭრილობები მიყენებული იყო ბლაგვი, მძიმე საგნით.

2005 წლის ივლისში საერთაშორისო ამნისტიამ ითხოვა ინფორმაცია დავით-ოლღი ჯაფაროვის საქმის შესახებ და პასუხი მისი პოლიციის მიერ წამებასა და სასტიკად მოპყრობის შესახებ გაკეთებულ განცხადებაზე. ამასთან დაკავშირებით, გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის განყოფილებამ წარმოადგინა შემდეგი ინფორმაცია. 25 თებერვალს დიდმის წინასწარი დაკავების საპრობილემში გაკეთებული ჩანაწერების მიხედვით, დავით-ოლღი ჯაფაროვის ჭრილობების წარმოშობის მიზეზი იყო მის მიერ პოლიციისადმი გაწეული წინააღმდეგობა. 26 თებერვალს დავით-ოლღი ჯაფაროვის დაკითხვისას, მან განაცხადა რომ ჭრილობები მიყენებული ჰქონდა პოლიციის მიერ დაკავების დროს. 4 მარტს საქმის გამოძიებელმა მოითხოვა დამოუკიდებელი სამედიცინო გამოკვლევა, რომელმაც 23 მარტს დაასკვნა, რომ იგი იყო “პრაქტიკულად ჯანმრთელი”. შინაგან საქმეთა

⁴³ სატელეფონო ინტერვიუ 2005 წლის 18 ივლისს.

სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის გამომძიებლის მოთხოვნის საფუძველზე დამოუკიდებელი სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდათ დავით-ოღლი ჯაფაროვის დაკავების პროცესში ჩართულ პოლიციის თანამშრომლებს. აღნიშნული გამოკვლევის საფუძველზე, რომელიც ჩაუტარდა პოლიციის ორ ოფიცერს, 11 მაისს და 4 ივლისს შესაბამისად, დადგინდა, რომ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა მცირე დროით იყო გაუარესებული. გამოძიებამ დაადგინა, რომ დავით-ოღლი ჯაფაროვმა წინააღმდეგობა გაუწია პოლიციას მისი დაკავების დროს. “საქმის ფაქტების გადახედვის შემდეგ” - გენერალურმა პროკურორმა გადაწყვიტა - “მსვლელობა მიეცა სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისათვის დავით-ოღლი ჯაფაროვის წინააღმდეგ, პოლიციის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბების ფაქტის შესახებ.” წინასწარი გამოძიება დაიწყო 2005 წლის 18 ოქტომბერს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ საერთაშორისო ამნისტიისათვის მიწოდებული მონაცემების მიხედვით, რაც ფარავდა 2005 წლის 1-27 აპრილის პერიოდს⁴⁴, 421 დაკავებულიდან 56-ს ჰქონდა შესამჩნევი სხეულის დაზიანებები წინასწარი დაკავების საპრობილემო მისვლის დროს. ეს არის თბილისის გარეთ, რეგიონებში დაფიქსირებული მონაცემები. მიუხედავად ამისა, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, არცერთ დაკავებულს არ გაუკეთებია განცხადება პოლიციის მხრიდან სასტიკი მოპყრობის თაობაზე.

2005 წლის 13 მაისს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური პოლიციის უფროსმა, მერაბ გერგაიამ საერთაშორისო ამნისტიას განუცხადა: “მე დავიწყე მუშაობა ამ თანამდებობაზე 2004 წლის დეკემბერში. შემძლია დარწმუნებით მოგახსენოთ, რომ ამ დროის განმავლობაში არ ყოფილა არცერთი შემთხვევა, რომ დაკავებულს გაეკეთებინა განცხადება წამების ან სასტიკი მოპყრობის შესახებ. ამ საკითხს პირადად ვკურირებ. მოულოდნელად მივიღივარ ხოლმე პოლიციის განყოფილებაში, დილის 3 საათზე. გულწრფელად გეუბნებით, არ ყოფილა მსგავსი შემთხვევა.”⁴⁵ მისმა მოადგილემ, თემურ საჯაიამ თქვა, რომ ერთი წლის განმავლობაში არ ყოფილა წამების ან სასტიკი მოპყრობის არცერთი შემთხვევა მთელს რეგიონში.⁴⁶

როდესაც ჰკითხეს, თუ რა ღონისძიებებს მიმართა სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციამ წამებისა და სასტიკი მოპყრობის აღმოსაფხვრელად, მერაბ გერგაიამ უპასუხა: “ყოველ ორშაბათს, ყოველ დღე, როდესაც ხდება ვინმეს დაკავება, პოლიციის განყოფილების ხელმძღვანელი მირეკავს და მე ვეუბნები მათ, რომ არ უნდა სცემონ დაკავებული, რომ არ უნდა მოხდეს არანაირი დაღვევა.”⁴⁷

ნიშანდობლივია, რომ საერთაშორისო ამნისტიამ მიიღო ცნობები სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში 2004 და 2005 წლებში მომხდარი რამდენიმე შემთხვევის შესახებ, რომელთა თანახმად განხორციელდა წამებისა და სასტიკი მოპყრობის ფაქტები დაკავებულის მიმართ, ხოლო დაკავებულებმა გააკეთეს განცხადება მომხდარის შესახებ. აღნიშნული განცხადებები ადვოკატების საშუალებით გადაეცათ ოფიციალურ პირებს – სახალხო დამცველის ოფისის რეგიონალურ წარმომადგენელს ან ადამიანის უფლებათა დამცველ ჯგუფებს. მსგავსი შემთხვევები ცხადყოფს, რომ სავარაუდოდ წამებისა და

⁴⁴ ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც პოლიციამ შეაგროვა და ხელმისაწვდომი გახადა სტატისტიკური მონაცემები იმ დაკავებულთა შესახებ, რომლებსაც ჰქონდათ აშკარა სხეულის დაზიანებები და რომელთა რეგისტრაციაც მოხდა წინასწარი დაკავების საპრობილემო მისვლის საქართველოს რეგიონებში, თბილისის გარეთ.

⁴⁵ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ, ქ. ზუგდიდი, 2005 წლის 13 მაისი.

⁴⁶ 2005 წლის 13 მარტს არასამთავრობო ორგანიზაცია “ათენასის” დირექტორის, გია ხასიას მიერ საერთაშორისო ამნისტიისადმი მიწოდებული ინფორმაცია.

⁴⁷ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ, ქ. ზუგდიდი, 2005 წლის 13 მაისი.

სასტიკი მოპყრობის ფაქტები კვლავაც ხდება, მაგრამ პოლიციის სტრუქტურები არ ააშკარავენ და არ აღრიცხავენ მათ.

2004 წლის 1 სექტემბერს, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ქ. ზუგდიდში დააკავეს შვიდი მამაკაცი სამხედრო დაჯგუფების წევრობისა და ცეცხლსასროლი იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების უკანონო შენახვის ბრალდებით.

პოლიციის სპეციალური დანიშნულების განყოფილების დაახლოებით 30 თანამშრომელი შევარდა ერთ-ერთი მათგანის, კერძოდ, გენო ქულავას, სახლში და დააკავა იგი. დაახლოებით 11 საათზე ქ. ზუგდიდში პოლიციის განყოფილებაში მიყვანის მაგიერად, ის წაიყვანეს ბერად უფრო დაშორებულ ხობის რაიონის პოლიციის განყოფილებაში, ქ. ზუგდიდიდან 40 კილომეტრის მოშორებით. ჩნობის თანახმად, პოლიციის განყოფილებაში დაკავებულმა განიცადა წამება და სასტიკი მოპყრობა. მისი ადვოკატის, თანდილა ჯოლოგუას თქმით, იგი ჩამოკიდეს მაგიდებს შორის გადებულ ძელზე და სცემეს, მათ შორის პოლიციის ხელკეტით, აგდებდნენ იატაკზე; შემდეგ ცეცხლმოკიდებული სანთელი მიადეს შუბლზე, ხოლო ერთ-ერთმა პოლიციელმა სილა გააწნა სახეში.

მას შემდეგ, რაც ადვოკატმა სასამართლოში იჩივლა, რომ მისი კლიენტი იყო ნაწამები, სასამართლო სამედიცინო ექსპერტების მიერ ორჯერ მოხდა გენო ქულავას გამოკვლევა. ექსპერტებმა აღმოაჩინეს სასტიკი ცემის შედეგად მიღებული დაზიანებები და სისხლის ჩაქცევები დაკავებულის სხეულის სხვადასხვა ნაწილებზე. დამოუკიდებელმა სასამართლო ექსპერტმა, მაია ნიკოლეიშვილმა, რომელმაც გამოკვლევა ჩაუტარა გენო ქულავას 13 სექტემბერს, დაადგინა, რომ სხეულის დაზიანებები მიყენებული იყო ბლაგვი, მძიმე საგნებით. მისი შუბლის დათვალიერების შემდეგ, ექსპერტმა არ გამორიცხა შესაძლებლობა, რომ დაზიანებები მიყენებული იყო დამწვრობისაგან.

კიდევ ერთი ქულავას თანა-ბრალდებული, ლევან ძაძუა, რომელიც აგრეთვე დაკავებულ იქნა 1 სექტემბერს, ცნობის თანახმად პოლიციის ოფიცრებმა სცემეს ქ. ზუგდიდის ენგურის ქაღალდის კომბინატის დასახლების პოლიციის განყოფილებაში.

ქ. ზუგდიდში სახალხო დამცბელის წარმომადგენლის, ბაგრატ ქირიას ინფორმაციით, ზემოთაღნიშნულ პირებთან ერთად დაკავებულებს შორის კიდევ იყვნენ ადამიანები, რომლებიც აწამეს და სასტიკად მოეპყრნენ დაკავებისას ან დაკავების შემდეგ - 1 და 2 სექტემბერს. კერძოდ, ეს პირები არიან ემზარ ფონიავა და ზურაბ ფირცხელავა. ცნობის თანახმად, ზურაბ ფირცხელავა პოლიციელებმა სცემეს ხელკეტით და მკერდსა და ბეჭებზე სიგარეტით მიაყენეს რამდენიმე დამწვრობა. სასამართლო გამოკვლევამ, რომის ჩატარებაც დანიშნა ზუგდიდის პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტმა და განახორციელა სასამართლო ექსპერტმა როინ პეტელავამ, დაადგინა, რომ ზურაბ ფირცხელავას დამწვრობები მკერდსა და ბეჭებზე ჰქონდა მიყენებული კონცენტრირებული სიმხურვალისგან. რაც შეეხება დაზიანებებს მის მარცხენა ბეჭზე, როგორც დადგინდა, ისინი წარმოშობილი იყო ბლაგვი საგნის საშუალებით.

2004 წლის 2 ნოემბერს ქ. ფოთის რეგიონალურმა პროკურატურამ დაიწყო გამოძიება გენო ქულავას საქმეზე პოლიციის მიერ სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თაობაზე. გენერალური პროკურატურის მიერ 2005 წლის 22 მარტს საერთაშორისო ორგანიზაცია Human Rights Watch-ისადმი გადაცემული ინფორმაციის თანახმად, გამოძიებამ დაადგინა, რომ “იგი იყო ნაცემი” ხობის პოლიციის დეპარტამენტში და პოლიციამ მას მიაყენა “სხეულის მცირე დაზიანებები”. აღნიშნული საქმის გამოძიება შეჩერდა, ვინაიდან გენო ქულავამ ვერ შეძლო დამნაშავეის ამოცნობა, ხოლო პოლიციის ოფიცრებმა, რომლებიც დაიკითხნენ

გამოძიების მსვლელობის დროს, უარყვეს წამების და სასტიკი მოპყრობის შემთხვევის ფაქტები.

15 ნოემბერს სასამართლოს გადაწყვეტილებით გენო ქულავა გაათავისუფლეს ციხიდან, მისი დაკავებისას და საქმის გამოძიების დროს პროცედურული დარღვევების გამო. თუმცა, იგი მაშინათვე ხელახლა დააკავეს და წაიყვანეს ზუგდიდის № 4 წინასაგამოძიებო იზოლატორში. დაკავებულს ბრალად ედებოდა ზუგდიდის მაცხოვრებლის გატაცება.

2005 წლის თებერვალში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლომ გაათავისუფლა გენო ქულავა იმის გამო, რომ მის ხელახალ დაკავებას 2004 წლის ნოემბერში თან სდევდა პროცედურული დარღვევები. ივლისში თანდილა ჯოლოგუამ განუცხადა საერთაშორისო ამნისტიას, რომ გენო ქულავასა და ლევან ძაძუას წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები არ იყო ბოლომდე მოხსნილი, და რომ მათ ნაბრძანები ჰქონდათ რეგულარულად გამოცხადებულიყვნენ პოლიციაში.

კიდევ ერთ შემთხვევაში სასტიკი მოპყრობის ფაქტი დაფიქსირდა საერთაშორისო ამნისტიასა და მერაბ გერგაიას შორის ჩატარებულ შეხვედრამდე ოთხი კვირით ადრე. ვახტანგ გუჩუამ და ზაალ აკობიამ განუცხადეს ორგანიზაციას, რომ 2005 წლის 18 აპრილს პოლიციის სპეციალური დანიშნულების დანაყოფის თანამშრომლები სასტიკად მოეპყრნენ მათ.

2005 წლის 14 მაისს საერთაშორისო ამნისტიის დელეგატმა, სახალხო დამცველის წარმომადგენელსა და ვახტანგ გუჩუას ადვოკატთან ერთად, მოინახულა ორივე პატიმარი ზუგდიდის № 4 წინასაგამოძიებლო იზოლატორში.

ვახტანგ გუჩუას თქმით, 18 აპრილს, გამთენიისას, დაახლოებით თხუთმეტმა პოლიციელმა (მხოლოდ ერთ მათგანს არ ეკეთა ნიღაბი) დააკავე იგი საკუთარ სახლში. მისივე თქმით, თანამშრომლებმა იგი წაიყვანეს სპეციალური დანიშნულების პოლიციის განყოფილებაში, რომელიც მდებარეობს ქ. ზუგდიდში, კედლას ქუჩაზე, და სასტიკად ეპყრობოდნენ მას ასე 4 საათის განმავლობაში (დაახლოებით დილის 8 საათამდე). მან განუცხადა საერთაშორისო ამნისტიას შემდეგი: “ისინი მცემდნენ, წიხლებს და კონდახებს მირტყამდნენ. უმეტესად იატაკზე ვვდებ. მათ უნდოდათ ჩემთვის ცელოფნის პარკის თავზე ჩამოცმა, მაგრამ მე ვეხვეწებოდი რომ ეს არ ექნათ, ვინაიდან სერიოზული პრობლემები მაქვს ფილტვებთან დაკავშირებით. ამიტომ მათ ეს არ გააკეთეს”. ვახტანგ გუჩუას თქმით, ოფიცრებს სურდათ ეიძულებინათ იგი ხელი მოეწერა “აღიარებაზე”, სადაც იგი განაცხადებდა, თითქოს მონაწილეობა მიეღო 2002 წლის ივნისში მომხდარ რეგიონის მმართველობის წარმომადგენლის, ჯემალ ნარმანიას, მკვლელობაში. მოგვიანებით იმავე დილას ვახტანგ გუჩუა გადაყვანილ იქნა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალურ პოლიციაში.

ვახტანგ გუჩუამ განუცხადა საერთაშორისო ამნისტიას, რომ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებმა იგი ასევე სცემეს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს შენობაშიც 2005 წლის 21 აპრილს, მოსამართლისა და სასამართლოს მიერ დანიშნული ადვოკატის თანდასწრებით. ადვოკატ თანდილა ჯოლოგუას თანახმად, რომელმაც ვახტანგ გუჩუას საქმეზე მუშაობა 23 აპრილს დაიწყო, მორიგე ოფიცერმა, რომელმაც რეგისტრაციაში გაატარა ვახტანგ გუჩუა ზუგდიდის № 4 წინასაგამოძიებო იზოლატორში შესვლისას 2005 წლის 21 აპრილს, არ დააფიქსირა დაკავებულის სხეულის დაზიანებები, მიუხედავად იმისა, რომ დაკავებულმა აჩვენა მას რამდენიმე დაზიანება. თანდილა ჯოლოგუამ უამბო საერთაშორისო ამნისტიას: “როდესაც მე პირველად ვნახე გუჩუა 23 აპრილს, მას ჰქონდა შავი ლაქები სხეულზე, სისხლჩაქცევები. მე ვესაუბრე ციხის დირექტორს და მივანიშნე, რომ არცერთი ეს დაზიანება არ იყო

აღრიცხული მორიგე ოფიცრის მიერ. ამის შემდეგ ციხის დირექტორმა გასცა ბრძანება სამედიცინო გამოკვლევის შესახებ”.

ზაალ აკობია აგრეთვე დააკავეს საკუთარ სახლში 2005 წლის 18 აპრილს. მისი აზრით, იგი წაიყვანეს კედლას ქუჩაზე არსებულ სპეციალური დანიშნულების პოლიციის განყოფილებაში. ზაალ აკობიამ საერთაშორისო ამნისტიას უამბო: “ყველა მათგანს ეკეთა ნიღბები. მათ ჩემი ცემა დაკავებისას დაიწყეს, ასევე გააგრძელეს გზაში და შემდეგ მათ ოფისში. თავდაპირველად ფეხზე ვიდექი, მაგრამ ცემისას დავეცი. სანამ მცემდნენ და მირტყამდნენ, პირში ნაჭერი ჩამჩარეს, რომ ვერ მეყვირა. ამის შემდეგ მათ პირში ჩამიდეს იარაღის ლულა და სიკვდილით შემუქრებოდნენ, თუკი “აღიარებას” ხელს არ მოვაწერდი. ისინი მაშინებდნენ იმით, რომ ახალი საქმის ინსცენირებას მოახდენდნენ, იმ შემთხვევაში, თუ მე შევძლებდი ამ საქმიდან თავის დაღწევას”. ზაალ აკობია ამტკიცებდა, რომ იგი უდანაშაულოა ჯემალ ნარმანიას მკვლელობაში და განუცხადა ორგანიზაციას, რომ თვითმკვლელობას ჩაიდენდა იმ შემთხვევაში, თუ ვერ დაამტკიცებდა თავის უდანაშაულობას. იმავე საღამოს იგი გადაიყვანეს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონულ პოლიციაში. მისი განცხადებით, მან პირველად თავისი ადვოკატი 19 აპრილს იხილა.

სასამართლო სამედიცინო ექსპერტმა, როინ პეტელავამ ვახტანგ გუჩუას და ზაალ აკობიას გამოკვლევა 2005 წლის 27 აპრილს ჩაუტარა და მათ სხეულებზე სისხლჩაქცევები და ნაკაწრები აღმოაჩინა. მისი შეფასების მიხედვით, დაზიანებები, რომლებიც მან დაახასიათა როგორც სუსტი, გამოწვეული იყო ბლაგვი საგნით.⁴⁸

ორივე მამაკაცი გათავისუფლებულ იქნა 16 ივლისს და ყველა ბრალდება მოეხსნათ. მათ ბრალი ედებოდათ “წინასწარგანზრახული მკვლელობა დამაძიმებელ გარემოებებში”, ხოლო ვახტანგ გუჩუას აგრეთვე ბრალად ედებოდა “ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ფლობა”.

საერთაშორისო ამნისტიამ მიაწოდა ცნობა შემთხვევის შესახებ გენერალურ პროკურატურაში და მოითხოვა ინფორმაცია იმ ნაბიჯების შესახებ, რომელიც პროკურატურამ გადადგა წამებასა და სასტიკი მოპყრობის განცხადებების პასუხად. 10 ნოემბერს, გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის განყოფილებამ აცნობა ორგანიზაციას, რომ 3 ოქტომბერს ზუგდიდის პროკურატურამ მსვლელობა მისცა წინასწარ გამოძიებას განცხადებების საფუძველზე. 1 ნოემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს, აფხაზეთის განყოფილების, სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ყოფილი წარმომადგენელი დაკავებულ იქნა “სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბების” ბრალდებით (სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი № 333, ნაწილი 3 გ). წინასწარმა გამოძიებამ დაადგინა, რომ პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა ზაალ აკობიას პირში ჩაუდეს ნაჭერი, რათა მისი ყვირილის ხმა არ გასულიყო გარეთ. შემდეგ, ერთ-ერთმა ოფიცერმა, რომელსაც ბრალი წაუყენეს სამ სხვა პოლიციელთან ერთად, “ფიზიკური შეურაცხოვა მიაყენეს მას, რათა მიეღოთ მისგან აღიარება”. წინასწარი გამოძიების მიერ “იმ სამი სხვა პოლიციის თანამშრომლის ვინაობა და მათი მონაწილეობა გუჩუას ცემაში” ჯერ კიდევ დადგენის მსვლელობაში იყო.

როინ პეტელავამ, რომელიც მუშაობდა სასამართლო სამედიცინო ექსპერტად 32 წლის განმავლობაში ქ. ზუგდიდში, 2005 წლის 13 მაისს განუცხადა საერთაშორისო ამნისტიას, რომ მან გამოკვლევა ჩაუტარა ადამიანებს სხეულის დაზიანებებით, რომლებიც შესაძლებელია გამოწვეული ყოფილიყო რეგულარული წამების ან სასტიკი მოპყრობის შედეგად. მან განაცხადა: “[გენო] ქულავასა და [ვახტანგ] გუჩუას შემთხვევებს გარდა მე

⁴⁸ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ, ქ. ზუგდიდი, 2005 წლის 13 მაისი.

კიდევ მრავალ ცემის შემთხვევასთან მქონია საქმე. ციხის ექიმები ხშირად მომმართავენ, როდესაც პატიმრები ციხეში სხეულის დაზიანებებით გადმოჰყავთ”.

საერთაშორისო ამნისტიამ ფაქტების მოძიების მისიების დროს შეიტყო რამდენიმე შემთხვევის შესახებ, როდესაც ადამიანები არ ასაჩივრებდნენ მათდამი პოლიციის მიერ სასტიკ მოპყრობას, აშკარად იმის შიშით, რომ მსგავსმა ქმედებამ შეიძლება მათი მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესოს. წამება არ ხდება მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მოიპოვონ “ადიარება” ან რაიმე განცხადება დაკავებულებისაგან. დამნაშავეები ასევე მიმართავენ ამ მეთოდებს დაკავებულებში შიშის დასანერგავად და თავიანთი უსაზღვრო ძალაუფლების დემონსტრირების მიზნით. ეს კი უზრუნველყოფს დაშინებული მსხვერპლისა და მისი ნათესავების მხრიდან სიჩუმეს. საერთაშორისო ამნისტიას სახალხო დამცველმა უამბო რამდენიმე შემთხვევის შესახებ, როდესაც ის დარწმუნებული იყო, რომ სხეულის დაზიანების მქონე დაკავებულთა შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მათ ცემას, თუმცა დაკავებულები უარს ამბობდნენ განცხადების გაკეთებაზე ან ჩივილის შემთხვევაში მოგვიანებით უკან გამოჰქონდათ თავიანთი განცხადება. საქართველოს წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის წარმომადგენელმა თეიმურაზ რეხვიაშვილმა 2005 წლის 18 აპრილს განუცხადა საერთაშორისო ამნისტიას: “რეგიონების წარმომადგენლები კიდევ უარეს მდგომარეობაში არიან. როდესაც სასჯელის მოხდის შემდეგ ისინი დაბრუნდებიან სახლებში, იგივე პოლიციელი კვლავ იქ დახვდებათ, რაც პოლიციის მხრიდან შურისძიების შიშს ბადებს.”

კ.ე.⁴⁹ პოლიციამ 2005 წლის მაისში დააკავა. როდესაც იგი წაიყვანეს თბილისში არსებულ დიდის წინასწარი დაკავების საპყრობილეში, სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფმა, რომელიც იმ დროს იქ იმყოფებოდა, გამოკითხა დაკავებული და აღრიცხა მისი სხეულის დაზიანებები. ჯგუფმა საქმის მასალები გადასცა კ.ე.-ს დაკავების რაიონულ პროკურატურას აღნიშნული დაზიანებების წარმოშობის გამოძიების მიზნით. კ.ე.-ს ადვოკატმა, არასამთავრობო ორგანიზაცია “ადამიანის უფლებების საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრიდან” საერთაშორისო ამნისტიას უამბო: “ჩემმა კლიენტმა უარი განაცხადა მისი ცემის შესახებ ინფორმაციის პროკურატურისათვის გადაცემაზე. ის ცხოვრობს მცირე დასახლებაში. პოლიცია და პროკურატურა ერთ შენობაში არის განთავსებული და ისინი კარგად იცნობენ ერთმანეთს. მას ეშინია, რომ როცა პოლიცია შეიტყობს მის მიერ სასტიკი მოპყრობის ფაქტზე საჩივრის შეტანის შესახებ, იგი სამაგიეროს გადაუხდის მას მისი ვაჟიშვილის წინააღმდეგ ხელოვნურად მოწყობილი საქმის გახსნით.”⁵⁰ ადვოკატმა დაამატა: “პროკურორმა მითხრა, რომ საქმე ალბათ დაიხურება, ვინაიდან დაკავებულმა არ ითანამშრომლა გამოძიებასთან. რამდენადაც მე ვიცი, პროკურატურას არ გამოუძიებია სხეულის დაზიანებების წარმოშობის მიზეზები რაიმე სხვა ხერხებით, მაგალითად ისეთი, როგორც არის პოლიციის გამოკითხვა და სხვა შესაბამისი სამხილების მოპოვება”.

საერთაშორისო ამნისტიის მიერ გამოკითხული ადამიანის უფლებების დამცველთა და ადვოკატთა თქმით, მრავალი ადვოკატი არ ურჩევს თავის კლიენტს წამებისა და სასტიკი მოპყრობის შესახებ საჩივრის შეტანას. კერძოდ, სასამართლოს მიერ დანიშნული ადვოკატები ხშირად გაურბიან პოლიციელთა დადნაშაულებას და მათი მხრიდან წამების ფაქტების იგნორირების ტენდენცია ძლიერია.

საერთაშორისო ამნისტიას აქვს ინფორმაცია ისეთი შემთხვევის შესახებ, როდესაც წამების მსხვერპლს და მის ადვოკატს, რომელსაც წარმატებული

⁴⁹ პიროვნების დაცვის მიზნით შეცვლილია ინიციალები.

⁵⁰ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ, ქ. თბილისი, 2005 წლის 28 ოქტომბერი.

გამოცდილება აქვს წამებასთან დაკავშირებულ მრავალ საქმეში, შეაქვთ საჩივარი პოლიციის მხრიდან სისასტიკის თაობაზე. მაგრამ როდესაც პროკურატურა იწვევს გამოძიებას ამ მიმართულებით, დაზარალებული აცხადებს, რომ არ ახსოვს, თუ როგორ გამოიყურებოდა დამნაშავე პოლიციელები, თიმცა მას შეეძლო მათი ამოცნობა. ადვოკატმა ორგანიზაციას განუმარტა: “თუ იგი ამოიცნობს დამნაშავეს, დიდი შანსია იმისა, რომ ამან უარყოფითი გავლენა იქონიოს დაკავებულის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე”.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რამდენიმე ორგანომ განსაკუთრებული ხაზგამით აღნიშნა იმ დაკავებულთა და წამების მსხვერპლთა დაცვის აუცილებლობა, რომლებმაც შეიტანეს საჩივარი წამების ან სასტიკი მოპყრობის შესახებ. მაგალითად, წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა მიმართა მთავრობების წარმომადგენლებს, რათა “უზრუნველყონ წამების მსხვერპლთა უფლება საჩივრის შეტანის შესახებ, ისე რომ მათ არ ჰქონდეთ შიში შემდგომი რეპრესიების, შეურაცხყოფის, მკაცრი მოპყრობის ან სამართლებრივი დევნისა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ გამოძიებამ არ დაადასტურა განმცხადებლის საჩივრის მართებულობა.”⁵¹

ერთერთი შემთხვევა, როცა საერთო აზრით დაკავებულის მიერ საჩივრის გაკეთების ხელისშემშლელი პირობა გახდა შურისძიების შიში, გახლავთ სულხან მოლაშვილის საქმე. პირველად მან დაიწყო საუბარი პოლიციის მხრიდან სასტიკ მოპყრობაზე მისი დაკავებიდან მხოლოდ ცხრა კვირის შემდეგ, 2004 წლის აპრილში. როდესაც ივლისში ნანა კაკაბაძემ (არასამთავრობო ორგანიზაცია “ყოფილი პოლიტიპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის”) ინახულა იგი ციხეში და მოითხოვა შეეხედა მისი ზურგისათვის, რათა შეემოწმებინა იყო თუ არა ნაიარევი, მოლაშვილი თავდაპირველად შეეწინააღმდეგა. საბოლოო ჯამში კაკაბაძემ დაითანხმა დაკავებული და აღმოაჩინა რამდენიმე ჭრილობა, რომლებიც ჰგავდა ანთებული სიგარეტით მიყენებულ ნაიარევს. ამის შემდეგ დაკავებულმა პირველად განმარტა თუ საიდან ჰქონდა ეს დაზიანებები.

2004 წლის 22 აპრილს კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე, სულხან მოლაშვილი დააკავეს მაშინ, როდესაც იგი მივიდა თბილისის ქალაქის პროკურატურაში სასამართლოს გამოძახების საფუძველზე. იქ მას წაუყენეს ბრალი ფინანსურ დარღვევებსა და “უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში”. იგი გადაიყვანეს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში. მას შემდეგ, რაც მისი ადვოკატი წავიდა, პოლიციის თანამშრომლებმა აუკრეს თვალები წებოვანი ლენტით (სკოჩით) და აიყვანეს ზედა სართულზე, სადაც რამდენიმე კაცი არწმუნებდა ელიარებინა საკუთარი დანაშაული. დოცა კი მან უარი განაცხადა, იგი დასვეს სკამზე, ხელები საზურგის უკან შეუკრეს, გახადეს შარვალი და დაუწვეს ელექტრო შოკით წამება. ამის შემდეგ, მათ გახადეს მაისური, რასაც მოჰყვა წვის შეგრძნება ზურგზე, ალბათ მოკიდებული სიგარეტის მიწვის შედეგად. ისი განაცხადებით მათ ჩააქრეს რამდენიმე სიგარეტს, რის შემდეგაც იგრძნო დამწვარი სხეულის სუნი.

მისი ცნობით, პოლიცია გამუდმებით აშინებდა, რომ თუ ის ვინმეს უამბობდა წამების შესახებ, მისი ოჯახი დაზარალებოდა. ამ დაშინების გამო, როგორც იგი აღნიშნავს, მან არავის უამბო წამების ფაქტის შესახებ, მათ შორის არც ადვოკატს.

3 ივლისის დამეს, გამთენიისას, სულხან მოლაშვილი გადაიყვანეს № 7 წინასაგამოძიებო იზოლატორში. ნანა კაკაბაძე ეჭვობს, რომ სულხან მოლაშვილის გადაყვანა იყო პირდაპირი რეაქცია ნანა კაკაბაძის მიერ 2 ივლისის პრესკონფერენციაზე

⁵¹ წამების წინააღმდეგ კომიტეტის შემაჯამებელი დაკვირვებები: ტუნისი. 19 ნოემბერი 1998 წ. UN Doc. A/54/44, პარაგრაფი 102.

გაკეთებულ განცხადებაზე, რომ სულხან მოლაშვილი იყო ნაწამები. საკანი, სადაც იგი გადაიყვანეს, გამოირჩეოდა განსაკუთრებულად ცუდი პირობებით. 3 ივლისს თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელმა, თეა თუთბერიძემ იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის თავმჯდომარესთან, იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო ექსპერტთან და № 7 წინასაგამოძიებო იზოლაციის ხელმძღვანელთან ერთად ინახულა სულხან მოლაშვილი. ამ ვიზიტის შემდეგ, თეა თუთბერიძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ სულხან მოლაშვილს ჰქონდა სივარდით მიყენებული მრავალი დაზიანება ზურგზე, და ნაწიბურები კოჭებთან, სადაც მისი [თეა თუთბერიძის] აზრით ელექტროშიკის მოწყობილობის მავთულები იყო მიმაგრებული. სულხან მოლაშვილმა განაცხადა, რომ მას არ გაუვლია სამედიცინო შემოწმება, როდესაც ის პიტველად მიიყვანეს წინასაგამოძიებო იზოლაციაში. 7 ივლისს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის დელეგაციამ ინახულა სულხან მოლაშვილი თავის საკანში. კომიტეტის 2004 წლის ანგარიშის თანახმად, სულხან მოლაშვილის საკანს “საერთოდ არ ჰქონდა განათება, ხოლო [...] უნიტაზის წყლის მოწყობილობის ცუდად ფუნქციონირების გამო იგი მუდმივად და ძლიერ ხმაურობდა”.⁵²

სასამართლო სამედიცინო ექსპერტმა, ბატონმა ჯიბლაძემ, რომელმაც გამოიკვლია სულხან მოლაშვილი 5 ივლისს, დოკუმენტურად დააფიქსირა ზურგზე რამდენიმე მრგვალი, წერტილის ფორმის იარა. ექსპერტის დასკვნით, ნაიარვეი გამოწვეული იყო ინტენსიური სითბური ზემოქმედებით ბოლო 6 თვის პერიოდის განმავლობაში.

დამოუკიდებელმა სასამართლო სამედიცინო ექსპერტმა მაია ნიკოლეიშვილმა სულხან მოლაშვილი გამოიკვლია 9 ივლისს და ასევე გამოიტანა დასკვნა, რომ ჭრილობები მიყენებული იყო მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებით. მან გამორიცხა, რომ სულხან მოლაშვილს ეს ჭრილობები მიყენებინა საკუთარი ხელით.

წამების მსხვერპლთა სარეაბილიტაციო ცენტრ “ემპათიას” ექიმებმა, რომლებმაც სულხან მოლაშვილი გამოიკვლიეს 20 ივლისიდან 27 აგვისტომდე, დაასკვნეს, რომ იგი განიცდიდა პოსტტრავმატულ სტრესულ მოშლილობას, წამების შემდგომ ხანგრძლივ-მოქმედ პიროვნების ცვლილებებს, ნერვულ მოშლილობას, რომელოც ვლინდებოდა ემოციურ აფეთქებებსა და პანიკურ შეტევებში. გარდა ამისა, მას აღენიშნებოდა ნაღვლის ბუშტის ანთება, ვენების გაგანიერება, ანგინა და მცირე ზომის წრიული დამწვრობები ზურგზე.⁵³

2004 წლის 5 ივლისს ქ. თბილისის პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე, რომელიც დაკავშირებული იყო წამებასა და სასტიკ მოპყრობასთან. საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის პირველი არხის ინფორმაციით, იმავე დღეს გენერალური პროკურორის მოადგილემ გიორგი ჯანაშიამ განუცხადა პრესას: “თუ გამოძიება დაადგენს, რომ მოლაშვილი ციხეში აწამეს, მოხდება უადრესად მძიმე ზომების მიღება ყველას მიმართ, ვინც დაკავშირებულია ამ საქმესთან, მიუხედავად იმისა, იქნება ეს იუსტიციის მინისტრი თუ რიგითი თანამშრომელი.”

სულხან მოლაშვილის ერთ-ერთმა ადვოკატმა, იოსებ ბარათაშვილმა საერთაშორისო ამნისტიას 2005 წლის 27 ოქტომბერს განუცხადა, რომ ჯერ კიდევ არ იყო აღძრული სისხლის სამართლის საქმე სავარაუდო დამნაშავეების წინააღმდეგ. “დაკავების დროს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. მას

⁵² ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მიერ აღებული ვალდებულებების და მოვალეობების შესრულების კომიტეტის (მონიტორინგის კომიტეტი) ანგარიში სათაურით “საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულება”. 2004 წლის 21 დეკემბერი, Doc. 10383, პარაგრაფი 54.

⁵³ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან, ქ. თბილისი, 2005 წლის 27 აპრილი.

აქვს პრობლემები გულთან და ღვიძლთან დაკავშირებით. გარდა ამისა, დამოუკიდებელმა სასამართლო სამედიცინო ფირმამ “ვექტორი” 2005 წლის 15 სექტემბერს დაადგინა, რომ იგი დაავადებულია ჩ-ჰეპატიტით”, - განაცხადა იოსებ ბარათაშვილმა.

7 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ სულხან მოლაშვილს მიუსაჯა ცხრაწლიანი პატიმრობა. მისმა ადვოკატებმა გაასაჩივრეს გადაწყვეტილება. ოქტომბრის ბოლოსთვის სააპელაციო სასამართლოს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამოტანილი განაჩენი.

სულხან მოლაშვილის ადვოკატებმა – იოსებ ბარათაშვილმა და შალვა შავეგულიძემ 2004 წლის ოქტომბერში სარჩელით მიმართეს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს იმის თაობაზე, რომ მათი კლიენტის წინააღმდეგ აღძრული საქმე იყო შეთხზული პოლიტიკური მიზეზების გამო და ასაბუთებენ, რომ პროცესი სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისო სტანდარტების დარღვევით მიმდინარეობდა.

სისასტიკის მსხვერპლის მხრიდან შურისძიების შიშის არსებობა მიანიშნებს იმაზე, რომ სახელმწიფო ჯერ კიდევ შორსაა წამებისა და სასტიკი მოპყრობის აღმოფხვრისაგან. ვიდრე არ მოხდება ყველა საჩივრის დროულად, საფუძვლიანად და მიუკერძოებლად გამოძიება და ვიდრე დამნაშავეები არ გადაეცემიან მართლმსაჯულებას, მსხვერპლს ყოველთვის ექნება საკმაო მიზეზი, რათა არ წამოვიდეს თანამშრომლობაზე.

სისასტიკისგან დაცვის სამართლებრივი გარანტიები და მათი განხორციელება

საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა უკვე შეიცავდა წამებისა და სისასტიკი მოპყრობისაგან დაცვის რამდენიმე მნიშვნელოვან გარანტიას. მოქმედმა მთავრობამ დამატებითი მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა დაკავებულთა პოლიციის სისასტიკისაგან დასაცავად, კანონმდებლობის გაძლიერების გზით.⁵⁴ მიუხედავად ამისა, “ვარდების რევოლუციის” შემდეგ წარმოდგენილი ზოგიერთი საკანონმდებლო ცვლილება ბევრმა იურისტმა და ადამიანის უფლებების აქტივისტმა გააკრიტიკა იმის საფუძველზე, რომ ისინი ადამიანებს აყენებდნენ სამართალდამცავთა მიერ წამებისა და სისასტიკი მოპყრობის მეტი რისკის ქვეშ (იხ. ქვემოთ).

წამებისა და სისასტიკი მოპყრობის წინააღმდეგ დაცვის სამართლებრივი გარანტიების ეფექტურობის უმნიშვნელოვანესი ასპექტია მათი წარმატებული დანერგვა. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ და ობიექტურად გამოიძიოს ყველა ცნობა იმის თაობაზე, რომ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიერ მოხდა აუცილებელი პროცედურების დარღვევა, ან რომ პოლიციის, პროკურორების ან მოსამართლეების მიერ წამების ან სისასტიკი მოპყრობის ფაქტების დაფარვა მოხდა, ან არ იქნა მიღებული საჭირო ზომები რათა შემოწმდეს ამგვარი მოპყრობის მამხილებელი ყველა ცნობა და მათ შესატყვისი რეაგირება მოყვეს.

საერთაშორისო ამნისტიამ მიიღო მრავალი ცნობა დაცვის სამართლებრივი საშუალებების დანერგვაში არსებული ხარვეზების შესახებ. ქ. თბილისში 2005 წლის აგვისტოში სახალხო დამცველმა ჩაატარა პოლიციის განყოფილებებისა და წინასწარი დაკავების დაწესებულებების მონიტორინგი. გამოვლინდა, რომ სახალხო დამცველისა და მისი თანამშრომლების მიერ გამოკითხულ დაკავებულთა შორის, 31 დაკავებულს არ აუხსნეს მათი, როგორც ეჭვმიტანილის უფლებები; 26 მათგანს არ შეატყობინეს დაცვის სამართლებრივი საშუალებების შესახებ; 29 მათგანს არ აუხსნეს დუმილის უფლების გამოყენების შესაძლებლობა; ხოლო 20 მათგანს არ მისცეს დაკავებულის უფლებების ამსახველი საინფორმაციო ფურცელი.⁵⁵

თბილისში მცხოვრებმა დიპლომატმა საერთაშორისო ამნისტიას განუცხადა 2005 წლის სექტემბერში: “ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა არის ის, რომ გაურკვეველია, თუ რას ამბობს კანონი ამ კონკრეტულ მომენტში. იმ ხალხმა, რომელიც თავის საქმეში იყენებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, მაგალითად, მოსამართლეები, პროკურორები და ადვოკატები, ხშირად არ იციან, თუ როგორია მიმდინარე სიტუაცია. პარლამენტში ასობით საკანონმდებლო ცვლილებას იღებენ; ხშირ შემთხვევაში თვითონ პარლამენტარებმაც კი არ იციან, თუ რას აძღვევენ ხმას. რთულია დაინახო ახალი კანონმდებლობის ამსახველი სრული სურათი. სტამბაც კი ვერ ეწევა მიღებული ცვლილებების მიღების სიჩქარეს. ამის გარდა, არსებობს გეგმები, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სრულიად ახლიდან გადაწერა. ამის გამო ბევრი ადამიანი ფიქრობს, ღირს თუ არა აუკამად ყველა ცვლილების შესწავლა.”

⁵⁴ საერთაშორისო ამნისტიამ შესაძლებლობის ფარგლებში გამოიყენა კანონმდებლობის ოფიციალური თარგმანები ინგლისურ ენაზე, რაც მოხერხდა, მაგალითად, კონსტიტუციის შემთხვევაში. სხვა დანარჩენ შემთხვევებში, გამოყენებულ იქნა არაოფიციალური თარგმანები.

⁵⁵ “სახალხო დამცველის ოფისის მიერ 2005 წლის აგვისტოში გამოცემული “პოლიციის მონიტორინგის სტატისტიკის ანალიზი”.

პოლიციის აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობების და განვითარების განყოფილების წარმომადგენლის, მარინა ლებანიძის თანახმად, “ახალქალაქში ახალი სამართლებრივი ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიღებაც კი არ ხდება დროულად. პლუს ამას, პოლიციელთა 98 პროცენტი სომეხი ეროვნებისაა და უმრავლესობა ვერც კითხულობს ქართულ ტექსტს, ხოლო სომეხური თარგმანები არ არსებობს.”⁵⁶

გარდა ამისა, საერთაშორისო ამნისტიას აფიქრებს ისეთი ცნობების მომრავლება, რომლებიც დაკავშირებულია ინდივიდუალურ შემთხვევებში პროკურორებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ მოსამართლეების გადაწყვეტილებებზე გაგლენის მოხდენის ფაქტებთან. “ბოლო ხანებში მოსამართლეები, როგორც ნოტარიუსები, ისე არიან. ისინი ასრულებენ პროკურატურის ბრძანებებს,” განაცხადა საქართველოს იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა, გირშელ ძეგნიაურმა.⁵⁷ თბილისში მომუშავე დიპლომატმა განუცხადა საერთაშორისო ამნისტიას: “რთულ საქმეებში მოსამართლისათვის ძნელი იქნება, კითხოს განსასჯელს იყო თუ არა მის მიერ გაკეთებული აღიარება წამების შედეგად მიღწეული. იმ შემთხვევაში, თუ დაკავებულის მიერ ძალდატანების ქვეშ მიცემული ინფორმაცია ემთხვევა პროკურატურის ვერსიას, მაშინ ისინი გამოიყენებენ ამ ინფორმაციას როგორ მტკიცებულებას [...] ბევრი მოსამართლე არა მხოლოდ სატელეფონო მუქარებს იღებს, არამედ ისინი სულ უფრო ხშირად იტყობინებიან, რომ ადგილი აქვს მათ დაშინებას ფიზიკური ძალადობისა და იარაღის მუქარით.” ძლიერი და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის არსებობა აუცილებელია, რომ აღმოიფხვრას წამებისა და სასტიკი მოპყრობის ფაქტებზე დაუსჯელობა. ვიდრე განსაკუთრებული ყურადღება არ დაეთმობა ჭეშმარიტად დამოუკიდებელი სასამართლოს შექმნას, სასამართლო ხელისუფლებაზე მიმართული ზეწოლა გააქარწყლებს მთავრობის მიერ წამებისა და არაჰუმანური მოპყრობის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯებს.

ეს თავი წარმოგიდგინებთ წამებისა და სასტიკი მოპყრობის შესახებ ეროვნული კანონმდებლობის მიმოხილვას. გარდა ამისა, იგი მოიცავს რამდენიმე ბოლო დროის მაგალითს სიტუაციისა, როდესაც დაცვის სამართლებრივი საშუალებები არ იყო გამოყენებული; ასევე, ადვოკატთა კომენტარებს ამ საშუალებების განხორციელების შესახებ. ძირითადად, საერთაშორისო ამნისტიას ეს ინფორმაცია მიღებული აქვს 2005 წლის ოქტომბერში საქართველოში ვიზიტის დროს.

ეროვნული კანონმდებლობა წამებისა და სასტიკი მოპყრობის შესახებ

საქართველოს კონსტიტუცია კატეგორიულად კრძალავს “წამებას, არაჰუმანურ, სასტიკ მოპყრობასა და სასჯელს”.⁵⁸ ის აგრეთვე კრძალავს დაკავებულის მიმართ ფიზიკურ ან ფსიქიკურ ზემოქმედებას და აღნიშნავს, რომ კანონის დადგევით მოპოვებული მტკიცებულება მიუღებელია და მას არ გააჩნია იურიდიული ძალა.⁵⁹ თუმცა, საგანგებო ვითარების შემთხვევაში ეს უფლებები შესაძლებელია შეჩერებულ იქნას.⁶⁰

⁵⁶ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ, თბილისი, 2005 წლის 28 ოქტომბერი.

⁵⁷ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ, თბილისი, 2005 წლის 27 ოქტომბერი.

⁵⁸ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17 (2).

⁵⁹ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 18 (4): “ფიზიკური და მორალური ძალადობა დაკავებულ ან სხვა მხრივ შეზღუდულ პიროვნებაზე არ არის დაშვებული”. კონსტიტუციის მუხლი 42 (7): “კანონის დადგევით მიღებულ მტკიცებულებას არ გააჩნია იურიდიული ძალა”. აგრეთვე იხ. წამების წინააღმდეგ კონვენციის მუხლი 15.

⁶⁰ კონსტიტუცია, მუხლი 46.

საერთაშორისო სამართლის თანახმად, წამება და სასტიკი მოპყრობა აკრძალულია ყველა დროსა თუ ყველა შემთხვევაში. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-4-ე მუხლი მკაფიოდ გამორიცხავს პიროვნების წამების ან სასტიკი მოპყრობის აკრძალვიდან გადახვევას ისეთ საგანგებო ვითარებაშიც კი, როდესაც საფრთხეშია ერის გადარჩენა. წამების წინააღმდეგ კონვენციის მუხლ 2 (2)-ის თანახმად “არანაირი ვითარება, იქნება ეს საომარი მდგომარეობა თუ ომის საფრთხის მოახლოება, შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა თუ სხვა სამოქალაქო საგანგებო სიტუაცია, არ შეიძლება იყოს წამების გამართლება”. ეს მუხლი კონკრეტულად ეხება წამებას, თუმცა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის პრაქტიკა მიუთითებს, რომ სასტიკი მოპყრობის აღკვეთა ასევე წარმოადგენს ჯუს ცოგენს (სავალდებულოა).⁶¹

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-12-ე მუხლის თანახმად, “დაუშვებელია პროცესის მონაწილეთა თუ სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში, აგრეთვე მათი პატივისა და ღირსების შემლახველი მეთოდების გამოყენება”. იგივე მუხლში აღნიშნულია, რომ “საგამოძიებო თუ სასამართლო მოქმედების ჩატარებისას აკრძალულია პიროვნების მიმართ მეძიებლობის, მუქარის, შანტაჟის, წამების, ფიზიკური თუ ფსიქიკური ძალადობის სხვა ხერხების გამოყენება”.

2005 წლის 23 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილება, რომელიც ეხება წამებისა და სასტიკი მოპყრობის დანაშაულს. წარსულში, საერთაშორისო თანამეგობრობა და ადამიანის უფლებების დამცველი ჯგუფები აკრიტიკებდნენ სისხლის სამართლის კოდექსს იმიტომ, რომ იგი არ მოიცავდა წამების განმარტებას ისე, როგორც ეს არის წამების წინააღმდეგ კონვენციაში.

ცვლილებების თანახმად, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 144 (1) ნაწილი 1 ახლა შემდეგნაირად განმარტავს წამების დანაშაულს: “პირის, მისი ახლო ნათესავის ან ფინანსურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირების ისეთ გარემოებაში ჩაყენება, ან ისეთი მოპყრობა ან დასჯა, რომელიც მისი ბუნებით, ინტენსიურობით და ხანგრძლივობით იწვევს ფიზიკურ ან ფსიქიკურ ტკივილს ან ტანჯვას და მიმართულია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მოსაპოვებლად; ან დააშინებს, შეურაცხყოფს ან დასჯის პიროვნებას იმ ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა ან ეჭვმიტანილია ასეთი ქმედების ჩადენაში”. ასეთი დანაშაული ისჯება ხუთიდან ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთით და/ან ჯარიმის გადახდით.

დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი დანაშაული ისჯება შვიდიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთით და კონკრეტული სამსახურეობრივი თანამდებობიდან ან პროფესიული საქმიანობიდან დროებით ხუთ წლამდე დისკვალიფიკაციით.⁶² დამამძიმებელ გარემოებებში იგულისხმება წამების ფაქტი, რომელიც განხორციელებულია “ოფიციალური პირის ან მასთან გათანაბრებული პიროვნების მიერ” ან განხორციელებულია “რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური დისკრიმინაციის ნიადაგზე”. წამებით დაშინების ფაქტი ისჯება ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთით, მუხლი 144 (2).

მუხლი 144 (3), რომლის სათაურიცაა “სასტიკი და დამამცირებელი მოპყრობა”, კრძალავს “პიროვნების დამცირებას ან შეურაცხოფას, მის სასტიკ და დამამცირებელ

⁶¹ საპრეცედენტო სამართლისათვის, იხ. ადამიანის უფლებების ინტერ-ამერიკული სასამართლო (2005), კესარი ტრინიდად და ტობაგოს წინააღმდეგ (Caesar v. Trinidad and Tobago, Inter-American), Ct. H. R. (Ser. C) No 123, 2005 წლის 11 მარტის სასამართლო განხილვა, პარაგრაფი 70.

⁶² სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 144 (1), ნაწილი 2.

გარემოებაში ჩაგდებას, რომელიც იწვევს ფიზიკურ, ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას” და ისჯება ჯარიმით და/ან თავისუფლების 5 წლამდე აღკვეთით. როგორც ზემოთ არის აღნიშნული, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი დანაშაული ისჯება სამიდან ექვს წლამდე პატიმრობით და/ან ჯარიმით და ასევე კონკრეტული სამსახურეობრივი თანამდებობიდან ან პროფესიული საქმიანობიდან დროებით ხუთ წლამდე დისკვალიფიკაციით.

გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის მიერ 2005 წლის 26 სექტემბერს მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, მუხლი 144 (1) ნაწილი 2 მხოლოდ ერთხელ გამოიყენეს. 2005 წლის 12 სექტემბერს სისხლის სამართლის საქმე გაიხსნა ამ მუხლის შესაბამისად ოზურგეთის რაიონის პოლიციის თანამშრომლის წინააღმდეგ, რომელმაც 2005 წლის აგვისტოს აწამა არასრულწოვანი რაჟდენ ბრეგვაძე.⁶³ მიუხედავად ახალი მუხლის ძალაში შესვლისა, წამებისა და სასტიკი მოპყრობის ბრალდების საფუძველზე გახსნილი ყველა სისხლის სამართლის საქმეში გამოიყენებოდა წარსულში მიღებული მუხლები, როგორც არის “სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება” (სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 332) და “სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება” (მუხლი 333).⁶⁴

დაპატიმრება

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, პოლიციის თანამშრომლები, გამომძიებლები და სხვა შესაბამისი ოფიციალური პირები შინაგან საქმეთა, იუსტიციის, თავდაცვის და ფინანსთა სამინისტროებიდან, ისევე, როგორც პროკურორები, ვალდებული არიან განახორციელონ დაპატიმრებები სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ზოგიერთ შემთხვევაში დაპატიმრება შესაძლებელია ორდერის გარეშეც, - მაგალითად, როდესაც პიროვნება დაკავებულია დანაშაული ჩადენის დროს ან უშუალოდ დანაშაულის ჩადენის შემდგომ.

ოფიციალური პირები, რომლებიც ახორციელებენ დაკავებას, ვალდებული არიან “ექვმიტანილს შეატყობინონ [...] თუ რა დანაშაულის გამო აპატიმრებენ და გააცნონ მისი უფლება მოითხოვოს ადვოკატი, შეინარჩუნოს დუმილი და უარი თქვას შეკითხვებზე პასუხის გაცემაზე; და უთხრან, რომ მის მიერ ნათქვამი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მისივე წინააღმდეგ სასამართლოში”. გარდა ამისა, ექვმიტანილს აქვს უფლება მიიღოს დაკავების ოქმის ასლი. კანონის თანახმად, ექვმიტანილის მიერ ამ ინფორმაციის მიღებამდე გაკეთებული ვერცერთი განცხადება “ვერ იქნება გამოყენებული საქმის მასალებში”.

2005 წლის მარტში საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლის 145 რამდენიმე ცვლილების შედეგად, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები ვალდებული არიან შეადგინონ დაკავების და ჩხრეკის (იმ შემთხვევაში თუ ჩხრეკა ჩატარდა) ოქმები. ეს უნდა გაკეთდეს დაუყოვნებლივ, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, ანგარიშები უნდა მომზადდეს დაკავებულის პოლიციის განყოფილებაში მიყვანისთანავე. ოქმი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დაპატიმრებისას დაკავებულის ფიზიკური მდგომარეობის შესახებ; დაკავებისა და პოლიციის განყოფილებაში მისი მიყვანის ზუსტ დროებს. თუ

⁶³ გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის განყოფილების თავმჯდომარის, თამარ თომაშვილის მიერ 2005 წლის 26 სექტემბერს მიწოდებული ინფორმაცია.

⁶⁴ ადამიანის უფლებათა დაცვის განყოფილების მიერ გამოცემული საინფორმაციო ბუკლეტის 2005 წლის ივლისი-აგვისტოს მოვლენების ამსახველი გამოცემის თანახმად, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 125 (“ცემა”) და 126 (“ძალადობა”) არასოდეს გამოყენებიათ საქართველოში წამებასა და არაჰუმანურ მოპყრობაში ბრალდებული პირების წინააღმდეგ.

დაკავების ოქმის მომზადება არ მოხდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად და თუ დოკუმენტი არ წარედგინა დაკავებულს, დაკავებული უნდა გაათავისუფლონ დაუყოვნებლივ. ეჭვმიტანილი უნდა მიიყვანონ პოლიციის განყოფილებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მისი დაკავებისთანავე.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ადვოკატის, გირშელ ძებნიაურის თანახმად, “ჯერ კიდევ ხშირად ხდება რომ პოლიცია ტოვებს ოქმში დაპატიმრების დროის ასახვისათვის განკუთვნილ ადგილს ცარიელს. ასეთ შემთხვევებში, ისინი დროს წერენ მოგვიანებით, რათა ჩაეტიონ ყველა ვადებში, რომელიც მითითებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში; - მაგალითად, ბრალდების წარდგენა უნდა მოხდეს 48 საათის განმავლობაში.”⁶⁵

საერთაშორისო ამნისტიას აშფოთებს ასეთი და მსგავსი შემთხვევების არსებობა, ვინაიდან ეს პრაქტიკა შეიძლება გამოყენებულ იქნას სასტიკი მოპყრობის ფაქტების დამალვის და წამებისა და სასტიკ მოპყრობის ფაქტების გამოძიებისთვის ხელის შეშლის მიზნით.

კონტაქტი გარე სამყაროსთან და იურიდიული კონსულტაცია

ევროკავშირის წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა შეიმუშავა სამი “ფუნდამენტური დაცვის საშუალება” სასტიკი მოპყრობის წინააღმდეგ, რომლებსაც კომიტეტი რეგულარულად დებს თავის სახელმწიფოებისადმი მომზადებულ რეკომენდაციებში. ეს საშუალებებია:

- უფლება, დაკავების შესახებ ეცნობოს დაკავებულის ახლო ნათესავს ან მესამე მხარეს მისივე არჩევით;
- უფლება ადვოკატის მოთხოვნაზე;
- საკუთრად არჩეული ექიმის მიერ სამედიცინო გამოკვლევის უფლება (პოლიციის თანამდებობის პირთა მიერ მოწვეული ექიმის ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევაზე დამატებით).

“წამების საწინააღმდეგო კომიტეტი ითვალისწინებს აღნიშნულ სამ უფლებას, როგორც სამ ფუნდამენტალურ თავდაცვის საშუალებას პატიმრობაში მყოფ პირთა სასტიკი მოპყრობის წინააღმდეგ, რომელიც უნდა განხორციელდეს დაკავების პირველივე მომენტიდან (მაგალითად, იმ მომენტიდან, როდესაც პიროვნება ვალდებულია დარჩეს პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ).”⁶⁶

2004 წლის აგვისტოს მიღებული ცვლილებების ძალაში შესვლამდე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად იმ ადამიანებს, რომლებიც დაკავებულ იქნენ პოლიციის მიერ, არ გააჩნდათ იურიდიული სტატუსი დაახლოებით 12 საათის მანძილზე, სანამ ოფიციალურად მოხდებოდა მათი ეჭვმიტანილად აღიარება. მხოლოდ იმათ, ვინც აღიარებულ იქნებოდა ეჭვმიტანილად, კანონის შესაბამისად გააჩნდათ ადვოკატის მოთხოვნის უფლება. მიღებული ცვლილებების შედეგად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ახლა განმარტავს, რომ პიროვნებებს დაკავებისთანავე ენიჭებათ ეჭვმიტანილის სტატუსი. მათ აგრეთვე აქვთ უფლება დაკავებისთანავე მოითხოვონ ადვოკატი.

⁶⁵ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ, თბილისი, 2005 წლის 27 ოქტომბერი.

⁶⁶ ეს ფორმულირება ამოღებულია წამების წინააღმდეგ კომიტეტის მიერ მალტაში მეორე პერიოდული ვიზიტის ანგარიშიდან (1995), CPT/Inf (96) 25, პარაგრაფი 24-25.

1997 წლის აპრილში (გაეროს) ადამიანის უფლებების კომიტეტის საქართველოს შესახებ შემაჯამებელი დაკვირვებების დოკუმენტის თანახმად, “ყველა პიროვნებას უნდა ჰქონდეს ადვოკატის მოთხოვნის უფლება დაკავებისთანავე”.⁶⁷

მიუხედავად ამისა, გასულ თვეებში იყო შემთხვევები, როდესაც პიროვნებას არ მისცეს ადვოკატთან დაკავშირების უფლება ან ეს უფლება მისცეს დაგვიანებით. როდესაც ადვოკატებს სურთ კლიენტების ნახვა წინასწარი დაკავების დაწესებულებებში, მათ სჭირდებათ კონკრეტული საქმის გამომძიებლის სიტყვიერი ნებართვა. 2005 წლის 25 ოქტომბერს არასამთავრობო ორგანიზაციის, ადამიანის უფლებების ინფორმაციის და დოკუმენტაციის ცენტრის ადვოკატმა, დავით მანაგაძემ, საერთაშორისო ამნისტიას განუცხადა: “როდესაც გამომძიებელი იმყოფება დაკითხვაზე, ის თიშავს მობილურ ტელეფონს. ოქტომბრის დასაწყისში მე შევესწარი, რამდენი ხანი მოუწია ადვოკატს კლიენტთან შეხვედრის ლოდინი, მხოლოდ იმიტომ რომ შეუძლებელი იყო გამომძიებლის პოვნა.” ადვოკატ ეკა ბესელიას თანახმად, “ზოგჯერ ადვოკატებს უწევთ ძალიან დიდ ხანს ლოდინი სანამ წინასწარი დაკავების დაწესებულების თანამშრომლები იპოვნიან გამომძიებელს. ხშირ შემთხვევაში, ისინი არ გაძლევენ პირდაპირ შესვლის უფლებას, რათა მისცენ თანამშრომლებს დრო, შეავსონ დაკავების ოქმი.”⁶⁸ ეკა ბესელიამ დასძინა: “ჩემი კლიენტი, ირაკლი სიორიძე, რომელიც სცემეს შინაგან საქმეთა სამინისტროში 2005 წლის 3 აგვისტოს, შემდეგ გაათავისუფლეს. თუმცა, იგი კვლავ გამოიძახეს შინაგან საქმეთა სამინისტროში 2005 წლის 10 აგვისტოს. იგი წაიყვანეს წინასწარი დაკავების დაწესებულებაში ვაჟა-ფშაველას გამზირზე [ქ. თბილისი]. ჩვენ ვნერვიულობდით, რომ კვლავ არ განეხორციელებინათ სასტიკი მოპყრობა მის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ მე მივედი ადგილზე, ვერ შევძელი მისი ნახვა, ვინაიდან იყო უკვე საღამო, ხოლო სამუშაო საათების შემდეგ ისინი არ იძლევიან შენობაში შესვლის უფლებას.”

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მუხლის 14 (3) (ბ) თანახმად, სისხლის სამართლის ბრალდების პიროვნებისათვის წაყენების საკითხთან დაკავშირებით, ყველას უნდა გააჩნდეს უფლება გაეცნოს საბრალდებო გადაწყვეტილებას, სხვა მიზეზებს შორის იმისთვის, რომ “ჰქონდეს საჭირო დრო და ბაზა დაცვის მომზადებისათვის და საკუთარი არჩევანის მიხედვით ადვოკატთან შეხვედრისათვის”. ადვოკატის როლის ძირითადი პრინციპების პარაგრაფი 8 განმარტავს, რომ “ყველა დაპატიმრებულს, დაკავებულს და თავისუფლება აღკვეთილ პირს უნდა ჰქონდეს საჭირო შესაძლებლობები, დრო და ადგილი იმისათვის, რომ იგი მოინახულოს ადვოკატმა და კონსულტაცია გაუწიოს დაგვიანების, დაბრკოლების, ცენზურის გარეშე და სრული კონფიდენციალურობის პირობებში”.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2005 წლის მარტში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, ვადა, რომლის დროსაც ეჭვიმტანილმა უნდა აირჩიოს დამცველი, გაიზარდა დაკავებიდან 6 საათამდე. თუ ამ პერიოდის განმავლობაში ეჭვიმტანილმა არ აირჩია დამცველი, მას აქვს უფლება იყოლიოს სახელმწიფო დამცველი უფასოდ. ეჭვიმტანილებსა და პირებს, რომელთაც წაყენებული აქვთ ბრალდება, უფლება აქვთ განმარტობით შეხვდნენ ადვოკატს ყოველგვარი ზედამხედველობის გარეშე.

მაშინ, როდესაც წარსულში ადვოკატს ჰქონდა კლიენტთან მაქსიმუმ ერთი საათით შეხვედრის უფლება, დროის ხანგრძლიობის შეზღუდვა გაუქმდა 2004 წლის აგვისტოში. გამომძიებელს აქვს უფლება შეზღუდოს ადვოკატის ვიზიტები, თუ ის ჩათვლის, რომ ამ ვიზიტების სისშირე და ხანგრძლიობა არაადეკვატურია. გამომძიებლის

⁶⁷ გაეროს დოკუმენტი CCPR/C/79/დამატება 74, 1997 წლის 9 აპრილი, პარაგრაფი 28.

⁶⁸ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ, თბილისი, 2005 წლის 22 ოქტომბერი.

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნას ადვოკატის მიერ პროკურორთან ან მოსამართლესთან.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, გამოძიებელმა ან პროკურორმა უნდა შეატყობინოს დაკავების შესახებ დაკავებულის ოჯახს ჩვეულებრივ შემთხვევაში დაკავებიდან არაუგვიანეს 5 საათისა, ხოლო არასრულწლოვანის შემთხვევაში – არაუგვიანეს 3 საათისა.

საერთაშორისო ამნისტიამ შეიტყო მრავალი შემთხვევის შესახებ, როდესაც ეს დებულება იყო დარღვეული. მაგალითად, ზურაბ დაფქვიაშვილი დააკავეს საბურთალოს რაიონში ნაცნობის ბინაში 2005 წლის 4 ოქტომბერს 12 საათსა და 30 წუთზე. ბრალად წაუყენეს ნარკოტიკების შენახვა. მისმა ოჯახმა საერთაშორისო ამნისტიას 24 ოქტომბერს უთხრა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ზურაბ დაფქვიაშვილმა სთხოვა პოლიციას დაუყოვნებლივ შეეტყობინებიათ მისი ოჯახისათვის მისი დაკავების შესახებ, ოჯახმა ეს ამბავი მხოლოდ მას შემდეგ გაიგო, რაც მეზობლება შეაღამისას უთხრეს რომ მისი დაკავების შესახებ რეპორტაჟი იყო “რუსთავი 2” სატელევიზიო არხზე. “ჩვენ ჯერ კიდევ არანაირი ინფორმაცია არ გვქონდა. მეორე დღეს გამოძიებელი მოვიდა ჩვენს სახლში ჩხრეკის ჩატარების მიზნით. მხოლოდ მაშინ შევიტყვეთ, რომ იგი იმყოფებოდა ვაჟა-ფშაველაზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში, საკანში,” განაცხადა მისმა ნათესავმა.

კანონის თანახმად, შესაბამისი დაკავების დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია გადასცეს –კომუნიკაციის კონფიდენციალობის დარღვევის გარეშე—დაკავებულის საჩივრები და წინადადებები გამოძიებელს, პროკურორს, სასამართლოს და სახალხო დამცველს.

სამედიცინო შემოწმება

2004 წლის აგვისტოში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილების თანახმად დაკავებულსა და მის ადვოკატს მიეცათ უფლება მოითხოვონ უფასო სამედიცინო შემოწმება დაწყებული დაკავების მომენტიდან. თუ გამოძიებელი არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას, გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სასამართლოში, რომელიც ვალდებულია განიხილოს საქმე 24 საათის განმავლობაში. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს, რომ სამედიცინო შემოწმება უნდა ჩატაროს გამოძიებლის ან პროკურორის მიერ დანიშნულმა შესაბამისი დაწესებულებების ან ორგანიზაციების სპეციალისტებმა. ექიმმა უნდა შეადგინოს შემოწმების ოქმი. წამების ან სასტიკი მოპყრობის შემთხვევაში მოწვეული ექსპერტები, როგორც წესი, არიან იუსტიციის სამინისტროს ექიმი კრიმინალისტები. დაკავებულს ან მის კანონიერ წარმოდგენელს შეუძლიათ საკუთარი ხარჯებით ჩატარონ ალტერნატიული სამედიცინო ექსპერტიზა. სახელმწიფო სასამართლო ექსპერტისა და ალტერნატიული ექსპერტის დასკვნებს ერთიდაიგივე იურიდიული სტატუსი აქვთ.

2004 წლის აგვისტოს შეტანილი ცვლილების მიხედვით, დაკავებული აღარ არის ვალდებული ალტერნატიული სამედიცინო შემოწმების დასკვნის ასლი გადასცეს საქმის საბუთებში ჩასადებად, თუ ამის სურვილი არ გააჩნია.

საერთაშორისო ამნისტიის მიერ მიღებული ინფორმაციის თანახმად, ზოგ შემთხვევაში ადვოკატის მოთხოვნის მიუხედავად სახელმწიფო სასამართლო სამედიცინო შემოწმებები დროულად არ ტარდება. მაგალითად, ეკა ბესელია ახლახანს წააწყდა პრობლემებს მისი კლიენტის, ირაკლი მაღანიას, სამედიცინო შემოწმების მოთხოვნისას. ადვოკატის თქმით, ირაკლი მაღანიას, უბედური შემთხვევის შედეგად, ფეხები პრაქტიკულად პარალიზებული აქვს და საჭირო იყო მისთვის ოპერაციის ჩატარება. ადვოკატის მტკიცებით, მის კლიენტს არ შეეძლო დამოუკიდებლად სიარული და შესაბამისად, ვერ

შედებდა მკვლელობის ჩადენას, რაშიც სდებდნენ ბრალს. საბოლოო ჯამში, გამოძიებელმა არ დააკმაყოფილა ადვოკატის მოთხოვნა სამედიცინო გამოკვლევაზე. თუმცა, სასამართლოში საჩივრის შეტანის შემდეგ, გამოძიებლის გადაწყვეტილება გაბათილდა და შედეგად, 2005 წლის 1 აგვისტოს იგი ვალდებული შეიქმნა გაეცა განკარგულება სამედიცინო შემოწმების შესახებ. არსებული ცნობის თანახმად, როდესაც ექსპერტებმა მოისურვეს შემოწმების ჩატარება, გამოძიებელმა მათ არ მისცა საშუალება შეხვედროდნენ ირაკლი მაღანიას. “ექსპერტები იძულებულნი გახდნენ დასკვნა დაეწერათ საქმის წერილობით მასალებზე დაყრდნობით, ირაკლი მაღანიას პირადად ნახვის გარეშე. მთლიან პროცედურას დიდი დრო დასჭირდა და ექსპერტებმა თავიანთი დასკვნა მხოლოდ 2005 წლის 31 სექტემბერს წარმოადგინეს”, განაცხადა ეკა ბესელიამ.

წამების ან სასტიკი მოპყრობის შემთხვევაში დროული სასამართლო სამედიცინო შემოწმება განასაკუთრებით მნიშვნელოვანია, რათა სხეულის დაზიანების ნიშნები არ გაქრეს გამოკვლევის ჩატარების დროისთვის.⁶⁹

2005 წლის აპრილში შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებების და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ, გიორგი კიკნაძემ, საერთაშორისო ამნისტიას აცნობა, რომ შემოღებულ იქნა ახალი სისტემა, რომლის მიხედვითაც წინასწარი დაკავების დაწესებულებებში მიყვანილი ყველა დაკავებული გაივლის სამედიცინო ექსპერტების მიერ ჩატარებულ შემოწმებას. საერთაშორისო ამნისტიის ინფორმაციით, თბილისში ეს სისტემა წინასწარი დაკავების დაწესებულებებში დაინერგა 2005 წლის იანვარში. 25 მაისს გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადუიშვილმა განუცხადა საერთაშორისო ამნისტიას, რომ სახელმწიფო გეგმავს საქართველოს მასშტაბით ყველა წინასწარი დაკავების დაწესებულებაში ექიმის ყოლას. ეს ექიმები იქნებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები.

“ადამიანის ნებისმიერი ფორმით დაკავების ან პატიმრობის დროს დაცვის გაეროს პრინციპების კრებულის” თანახმად, “საჭირო სამედიცინო შემოწმება უნდა შეეთავაზოს დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს რაც შეიძლება სწრაფად მისი დაკავების ან პატიმრობის ადგილას მიყვანის შემდეგ.” წამების საწინააღმდეგო კომიტეტის თანახმად “პოლიციის მიერ დაკავებულ პირს, გარდა პოლიციის ინიციატივით მოწვეული ექიმის მიერ ჩატარებული სამედიცინო შემოწმებისა, სურვილის შემთხვევაში აქვს უფლება ჩაუტარდეს დამატებითი გამოკვლევა მისივე არჩეული ექიმის მიერ.”⁷⁰

დიდმის წინასწარი დაკავების № 2 საპყრობილის დირექტორის მოადგილის, ბ-ნ იუზას თქმით, ექიმი კრიმინალისტები და ექთნები დღეღამის განმავლობაში იმყოფებიან დაწესებულებაში.⁷¹ ექიმები ვალდებულნი არიან ჩაუტარონ სამედიცინო შემოწმება საპყრობილეში შემოსულ ყველა დაკავებულს და დააფიქსირონ სხეულის ყველა შესამჩნევი დაზიანება. გარდა ამისა, ისინი ვალდებულნი არიან გამოჰკითხონ დაკავებულს, უჩივის თუ არა ის პოლიციელების მხრიდან სასტიკ მოპყრობას და დააფიქსირონ ყველა ამგვარი ჩივილი სამედიცინო ჩანაწერში.⁷² თუ დაკავებული

⁶⁹ 2005 წლის 19 ნოემბერს საერთაშორისო ამნისტიას გენერალური პროკურატურის ორგანიზაციულმა და ანალიტიკურმა განყოფილებამ შეატყობინა, რომ პარლამენტი განიხილავს კანონპროექტს, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია “მსჯავრდებულის/დამნაშავის სამედიცინო შემოწმებისათვის მკაცრად განსაზღვრული ერთ თვიანი ვადა”.

⁷⁰ CTP Standards, CTP/Inf (2004) 28, პარაგრაფი 36, *სქოლიო*.

⁷¹ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ, ქ. თბილისი, 2005 წლის 1 ივნისი.

⁷² საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე სთან, გიორგი კიკნაძესთან, ქ. თბილისი, 2005 წლის 1 ივნისი.

გამოთქეავს საჩივარს პოლიციის წინააღმდეგ, ექიმი ვალდებულია გადასცეს ამგვარი საჩივარი შესაბამის სახელმწიფო სამსახურს გამოსაძიებლად.⁷³

არასამთავრობო ორგანიზაციის რამდენიმე აქტივისტმა გამოხატა თავისი წუხილი იმის გამო, რომ პოლიციის დეპარტამენტის სამედიცინო ექიმები არ იყვნენ მიუკერძოებელი. “ისინი არიან შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები. მათ ეშინიათ და ამიტომ არ აღრიცხავენ დოკუმენტურად წამების შემთხვევებს, მრავალი მათგანი კორუმპირებულია. ისინი არ არიან დამოუკიდებელი,” განაცხადა ჯგუფ “ემპათია“-ს დირექტორის მოადგილემ გიორგი ბერულავამ.⁷⁴ სახალხო დამცველი, 2005 წლის 14 აგვისტოს საერთაშორისო ამნისტიისადმი მიწერილ წერილში, ხაზს უსვამს: “უნდა არსებობდეს ადეკვატური ადამიანური და ტექნიკური რესურსები, [ხოლო] [სამედიცინო] პერსონალის ეთიკური სტანდარტები უზრუნველყოფილი უნდა იყოს წინასწარი დაკავების დაწესებულებების ხელმძღვანელობისაგან მათთვის მეტი დამოუკიდებლობის მინიჭებით”.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მიერ საქართველოს შესახებ 2005 წლის ივნისში გამოქვეყნებულ ანგარიშში აღნიშნულია: “იმისათვის, რომ სავალდებულო სამედიცინო შემოწმების სისტემამ ეფექტურად იმუშაოს სასტიკი მოპყრობის წინააღმდეგ, საჭიროა შესრულდეს რამდენიმე პირობა: სამედიცინო შემოწმების ჩამტარებელ ექიმებს უნდა ჰქონდეთ ფორმალური და დე-ფაქტო დამოუკიდებლობა, მათ უნდა ჰქონდეთ გავლილი სპეციალიზებული ტრენინგი, და მათთვის დაკისრებული სამუშაოს აღწერა უნდა იყოს საკმარისად გავრცობილი. თუ არ არის მიღწეული ეს პირობები, სამედიცინო შემოწმების ასეთ სისტემას შესაძლებელია ჰქონდეს უკუ-ეფექტი და გამოიწვიოს წამებისა და სასტიკი მოპყრობის შემთხვევებთან ბრძოლის გართულება.”

2005 წლის 1 ივნისს დიდმის წინასწარი დაკავების დაწესებულებაში წვევისას, საერთაშორისო ამნისტია შეაშფოთა სამედიცინო შემოწმებების არსაკმარისმა კონფიდენციალურობამ. ორგანიზაციას აცნობეს, რომ დაკავებულებს ავალდებულებდნენ შემოწმებისას ტანისამოსი გაეხადათ. ორგანიზაციის ვიზიტის დროს ექიმ კრიმინალისტიკისა და პოლიციის თანამშრომლის თქმით, დაკავებულების შემოწმება ხდება წინასწარი დაკავების დაწესებულების მისაღების ტერიტორიაზე. ეს ადგილი მდებარეობს მორიგე თანამშრომლის ოთახის გვერდით და ადვილად შესაძლებელია იქიდან მიმღებში მომხდარის დანახვა და მოსმენა. წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ერთ-ერთი რეკომენდაცია საქართველოს მთავრობისადმი გახლდათ ის, რომ “სამედიცინო შემოწმებები უნდა ჩატარდეს პოლიციის თანამშრომლების ყურთასმენისა და -- თუ ექიმი კონკრეტულად არ მოითხოვს სხვას რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში -- თვალთახედვიდან მოშორებით”.

მოგვალწია ასევე ცნობებმა ბრალდებულთა წინასაგამომძიებო იზოლატორში გადაყვანისას მათი სამედიცინო შემოწმებების არარეგულარულობის შესახებ. თავისუფლების ინსტიტუტმა საერთაშორისო ამნისტიასთან საუბარში განაცხადა, რომ ყველა დაკავებულის სამედიცინო შემოწმებას არ ჰქონია ადგილი მათი წინასაგამომძიებლო იზოლატორში მიყვანის დროს, რისი მიზეზიც იყო ციხის ექიმების გადატვირთული სამუშაო გრაფიკი. (მაგალითისთვის, იხილეთ სულხან მოლაშვილის და ვახტანგ გუჩუას საქმეები).

⁷³ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თავმჯდომარის, შოთა ხიზანიშვილის წერილი საერთაშორისო ამნისტიას. ქ. თბილისი. წერილი მიღებულია 2005 წლის 3 ოქტომბერს.

⁷⁴ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ, ქ. თბილისი, 2005 წლის 27 აპრილი.

დაკითხვა

საქართველოში არ არსებობს პოლიციის მიერ გასაუბრების ჩატარების მარეგულირებელი ქცევის კოდექსი. თავის 2001 და 2004 წლების ანგარიშებში, წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას დროულად მიეღოთ ასეთი კოდექსი. საქართველოს ასევე არ აქვს პოლიციის ეთიკის კოდექსი.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ეჭვმიტანილს უფლება აქვს დაიკითხოს/გამოიკითხოს თავისი დამცველი ადვოკატის თანდასწრებით. თუ ადვოკატის დაუყოვნებლივ დასწრების უზრუნველყოფა შეუძლებელია, გამოძიებელი და პროკურორი ვალდებული არიან მიიღონ საჭირო ზომები ადვოკატის მონაწილეობის უზრუნველსაყოფად და მანამდე მოვალენი არიან შეატყობინონ ეჭვმიტანილს მისი ადვოკატის მოსვლამდე დუმილის უფლების შესახებ.

ადვოკატმა გირშელ ძებნიაურმა საერთაშორისო ამნისტიას 2005 წლის 27 ოქტომბერს ამცნო, რომ იყო შემთხვევები, როდესაც პოლიციამ აიძულა დაკავებულებს ხელი მოეწერათ დუმილის უფლების არ გამოყენების ხელწერილზე გამოძიების გარკვეულ ეტაპებზე, განსაკუთრებით დაკითხვებს დროს. “როდესაც საქმეში იურისტი ერევა, ჩვენ ვპოულობთ ასეთ დარღვევებს, თუმცა, როგორც წესი, უკვე გვიანია, რადგან დაკავებულს მართლაც აქვს ხელი მოწერილი ხელწერილზე, რომლის მიხედვითაც ის უარს ამბობს ადვოკატის თანდასწრებით დაკითხვის უფლების გამოყენებაზე” – დაამატა მან.

საერთაშორისო ამნისტია სერიოზულად იყო შეშფოთებული ამ და სხვა მსგავსი ცნობებების გამო, რადგან თუ პოლიცია ზღუდავს დაკავებულის მიერ ადვოკატის გამოყენების შესაძლებლობას, ეს ზრდის წამებისა და სასტიკი მოპყრობის რისკს. წამების საწინააღმდეგო კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად, “ადვოკატი უნდა იქნას დაშვებული დაკითხვის დროს.”⁷⁵ ადვოკატთა როლის ძირითადი პრინციპების პირველი პრინციპის თანახმად, “[ყველა] ადამიანს აქვს უფლება მოითხოვოს საკუთარი აჩევანის შესაბამისი ადვოკატის დახმარება თავისი უფლებების დასაცავად და უზრუნველსაყოფად სამართალწარმოების ყველა ეტაპზე”.⁷⁶

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ეჭვმიტანილის დაკითხვა უნდა დაიწყოს დაკავებიდან 24 საათის განმავლობაში.⁷⁷ 303-ე მუხლში 2005 წლის მარტში შეტანილი ცვლილების თანახმად, “დაკითხვის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნას შესაბამისი აუდიო ან ვიდეო ჩამწერი მოწყობილობები. დაკითხვა ყოველთვის უნდა იყოს ჩაწერილი ზემოთ აღნიშნული საშუალებებით, თუ ამას ითხოვს დაკავებული პირი და უზრუნველყოფს აუცილებელ ტექნიკურ საშუალებებს.” საერთაშორისო ამნისტიისათვის უცნობია, ეცნობებათ ხოლმე თუ არა დაკავებულებს ამ უფლების შესახებ. 2005 წლის ოქტომბრისთვის ეს უფლება არ იყო შეტანილი უფლებათა იმ სიაში, რომელთა გაცნობაც ეჭვმიტანილი და ბრალდებული პირებისთვის პოლიციას ევალება. საერთაშორისო ამნისტია მოუწოდებს ხელისუფლებას, რომ უზრუნველყოს

⁷⁵ გაეროს დოკუმენტი A/50/44, პარაგრაფი 176, იორდანისთან მიმართებაში

⁷⁶ გაეროს დოკუმენტი A/CONF.144/28/Rev.1 at 118 (1990).

⁷⁷ საერთაშორისო ამნისტიამ გენერალური პროკურატურის საორგანიზაციო და ანალიტიკური ნაწილისაგან 2005 წლის 19 ნოემბერს შეიტყო, რომ ამჟამად განიხილება კანონპროექტი, რომელმაც უნდა გააუქმოს 24 საათიანი ვადა. კანონპროექტის თანახმად, დაკითხვა შეიძლება უფრო გვიანაც დაიწყოს, მაგრამ დაკავებული უნდა წარსდგეს მოსამართლის წინაშე დაპატიმრებიდან არა უგვიანეს 48 საათისა.

ყველა დაკავებულის დაკითხვის ჩაწერა და რომ ტექნიკური საშუალებები ამისათვის უზრუნველყოს ხელისუფლებამ.⁷⁸

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულების საფუძველზე, 2005 წლის აპრილიდან საქართველოს ყველა წინასწარი დაკავების დაწესებულება უშუალოდ დაექვემდებარა სამინისტროს თბილისში. ადრე კი ისინი ექვემდებარებოდნენ ადგილობრივი პოლიციის განყოფილებებს. “წარსულში პოლიციის უფროსებს შეეძლოთ პირის საკნიდან გამოყვანა ნებისმიერი მიზეზით. ეს უკვე შეუძლებელი გახდა, რადგან ადგილობრივ პოლიციას აღარ შეუძლია მისცეს ბრძანება წინასწარი დაკავების დაწესებულების უფროსს”, განაცხადა ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრმა ალექსანდრე ნალბანდოვმა საერთაშორისო ამნისტიასთან ინტერვიუში 2005 წლის 19 მაისს. მან ასევე აღნიშნა, რომ ახლა გამოძიებლებს შეუძლიათ დაკავებულების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან გამოყვანა მხოლოდ მაშინ, როდესაც, მაგალითად, აუცილებელია დანაშაულის ადგილის დათვალიერება.

საპროცესო გარიგება

2004 წელს საქართველომ შემოიღო საპროცესო გარიგების სისტემა, რომლის მიხედვითაც პროკურორს მიეცა უფლება შესთავაზოს დაკავებულს სასჯელის შემსუბუქება ან უპირობოდ გათავისუფლება დანაშაულის აღიარებისა და უფრო მძიმე დანაშაულის შესახებ ისეთი ინფორმაციის მიწოდების სანაცვლოდ, რომელიც ხელს შეუწყობს დანაშაულის გახსნას. სისტემის შემოღების შემდეგ ბევრ შემთხვევაში საპროცესო შეთანხმება მოიცავდა ფულად გადასახადსაც. როგორც ჩანს, პროკურატურის თანამშრომლები ზოგიერთ შემთხვევაში იყენებდნენ საპროცესო გარიგების სისტემას პოლიციის თანამშრომელთა მიერ წამებისა და სასტიკი მოპყრობის შემთხვევების დასაფარად.⁷⁹

ადვოკატ თამუნა ჯაფარიძის ერთ-ერთი კლიენტი, რომლის პიროვნებაც უსაფრთხოების მიზნით არ მჟღავნდება, აცხადებს, რომ ის იყო ნაცეში პოლიციელების მიერ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის განყოფილებაში, 2004 წლის სექტემბერში. როდესაც მისი მშობლები მივიდნენ პოლიციაში, მათ თითქოს გაიგონეს, თუ როგორ სცემდნენ მათ ვაჟიშვილს. როგორც ისინი აცხადებენ, პოლიციელებმა დაარტყეს მამასაც. როდესაც თამუნა ჯაფარიძემ მოინახულა თავისი კლიენტი მეორე დღით, მან ნახა მის კისერზე, ხელებზე, ზურგზე და შუბლზე არსებული ჩაღურჯებები და გადაიღო ფოტოები დაზიანებების დასაფიქსირებლად. შემდეგ, იუსტიციის სამინისტროს კრიმინალურმა სამედიცინო ექსპერტმა გასინჯა მისი კლიენტი, მაგრამ უარი უთხრა ადვოკატს სამედიცინო დასკვნის ასლის გაცემაზე. თამუნა ჯაფარიძე თვლის, რომ მისი კლიენტი თავდებით გაათავისუფლეს წინასწარი მოსმენიდან იმის შედეგად რომ, როგორც თავად ადვოკატი ამბობს “შე ხმაური ავტეხე ამ საქმის გამო და იმის გამო, რომ ის ნაცეში იყო. მე გავუზზავნე წერილი გენერალურ პროკურატურას, სახალხო დამცველს, ყველას.”⁸⁰ ორი თუ სამი თვის შემდეგ კლიენტმა მას უთხრა, რომ პროკურორმა მას შესთავაზა საპროცესო გარიგება; მას უნდა ეღიარებინა დანაშაული “ხულიგნობის” ბრალდებით, გადაეხადა 3000 ლარი (დაახლოებით 1600 დოლარი) და თავი შეეკავებინა პოლიციის მიერ სასტიკი მოპყრობის შესახებ ჩივილისაგან. მისმა

⁷⁸ წამების შესახებ გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა განაცხადა: “ყველა დაკითხვა უნდა ჩაიწეროს, სასურველია ვიდეოზე. ჩაუწერელი დაკითხვებიდან მიღებული ინფორმაცია არ უნდა დაიშვას სასამართლოში მტკიცებულების სახით.” გაეროს დოკუმენტი A/56/156, პარაგრაფი. 39 (ვ).

⁷⁹ საპროცესო გარიგებასა და წამებასა და არაჰუმანურ მოპყრობას შორის კავშირის დეტალური კვლევისათვის იხილეთ Human Rights Watch-ის ბრიფინგის ჩანაწერი “საქართველო – გაურკვეველი წამების რეფორმა”. 2005 წლის 11 აპრილი.

⁸⁰ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ, თბილისი, 2005 წლის 18 მაისი.

კლიენტმა მიიღო პროკურორის შემოთავაზება. “ცხადი იყო, რომ ამით პროკურატურამ დაფარა პოლიციის ქმედება”, განაცხადა თამუნა ჯაფარიძემ.

2005 წლის მარტში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ “შეთანხმება მოხდა ძალადობის, მუქარის, მოტყუების ან სხვა უკანონო დაპირების ნიშნების გარეშე, ნებაყოფლობით და ბრალდებულის მიერ კვალიფიციური იურიდიული დახმარების გამოყენების შესაძლებლობის პირობებში.”

Human Rights Watch-სა და სხვა ორგანიზაციების ლობირებით, გადაიდგა სხვა ნაბიჯებიც საპროცესო გარიგებასა და წამებასა და სასტიკ მოპყრობას შორის შესაძლო კავშირით გამწვანებული პრობლემის მოსაგვარებლად. ამ ანგარიშის შედგენის დროისათვის, პარლამენტი განიხილავდა სამართლებრივ ცვლილებებს საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით. ამ დროისათვის განსახილველი კანონპროექტი ადგენს, რომ “საპროცესო გარიგება ჩაითვლება ბათილად, თუ ის აკნინებს ბრალდებულის უფლებას მოითხოვოს სისხლის სამართლის საქმის აღძვრა შესაბამისი პირების მიმართ წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის შემთხვევაში”,⁸¹ და რომ სასამართლო ვალდებულია დარწმუნდეს, რომ “საპროცესო გარიგების დადებამდე ადგილი არ ჰქონია წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას პოლიციისა ან სხვა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ბრალდებულის მიმართ. მოსამართლე ასევე ვალდებულია აუხსნას ბრალდებულს, რომ მისი საჩივარი წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის შესახებ არ მოახდენს გავლენას იმ საპროცესო გარიგებაზე, რომელიც კანონის შესაბამისად დაიდო.”⁸²

საქმის წინასწარი განხილვა და სასამართლო პროცესი

დაკავების შემდეგ ნებისმიერ დროს ეჭვმიტანილს უფლება აქვს გაასაჩივროს გამოძიებლის ან პროკურორის გადაწყვეტილება სისხლის სამართლებრივი დევნის შეჩერების და/ან წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ, და ასევე გამოძიებლის მიერ უარი სამედიცინო შემოწმების ჩატარებაზე. იმ შემთხვევაში, თუ პროკურორი არ მიიღებს საჩივარს გამოძიებლის გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ, შესაძლებელია ამ საჩივრით სასამართლოში აპელაცია ან სასამართლოში სარჩელის დაუყოვნებლივ შეტანა.

დაკავების მომენტიდან 48 საათის განმავლობაში, დაკავებულს უნდა წაეყენოს ბრალდება და იგი უნდა წარსდგეს მოსამართლის წინაშე. დაკავებულს უფლება აქვს სასამართლოში მოითხოვოს „მის საწინააღმდეგოდ გამოყენებული ყველა იძულებითი ქმედების ვალიდურობისა და კანონიერების შემოწმება“. მოსამართლე შეიძლება შეეკითხოს მას, თუ როგორ ექცეოდა მას პოლიცია, მაგრამ ეს სავალდებულო არ არის. თუ სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაკავების ვადის გაგრძელებასთან ან სხვა შუალედური ზომების გამოყენებასთან დაკავშირებით შემდგომი 24 საათის განმავლობაში, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. სასამართლოს შეუძლია სხვადასხვა ზომის მიღება, მათ შორის დაკავების ვადის გახანგრძლივება, შინაპატიმრობის დანიშნვა, დაკავებულის გათავისუფლება თავდებით ან პოლიციის

⁸¹ 679-ე (1) მუხლის შესწორების პროექტი, რომელსაც საქართველოს პარლამენტი განიხილავს საშემოდგომო სესიაზე. პროექტის ტექსტი მოწოდებულ იქნა გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის განყოფილების თავმჯდომარის, თამარ თომაშვილის მიერ 2005 წლის 26 სექტემბერს.

⁸² იქვე.

ზედამხედველობის ქვეშ.⁸³ თუ სასამართლო გადაწყვეტს დაკავებულისათვის დაკავების ვადის გაგრძელებას, დაკავებული გადაჰყავთ წინასაგამოძიებო იზოლატორში, სადაც ის, როგორც წესი, რჩება სასამართლო პროცესის დამთავრებამდე.

წამების საწინააღმდეგო კონვენციის მე-15-ე მუხლი ამბობს, რომ „თითოეულმა მონაწილემ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი განცხადება, რომელიც მიღებულია წამების შედეგად, არ იქნას გამოყენებული მტკიცებულებად სასამართლო პროცესში, გარდა იმ პირთა წინააღმდეგ, რომელთაც ბრალად ედებად წამების დასნაშაული, როგორც მტკიცებულება ამ განცხადების გამოძალვისა.“

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, „კანონის გვერდის ავლით მიღებულ მტკიცებულებას არ გააჩნია კანონიერი ძალა.“ 2005 წლის მარტში კანონმდებლებმა მიიღეს საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც მიმართული იყო „ადიარებების“ მისაღებად წამების გამოყენების აღმოფხვრისაკენ. ახალი კანონის თანახმად, წინასწარი დაკავებისას ჩამორთმეული დაკითხვის ოქმები არ უნდა იყოს წაკითხული პროცესზე და ჩვენებების აუდიო ჩანაწერის გამოყენება სასამართლოში არ დაიშვება, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ დაკავებულს არ აქვს პრეტენზია მათ სასამართლოში გამოყენებასთან დაკავშირებით.

საერთაშორისო ამნისტია კვლავ იღებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ დაკავებულებზე წარმოებდა ფიზიკური ზეწოლა მათგან სხვა პირების შესახებ საზიანო (მაინკრიმინირებელი) ინფორმაციის მოპოვების მიზნით.

იუსტიციის სამინისტროს სასამართლოს თანამშრომელი ირაკლი სიორიძე 2005 წლის 3 აგვისტოს დაბარებულ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის განყოფილებაში. არსებული ცნობის თანახმად, ის მისვლისთანავე დააკავეს, ბრალად წაუყენეს “თანამდებობის ბოროტად გამოყენება” და 8 საათის განმავლობაში დაკითხავდნენ. ჩნობის თანახმად, უშიშროების სამსახურის უფროსმა თანამშრომელმა და რამდენიმე სხვა ოფიცერმა სიორიძე სასტიკად სცემეს, რათა აეძულებინათ ადვოკატ გიორგი უსუფაშვილის საწინააღმდეგო ჩვენების მიცემა. ირაკლი სიორიძის ადვოკატმა, ეკა ბესელიამ 2005 წლის 22 ოქტომბერს საერთაშორისო ამნისტიას განუცხადა, რომ „სამი ადამიანი იყო სასტიკი მოპყრობის თვითმხილველი. მაგრამ, უშიშროების თანამშრომლებთან დაახლოებულმა პირებმა აიძულეს მოწმეებიც და სიორიძეც, არ ეჩივლათ სასტიკი მოპყრობის ფაქტის გამო. ორმა მოწმემ, რომლებიც ასევე ნაცემები იყვნენ, პირადად აღმიწერეს, როგორ სცემდნენ სიორიძეს, მაგრამ ისინი უარს ამბობენ წერილობით ჩვენებაზე. სიორიძეს ასევე ურჩიეს უფრო „შესაფერისი“ ადვოკატის მოძებნა.“ ირაკლი სიორიძის თქმით, პოლიციელებს სურდათ

⁸³ სპეციალური მომხსენებლის მიერ წამების და სხვა სასტიკი, არაჰუმანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის შესახებ მომზადებულ წინასწარ შენიშვნები, მანფრედ ნოვაკი, საქართველოს მისია. აღნიშნულ დოკუმენტში სპეციალურმა მომხსენებელმა მოამზადა რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ “შეიზღუდოს წინასწარი დაკავების ზომის გამოყენება სისხლის სამართლის პროცესების განმავლობაში, გამსაკუთრებით არაძალადობრივი, მცირე და ნაკლებად სერიოზული დარღვევებისთვის და მის სანაცვლოდ შემოტანილ იქნას ისეთი ზომები, როგორებიცაა თავდებით და ხელწერილით გამოშვება. გაეროს დოკუმენტი, E/CN.4/2005/62/Add.3, (კ), 2005 წლის 16 მარტი. 2005 წლის 24 ოქტომბერს თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელმა აკაკი მინაშვილმა საერთაშორისო ამნისტიას აცნობა, რომ თავდებით გათავისუფლების რაოდენობა ბოლო თვეების მანძილზე გაიზარდა. აკაკი მინაშვილის თქმით, 2005 წლის იანვრიდან ივნისამდე ყველა საქმის 1.5 პროცენტში გამოყენებულ იქნა თავდებით გათავისუფლების წესი. 5 ივლისს გენერალური პროკურატურის მიერ გამოცემული შიდა ინსტრუქციების თანახმად, რომელიც ხელს უწყობს თავდების წესის გავრცელებას, მისი გამოყენება მოხდა ივლისში 7.5 % შემთხვევებში, ივნისში 12.6 % შემთხვევებში და აგვისტოში 17.7 პროცენტ შემთხვევებში.

მისთვის ხელი მოეწერინებინათ განცხადებაზე, რომლის თანახმადაც გიორგი უსუფაშვილს ვითომდა მიეთვისებინა 200 000 ლარი (დაახლოებით 111 000 დოლარი), რომელიც მის კლიენტებს თელასიდან ჰქონდათ მიღებული და ეს თანხა გამოუყენებია რესპუბლიკური პარტიის საარჩევნო კამპანიის წარმოებისათვის. მათ ასევე დაადანაშაულეს ირაკლი სიორიძე გიორგი უსუფაშვილის მიერ მითვისებული თანხიდან ათობით ათასი ლარის მიღებაში.

დამოუკიდებელი ფირმა „ექტორის“ სამედიცინო კრიმინალურმა ექსპერტებმა, ნუგზარ თოფურიძემ და მიხეილ მუჟაანაძემ, 6 აგვისტოს გასინჯეს ირაკლი სიორიძე. ფირმის ხელმძღვანელმა, ალექსანდრე გეჯაძემ საერთაშორისო ამნისტიას 25 ოქტომბერს განუცხადა: „ჩვენმა ექსპერტებმა მის სხეულზე აღმოაჩინეს მძიმე, ბლავი საგნით მიყენებული დაზიანებები [. . .] სიორიძეს ჰქონდა ჩივილები ღებინების, თავბრუსხვევის და მარჯვენა ყურში სმენის დაქვეითებასთან დაკავშირებით. 4 აგვისტოს მას ჰქონდა ღებინება.“ 10 აგვისტოს ირაკლი სიორიძე კვლავ დაიბარეს შინაგან საქმეთა სამინისტროში და მოათავსეს წინასწარი დაკავების საკანში. ეკა ბესელიას თქმით, საკანში შესვლამდე ექიმს ის არ გაუსინჯავს.

როგორც ცნობილი გახდა, აღიძრა საქმე სასტიკი მოპყრობის კუთხით, თუმცა, ეკა ბესელიას მონაცემით, ოქტომბრის თვისათვის უშიშროების სამსახურის ის თანამშრომელი, რომელმაც არსებული ცნობით სცემა ირაკლი სიორიძე, არ დაკითხულა და არც მის და არც ამ საქმეში დასახელებულ სხვა თანამშრომელთა მიმართ არ აღძრულა სისხლის სამართლის საქმე. ირაკლი სიორიძე ამჟამად იმყოფება წინასწარი დაკავების № 1 იზოლატორში და ელოდება სასამართლო პროცესს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 2005 წლის მარტში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, სასამართლო განხილვამდე წინასწარი დაკავების მთლიანი ვადა არ უნდა აღარბეჭდეს ოთხ თვეს დაკავების მომენტიდან, თუ შესაბამისი მოსამართლე არ დაეთანხმება პროკურატურის მიერ კარგად დასაბუთებულ შემთავაზებას წინასწარი დაკავების პერიოდის 60 დღემდე ვადით გაგრძელების თაობაზე. ეს ცვლილებები ძალაში 2006 წლის 1 იანვრიდან უნდა შევიდეს. მანამდე კი წინასწარი პატიმრის დაკავების მაქსიმალური ვადა ცხრა თვით განისაზღვრება.

მოწმეები

წამების საწინააღმდეგო კონვენციის მე-13-ე მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოებს მიიღონ ზომები, რათა „უზრუნველყოფილ იქნას მოსარჩლისა და მოწმეების დაცვა ცუდი მოპყრობისა და დაშინებისაგან, რომლებიც შეიძლება შედეგად მოჰყვეს საჩივრის შეტანას ან ჩვენების მიცემას.“

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, მოწმეებსა და დაზარალებულებს აქვთ უფლება სასამართლო პროცესთან დაკავშირებით მოითხოვონ სახელმწიფოსგან მათი დაცულობის უზრუნველყოფა, კერძოდ მათი სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პატივისა და ღირსების დაცვა. მიუხედავად ამისა, რეალობაში არაერთგზის შემოსულა საჩივრები, რომ მოწმეები ხშირ შემთხვევაში არ არიან შესაბამისად დაცულები.

ბევრი იურისტი და ადამიანის უფლებათა დამცველი შეამფოთა ბოლო დროს სისხლის სამართლის კოდექსში შესულმა ცვლილებებმა, რიმლებიც მათი აზრით ზრდის მოწმის მხრიდან პოლიციის ზეწოლის მიმართ მოწყველადობის დონეს. 2005 წლის ივლისში ძალაში შესული ცვლილების თანახმად, “მართლმსაჯულების აღსრულებისათვის ხელის განზრახ შეშლა მოწმის ან მსხვერპლის მიერ განსაკუთრებით არასწორი მტკიცებულების წარმოდგენით ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე“.

ადვოკატმა იოსებ ბარათაშვილმა საერთაშორისო ამნისტიას განუცხადა: “ეს საკანონმდებლო ცვლილება შესანიშნავ საშუალებას აძლევს პოლიციელს მოახდინოს ზეწოლა მოწმეზე წინასწარი დაკავების პერიოდში, რათა მან მისცეს პოლიციისათვის მისაღები ჩვენება. შემდეგ კი, თუ მოწმეს მოუნდება სიმართლის თქმა სასამართლო პროცესის დროს, პოლიციას ადვილად შეუძლია გააჩუმოს ის. რა თქმა უნდა, მოწმეს არ უნდა პატიმრობაში ყოფნა.”⁸⁴ ორგანიზაციის – ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანთა უფლებებისთვის – წევრის, გელა ნიკოლეიშვილის თქმით, “ეს კანონი დიდ პრობლემებს ქმნის. მე ვიცი რამდენიმე შემთხვევა, სადაც პოლიცია აშინებდა მოწმეებს მათ წინააღმდეგ საქმის აღძვრით, თუკი ისინი ჩვენებას შეცვლიდნენ. ასევე შესაძლებელია, რომ პოლიციამ გამოიყენოს ფიზიკური ძალადობა მოწმეებზე ზეწოლის მოსახდენად.”⁸⁵

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, მოწმეს შეუძლია მოიწვიოს ადვოკატი დაკითხვაზე დასასწრებად. თუმცა, თუ ადვოკატს არ შეუძლია დასწრება, დაკითხვის ჩატარებას ხელს არაფერი უშლის.

ხშირია შემთხვევა, როდესაც ადამიანები პოლიციაში მოწმის სტატუსით მიუყვანიათ, მაგრამ დაკითხვის შემდეგ დაუკავებიან და მათთვის ბრალი წაუყენებიათ. საერთაშორისო ამნისტიას მიაჩნია, რომ მოწმეები განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაში იმყოფებიან და მათი ადამიანის უფლებების დასაცავად საჭიროა დამატებითი სამართლებრივი დაცვის მექანიზმების შემუშავება.⁸⁶

დამნაშავეთა გასამართლება

“პოლიციელები ჯერ კიდევ ვერ გრძნობენ მათ თავს ზემოთ დაკიდებულ მახვილს.”
(ევროკავშირის იურიდიული ექსპერტი, თბილისი, 2005 წ. მაისი)

“როდესაც მე ვახერხებ დამტკიცებას, რომ ჩემი კლიენტს სასტიკად მოეპყრნენ, ხშირ მის გათავისუფლებას ვაღწევ, მაგრამ ისჯებიან თუ არა დამნაშავე პოლიციელები, ეს სულ სხვა სქემა.” (ზურაბ როსტიაშვილი, თბილისი, 2005 წლის 20 აპრილი)

“[‘ძალადობის კულტურის’ გამოვლინებების] სასწრაფოდ შეჩერება შესაძლებელიცაა და აუცილებელიც, ეს უნდა მოხდეს ყველა დანაშაულის შესახებ ცნობის საფუძველზე სისტემატური, გამჭვირვალე, სანდო და ეფექტური გამოძიებებისა და დამტკიცებელი დანაშაულისთვის მკაცრად დასჯის მეშვეობით.” (ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მიერ აღებული ვალდებულებების და მოვალეობების შესრულების კომიტეტი, 2004 წლის 15 დეკემბერი)

დამნაშავეთა გასამართლება მთავარი საშუალებაა წამებისა და სხვა სასტიკი მოპყრობის აღმოსაფხვრელად. საქართველოში დაუსჯელობის სინდრომის მოსახსობად საჭირო ძირეული რეფორმა ძველი სისტემისა, რომელიც ხელს უწყობდა ზღვარსგადასულ დაუსჯელობას; წამებისა და სასტიკი მოპყრობის ყველა ცნობილი

⁸⁴ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ, თბილისი, 27 ოქტომბერი 2005 წ.

⁸⁵ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ, თბილისი, 2005 წლის 21 ოქტომბერი.

⁸⁶ 2005 წლის 19 ნოემბერს საერთაშორისო ამნისტიას გენერალური პროკურატურის ორგანიზაციულმა და ანალიტიკურმა განყოფილებამ ამცნო, რომ ამჟამად პარლამენტში განხილული კანონპროექტი ითვალისწინებს სისხილის სამართლის საპროცესო კოდექსისათვის “სრულიად ახალი თავის დამატებას მოწმეებისა და დაზარალებულთა დაცვის ზომების შესახებ”. განყოფილების ინფორმაციით, ახალი ზომები მოიცავს “მოწმის, რომელიც იძლევა ჩვენებას, მიერ ფსევდონიმის გამოყენებას” და “მოწმის საცხოვრებელი ადგილის შეცვლას, მისი ფიზიკური დაცვის მიზნით”. როგორც იტყობინება აღნიშნული განყოფილება, მოწმის პიროვნების გამოაშკარავება მოხდება სასამართლოში მისი დაკითხვის დროს.

შემთხვევა ინდა სწრაფად, საფუძვლიანად და მიუკერძოებლად გამოიძიოს შესაძლო დამნაშავეთაგან დამოუკიდებელი ორგანოს მიერ. ასეთი გამოძიებების მასშტაბი, მეთოდები და შედეგები უნდა გამოიზიარდეს. ოფიციალურ პირები, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან წამებასა და სასტიკ მოპყრობაში, გამოძიების მსვლელობის დროს შეუწყდეთ თანამდებობებზე მუშაობა. მომჩივარი პირები, ისევე როგორც მოწმეები და სხვა რისკის ქვეშ მყოფი ადამიანები, უნდა დაცულ იქნან დაშინებისა თუ შურისგებისაგან.

ზოგიერთ სფეროში მთავრობის მიერ განახორციელებულმა ზომებმა შესამჩნევი ნაყოფი გამოიღო, ამათ შორის ყველაზე ნიშანდობლივი იყო რამდენიმე პოლიციის თანამშრომლისთვის თავისუფლების აღკვეთის განაჩენების მისჯა.⁸⁷ მათ წინააღმდეგ გამოტანილი რამდენიმე განაჩენი მოიცავდა “სამსახურეობრივი უფლებამოსილების

⁸⁷ გენერალურმა პროკურატურამ წარმოადგინა შემდეგი დეტალები იმ საქმეების შესახებ, რომელში პოლიციის თანამშრომლებს წამებაში ან არაჰუმანურ მოპყრობაში მონაწილეობისათვის სასამართლომ მიუსაჯა დანაშაული:

- “ვარდების რევოლუციის” შემდეგ პირველი შემთხვევა, როდესაც მოხდა დამნაშავე პოლიციელებისათვის ბრალის დამტკიცების ფაქტი, იყო ქ. თბილისში დმანისის რაიონის პოლიციის მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის ინსპექტორის, მერაბ იასალაშვილის წინააღმდეგ 2004 წლის აპრილში არაჰუმანური მოპყრობის ფაქტი. მის მიმართ არაჰუმანური მოპყრობა განახორციელეს ამავე პოლიციის განყოფილების სამმა სხვა პოლიციელმა: ბესიკ დვენოზაშვილმა, ალექსი მუჯირიშვილმა და ზაქარია დაუთაშვილმა. ქ. თბილისის პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუსაჯა სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა სამივე პოლიციელს 2004 წლის 5 ნოემბერს. მათ ბრალად დაედოთ “ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება” (მუხლი 118, ნაწილი 2) და “სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადაჭარბება” (მუხლი 333, ნაწილი 3 ბ, გ). სასჯელი შეუმცირეს გამოსაცდელი ვადით 18 თვიანი დროებითი გათავისუფლებით. გარდა ამისა, მათ აეკრძალათ ოფიციალური თანამდებობის დაკავება ერთი წლის განმავლობაში.
- რუსთავის რაიონის პოლიციის ინსპექტორს, რამაზ მუმლაძეს მიუსაჯეს სამ წლამდე პატიმრობა თბილისის სამხარეო სასამართლოში “ხელიგნობისთვის” (მუხლი 239, ნაწილი 3) და “გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებისათვის” (მუხლი 124, ნაწილი 1).
- 2005 წლის 5 მაისს, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ხუთ პოლიციელს მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა სამიდან შვიდ წლამდე. ეს პოლიციელები არიან: სერგო ჩაჩიბაია, კრიმინალური პოლიციის უფროსი; მერაბ ცაავა, კრიმინალური პოლიციის უფროსი ინსპექტორი; და პოლიციელები როზმან გოგენია, რუბენ კალანდია და ჯემალ ისორია. ისინი ბრალდებულად სცნეს “სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადაჭარბებასა” და “განზრახ უკანონო დაკავებასა ან პატიმრობისათვის”. (მუხლი 147, ნაწილი 1)
- მარტვილის რაიონის პოლიციის თანამშრომლები - გოგი ხარებავა, ილია ნაჭყებია და პაატა ჯღარკავა დამნაშავედ სცნეს და მიუსაჯეს ოთხიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა. პროცესი მიმდინარეობდა ქუთაისის პირველი ინსტანციის სასამართლოში, სადაც განაჩენი გამოტანილ იქნა 2005 წლის 26 მაისს. მათ ბრალად დაედოთ “ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება” (მუხლი 118, ნაწილი 2) და “სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადაჭარბება”.
- 2005 წლის 27 მაისს ახალგორის რაიონის სასამართლომ ახალგორის რაიონული პოლიციის უფროს ინსპექტორს, კ. კესაურს მიუსაჯა ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა. მას ბრალად დაედო “სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადაჭარბება” და “განზრახ უკანონო დაკავება ან პატიმრობა” (მუხლი 147, ნაწილი 1).
- 2005 წლის 31 მაისს, თბილისის პირველი ინსტანციის სასამართლომ შინაგან საქმეთა სამინისტროს უფროს ინსპექტორს, ლევან ლევიძეს, მიუსაჯა ექვს წლამდე თავისუფლების აღკვეთა. მას ბრალად დაედო “სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადაჭარბება” და “სამსახურეობრივი სიყალბე” (მუხლი 341). პროკურატურამ გაასაჩივრა მოსამართლის განაჩენი პატიმრობის ვადის რვა წლამდე გაზრდის მოთხოვნით.

გადაჭარბებას” (მუხლი 333, ნაწილი 3) და “განზრახ ჯანმრთელობის მსუბუქად დაზიანება” (მუხლი 118, ნაწილი 2). 2005 წლის 10 ნოემბერს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტმა საერთაშორისო ამნისტიას აცნობა, რომ 2004 წელს აღიძრა წამებასა ან სასტიკ მოპყრობაში დამნაშავე პოლიციის თანამშრომლების მიმართ 38 სისხლის სამართლის საქმე; 2005 წელს აღიძრა 118 ასეთი საქმე და/ან წინასწარი გამოძიება. 2004 წლის განმავლობაში ბრალი წაეყენა 22 პოლიციის თანამშრომელს, ხოლო 2005 წელს - 25 თანამშრომელს.

საერთაშორისო ამნისტიამ დადებითად შეაფასა მთავრობის წარმომადგენლების რამდენიმე საჯარო განცხადება, სადაც წამებაში ან სასტიკ მოპყრობაში დამნაშავეთა გასამართლების პირობა გამოითქვა, და ასევე გაიჟღერა ინფორმაციამ დამნაშავეთა მართლმსაჯულებისათვის გადაცემის შესახებ. მეტად მნიშვნელოვანია, რომ მთავრობამ რეგულარულად მოახდინოს საზოგადოების ინფორმირება თანამდებობის პირების წამებასა და სასტიკ მოპყრობაში ბრალდებისა და გასამართლების თაობაზე. ამგვარმა საჯარო განცხადებებმა შესაძლებელია უბიძგოს სისასტიკის მსხვერპლებს განაცხადონ თავიანთი შემთხვევების შესახებ და ეძიონ სამართალი. გარდა ამისა, ეს განცხადებები ერთგვარ გამაფრთხილებელ როლსაც თამაშობს პოლიციის სხვა თანამშრომლებისათვის.

მთავრობის წარმომადგენლების მხრიდან შესამჩნევი ნაბიჯებია გადადგმული დამნაშავეთა გასამართლების მეტი გამჭვირვალობის მიმართულებითაც; ასევე, ჩატარდა სხვა ღონისძიებებიც წამებისა და სასტიკი მოპყრობის ფაქტების აღმოსაფხვრელად. მაგალითად, გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტმა დაიწყო თვეში ერთხელ ან ორჯერ საინფორმაციო ბიულეტენის გამოშვება, სადაც იბეჭდება ინფორმაცია სასამართლოსა და ახალი საგამომძიებრო საქმეების შესახებ. პირველმა გამოცემამ მოიცვა 2005 წლის მაისის პერიოდი. შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის დეპარტამენტმა საერთაშორისო ამნისტიას წარუდგინა მის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგები, სადაც მოყვანილი იყო სტატისტიკური მონაცემები ისეთ დაკავებულთა შესახებ, რომელთა სამედიცინო შემოწმების შედეგად დაფიქსირდა სხეულის დაზიანებები და რომლებმაც განაცხადეს პოლიციის მიერ მიყენებული ზიანის შესახებ. საერთაშორისო ამნისტია მოუწოდებს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, რომ გამოამზიუროს ინფორმაცია ინსპექციის მიერ წამების და სასტიკი მოპყრობის განცხადებების საფუძველზე ჩატარებული გამოძიებების შესახებ, და ასევე სტატისტიკური მონაცემები პოლიციის იმ თანამშრომლების შესახებ, რომლებიც გათავისუფლდნენ მოვალეობის შესრულებისაგან წამებისა და არაჰუმანული მოპყრობის თაობაზე საჩივრების საფუძველზე.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე დაუსჯელობა გრძელდება. 2005 წლის 24 ოქტომბერს თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელმა ლევან რამიშვილმა განუცხადა საერთაშორისო ამნისტიას: “ამჟამად ძალიან მცირე აღბათობაა იმისა, რომ ვინმეს დაიჭერენ პატიმრის უფლებების დარღვევისათვის”. საერთაშორისო ამნისტიის მიერ გამოკითხულ მთავრობის წარმომადგენლებს ზოგადად გაცნობიერებული აქვთ, რომ დაუსჯელობის სინდრომი პრობლემად რჩება და საჭიროა დამატებითი ზომების მიღება სიტუაციის ფუნდამენტურად გასაუმჯობესებლად.

საერთაშორისო ამნისტიას აწუხებს ის ფაქტი, რომ პროკურატურამ არ ჩაატარა სისტემატური გამოძიება ყველა იმ საქმის გარშემო, რომელშიც შესაძლებელი იყო ადგილი ჰქონოდა წამებასა და სასტიკ მოპყრობას. როგორც ჩანს, გამოძიება ტარდებოდა ძირითადად როცა სარჩელის შემოძენი ადვოკატები უკან არ იხევდნენ, ან როცა შეიმჩნეოდა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებისა თუ მედიის ყურადღება.

გარდა ამისა, პროკურატურის მიერ დაწყებულ გამოძიებების ათობით შემთხვევას არ მოჰყოლია დამნაშავეთათვის სამართლის აღსრულება.

ზოგი სხვა ფაქტორიც უწყობს ხელს ადამიანის უფლებების დარღვევაში, მათ შორის წამებასა და სასტიკ მოპყრობაში შემჩნეულ დამნაშავეთა დაუსჯელობის ფესვგადგმულობას. აი ეს ფაქტორები:

ადგილობრივი კანონმდებლობა: წამების/არაჰუმანური მოპყრობის შესახებ განცხადების საფუძველზე გამოძიების ჩატარება

საქართველოში წამების/სასტიკი მოპყრობის ფაქტზე აღძრულ გამოძიებაზე პასუხისმგებელია პროკურატურა.

დამნაშაულის შესახებ ინფორმაციის მიიღების შემთხვევაში, გამოძიებლები და პროკურორები ვალდებული არიან მსვლელობა მისცენ საქმეს მათი კომპეტენციის ფარგლებში. ამგვარი ინფორმაცია შესაძლებელია მომდინარეობდეს, მაგალითად, ისეთი წყაროებიდან, როგორც არის სამთავრობო სამსახურები, არასამთავრობო ორგანიზაციები ან მასმედია.

გამოძიებლების ქმედებების და გადაწყვეტილებების გასაჩივრების განხილვისას, პროკურორები და მოსამართლეები (პროკურატურა ან სასამართლო) ვალდებული არიან საფუძვლიანად შეისწავლონ გასაჩივრების საქმეში წარმოდგენილი არგუმენტები და საჭიროებისამებრ მოიძიონ დამატებითი მასალები და ინფორმაცია.

გამოძიების შედეგი შეიძლება იყოს ეჭვმიტანილ(ებ)ის წინააღმდეგ ბრალდების წაყენება, ან საქმის დახურვა არასაკმარისი დამამტკიცებელი მასალების ან სხვა მიზეზის გამო. დაზარალებულს ან ადვოკატს აქვს უფლება ასეთ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმოს, ისევე როგორც გაასაჩივროს გამოძიებლების, პროკურორებისა და სასამართლოების მიერ განხორციელებული ქმედებები და მიღებული გადაწყვეტილებები. აპელაციის გაკეთება გამოძიებლის/პროკურორის გადაწყვეტილების ან ქმედების წინააღმდეგ ხდება შესაბამისად მაღალი ინსტანციის პროკურორთან. თუკი პროკურატურამ კვლავ მიიღო უარყოფითი გადაწყვეტილება საქმის აღძვრის თაობაზე, მისი გასაჩივრებაც შესაძლებელია იგივე სახით. კერძო ბრალმდებელის მოყვანის შესაძლებლობა წამების საქმეში არ არის დაშვებული.

თუ ეჭვმიტანილ(ებ)ს წაუყენეს ბრალდება, მაშინ მას/მათ ან მის/მათ ადვოკატ(ებ)ს შეუძლიათ “გაეცნონ საქმის ყველა მასალას [...], რომელიც არსებობს წინასწარი გამოძიების დასრულების შედეგად”, “წარმოადგინონ დამადასტურებელი მასალები და გამოიკვლიონ სხვა მხარეების მიერ პროცესში წარმოდგენილი მამტკიცებელი მასალები”, დაესწრონ და მონაწილეობა მიიღონ სასამართლო მოსმენაში, ისევე როგორც სააპელაციო და საკასაციო მოსმენებში.

გამოძიების ჩატარება დროულად, მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად

წამების წინააღმდეგ კონვენციის მე-12-ე მუხლის მიხედვით, “ყველა სახელმწიფო მხარემ უნდა უზრუნველყოს, მისი კომპეტენტური თანამდებობის პირების მიერ დროულად და მიუკერძოებლად გამოძიების ჩატარება ყოველთვის, როდესაც კი არსებობს სარწმუნო საფუძველი რწმენისთვის, რომ ადგილი ჰქონდა წამების ფაქტს - სახელწიფის იურისდიქციის ქვეშ არსებულ ნებისმიერ ტერიტორიაზე.”

მიუკერძოებელი გამოძიების ჩატარების შესაძლებლობის არსებობა მჭიდროდ არის დაკავშირებული საგამომძიებო ორგანოს დამოუკიდებლობაზე. გაეროს სპეციალურმა მომსახურებელმა წამების თაობაზე განაცხადა: “მნიშვნელოვანია არსებობდნენ დამოუკიდებელი დაწესებულებები, რომლებიც გამოიძიებენ და აღძრვენ საქმეს კანონდამცველი სტრუქტურების მიერ ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში”.⁸⁸ წამების საწინააღმდეგო კომიტეტი აღნიშნავს, რომ: “მნიშვნელოვანია, [სასტიკი მოპყრობის შესახებ ცნობების საფუძველზე] გამოიძიებას ატარებდნენ ადამიანები, რომლებიც არიან დამოუკიდებელი საქმეში დადანაშაულებული მხარეებისაგან [...]. მნიშვნელოვანია, რომ ჩართული ოფიციალური პირები არ წარმოადგენდნენ იგივე სამსახურს, საიდანაც არიან გამოსაძიებელი პირები.”⁸⁹

საქართველოში წამების ფაქტზე ჩატარებული გამოძიებებს ხშირად აკლიათ მიუკერძოებლობა, და ხასიათდება გამოძიების პროკურორების მხრიდან ინტერესთა კონფლიქტით. თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელმა, თეა თუთბერიძემ განაცხადა: “არსებობს ბევრი მიზეზი საქმის არგახსნისა. პროკურორებს არ სურთ დააკავონ სხვა პროკურორები, ხოლო ატც პოლიციელებს სურთ დაუპირისპირდნენ თავიანთ კოლეგებს.”⁹⁰

გენერალური პროკურორი აცნობიერებს, რომ პირადი ურთიერთობები ხელს უშლის დამოუკიდებელ გამოძიებას: “რეგიონებში არსებობენ მეტად გავლენიანი პოლიციელები, რამაც შესაძლებელია გაურთულოს რეგიონის პროკურორს გამოძიების ჩატარება.”⁹¹

გიორგი მიგრიაულის შემთხვევაში, პროკურატურის თანამდებობის პირები სავარაუდოდ თავად იყვნენ დადანაშაულებული დაკავებულის წამებასა და მის მიმართ სასტიკ მოპყრობაში.

დილით ადრე, 2004 წლის 9 ოქტომბერს, ნიღბიანმა სამართალდამცავებმა საკუთარ სახლში, აღმოსავლეთ საქართველოს კასპის რაიონში, დააკავეს გიორგი მიგრიაული. ცნობით, იგი წაიყვანეს გორის პროკურატურაში და მას ორი საათის განმავლობაში სცემდნენ პოლიციისა და პროკურატურის უფროსი თანამდებობის პირები, რათა მას “ელიარებინა” სახელწიფო მოხელეთა მოქრთამვა. ცნობით, მწამებლებმა მას დამწვრობა მიაყენეს ანთებული სიგარეტით, სიღებს არტყამდნენ ყურებზე. სავარაუდოდ, ერთმა პირმა მას იარაღის ღულა ჩაუდო პირში და აშინებდა გასროლით. ამის შემდეგ მან ორი დღე დაჰყო ქ. გორის წინასწარი დაკავების საპყრობილეში, სადაც პოლიცია იძულებული გახდა ორჯერ გამოეძახებინა სასწრაფო დახმარება, რადგან მან რამდენიმეჯერ დაკარგა გონება.

გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, გიორგი მიგრიაულმა პროკურატურის მიერ დაკითხვისას, 2004 წლის 11 ოქტომბერს უარყო, რომ იგი იყო სასტიკი მოპყრობის

⁸⁸ ბენ მ'ბარეკი ტუნისის წინააღმდეგ (Ben M'Barak v. Tunisia), პარაგრაფები 11.8-11.10.

⁸⁹ წამების საწინააღმდეგო კომიტეტის სტანდარტები, CPT/Inf (2004) 28, პარაგრაფი 32.

⁹⁰ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ, ქ. თბილისი, 2005 წლის 1 ივნისი.

⁹¹ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ, ქ. თბილისი, 2005 წლის 25 მაისი.

მსხვერპლი, ხოლო თავისი ჭრილობები ახსნა მის დაკავებამდე უცნობ ადამიანებთან ჩხუბით.⁹² 2004 წლის 12 ოქტომბერს საინფორმაციო სააგენტო “ბლექ სი პრესის” განცხადებით, სახალხო დამცველის მოადგილემ, ბაჩო ახალაიამ აღნიშნა, რომ გორის პროკურატურის ოფიციალური პირები აწიოკებდნენ გიორგი მიგრიაულის ოჯახს და ამის გამო გიორგი მიგრიაულმა თავი შეიკავა სასტიკი მოპყრობის ფაქტის საჯაროდ განცხადებაზე. ამავე ახალი ამბების სააგენტოს მიხედვით, სახალხო დამცველის ოფისმა განაცხადა, რომ შიდა ქართლის რეგიონის პროკურორმა მონაწილეობა მიიღო ამ საქმის დაფარვაში.

როდესაც 12 ოქტომბერს გიორგი მიგრიაული გადაიყვანეს თბილისის № 1 წინასაგამოძიებო იზოლატორში, ციხის თანამშრომლებმა უარი განაცხადეს მის მიღებაზე მისი მძიმე ფიზიკური მდგომარეობის გამო, რის შემდეგაც იგი წაიყვანეს თბილისის ციხის საავადმყოფოში. ციხის საავადმყოფოს ექიმების სამედიცინო შემოწმების დასკვნის მიხედვით, 13 ოქტომბერს მას ჰქონდა “სისხლჩაქცევები მთელს სხეულზე”. 24 ოქტომბერს და 9 და 10 ნოემბერს ჩატარებული სამედიცინო შემოწმების საფუძველზე, არასამთავრობო ორგანიზაციის “ემპათია” სამედიცინო ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ მიგრიაულმა განიცადა პოსტ-ტრავმატული სტრესული მოშლილობის მწვავე ფორმა; აგრეთვე, ტვინის შერყევა შიდა თავის ქალის მაღალი წნევით; მარცხენა ყურის აპკის ტრავმატული პერფორაცია; ხერხემლის პირველი მალის კომპრესიული დაზარვა, და მუცლის არეში მხურვალე საგნით გამოწვეული გაბნეული ჭრილობები. ექიმების ჯგუფმა გამოიტანა დასკვნა, რომ გიორგი მიგრიაული “იყო წამების მსხვერპლი. მომხდაეის მისეული აღწერა შეესაბამება ჩვენს დაკვირვებებს.”⁹³

15 ოქტომბერს გიორგი მიგრიაული გაათავისუფლეს თავდებით. გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის განყოფილების ინფორმაციით, გენერალურმა პროკურატურამ იმავე დღეს აღძრა გამოძიება დანაშაულზე “ძალდატანებით სამხილის წარმოდგენა” (მუხლი 335, ნაწილი 2).⁹⁴ განყოფილების ინფორმაციით, 2005 წლის 21 აპრილს ბრალი წაყენა პროკურატურის ერთი ოფიციალურ პირს. იგი არ დააკავეს, სამაგიეროდ, მან ხელი მოაწერა “წერილობით პირობას ადგილის არ-დატოვების და წესიერად მოქცევის შესახებ”. 2005 წლის 13 ივნისს საქმე გადაეცა სასამართლოს შემდეგი ბრალდებით – “ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება (მუხლი 118) და “განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება” (მუხლი 147).⁹⁵ მეორე ოფიციალური პირის სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდა 2005 წლის 15 აპრილს “მის ქმედებაში დანაშაულის ელემენტების არარსებობის გამო”.

“თავდაპირველად პროკურატურას არ სურდა არაფრის გამოძიება. ჩვენ ვაიძულეთ ის ჩაეტარებინა სამედიცინო გამოკვლევა. შევიტყვეთ, რომ პროკურატურას სურდა მიგრიაულის გაათავისუფლება იმ შემთხვევაში, თუ ის უარს იტყოდა თავის საჩივარზე წამების შესახებ. ჩვენი მონაწილეობის გარეშე არაფერი მოხდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ აბსოლიტურად ცხადი იყო დამნაშავეთა ვინაობა, სისხლის სამართლის საქმე მათ წინააღმდეგ არ აღიძრა. დაახლოებით ხუთი-ექვსი თვის შემდეგ ერთ მათგანს წაუყენეს ბრალდება. ერთადერთი, რომ ყველა მათგანმა დაკარგა სამსახური,” განაცხადა სახალხო დამცველმა.⁹⁶

⁹² ინფორმაცია მიეწოდა საერთაშორისო ამნისტიას 2005 წლის 10 ნოემბერს ს.

⁹³ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ არასამთავრობო ორგანიზაცია “ემპათიის” დირექტორის მოადგილესთან, გიორგი ბერულავასთან, 2005 წლის 27 აპრილი.

⁹⁴ 2005 წლის 10 ნოემბერს საერთაშორისო ამნისტიისათვის მიწოდებული ინფორმაცია

⁹⁵ საერთაშორისო ამნისტიისათვის გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის განყოფილების მიერ 2005 წლის 10 ნოემბერს წარმოდგენილი ინფორმაცია.

⁹⁶ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ, თბილისი, 2005 წლის 5 მაისი.

სულხან მოლაშვილის წამებასა და სასტიკ მოპყრობასთან დაკავშირებით გამოძიების მსვლელობის დაწყებიდან მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ, თბილისის ქალაქის პროკურორმა ვალერი გრიგალაშვილმა 2004 წლის 12 ივლისს გენერალურ პროკურატურაში გამართულ პრეს-კონფერენციაზე გააკეთა შემდეგი განცხადება: “სულხან მოლაშვილმა მოიტყუა, როდესაც თქვა რომ იგი აწამეს თბილისის [შინაგან საქმეთა სამინისტროს] მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების ცენტრში [...]. როგორც ჩანს, მისი საკანში გადაყვანის შემდეგ გარკვეულმა ადამიანებმა [არა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა] ძალადობა განახორციელეს მის წინააღმდეგ ფულის გამოძალვის მიზნით [...]. აგრეთვე შესაძლებელია ისიც, რომ მან თვითონ მიაყენა ჭრილობები საკუთარ თავს იმ მიზნით, რომ პი-არ კამპანია გაემართა ჩვენი სახელმწიფოსა და სამართალდამცავების წინააღმდეგ.”⁹⁷ საერთაშორისო ამნისტია მოუწოდებს პროკურორებსა და სხვა ოფიციალურ პირებს თავი შეიკავონ ისეთი საჯარო განცხადების გაკეთებისაგან, რომლებმაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს გამოძიების შედეგებზე. ასეთი განცხადებები მიუთითებს თბილისის პროკურორის მიუკერძოებლობის დეფიციტზე.

საერთაშორისო ამნისტიამ შეიტყო რამდენიმე შემთხვევის შესახებ, როდესაც გამოძიება ცნობისამებრ საკმარისად საფუძვლიანად არ ჩატარებულა. მაგალითად, დაკავებულ კ.ე-ის ადვოკატმა (იხილეთ ზემოთ) განაცხადა, რომ პროკურორმა დაკითხა მხოლოდ კ.ე, რომელმაც გააკეთა განცხადება წამებისა და სასტიკი მოპყრობის შესახებ; ხოლო არ დაუკითხავს შესაბამისი პოლიციის თანამშრომლები და არ შეუგროვებია მატერიალური მტკიცებულებები. წამების საწინააღმდეგო კომიტეტის სტანდარტების 33-ე პარაგრაფის თანახმად: “ინციდენტთან დაკავშირებული მტკიცებულებების მოსაპოვებლად უნდა განხორციელდეს ყველა შესაბამისი ზომა - დაფიქსირდეს და დაიკითხოს ყველა დაზარალებული, ეჭვმიტანილი და თვითმხილველი (მაგალითად: მორიგე პოლიციელები, სხვა დაკავებულები); ამოღებულ იქნას ყველა ხელსაწყო, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სასტიკი მოპყრობის დროს; და შეგროვდეს კრიმინალისტური ნივთმტკიცებულებები”.

წამება და სასტიკი მოპყრობა ხშირ შემთხვევაში არ ტოვებს აშკარა ნიშნებს, მაგალითად ელექტროშოკის გამოყენებისას ან თუნდაც სხეულზე დარტყმის შედეგად მხოლოდ უმნიშვნელო ფიზიკური ნიშნები შეიძლება დარჩეს, რომელთა შემჩნევა ძნელია და ისინი მალევე ქრება. წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა აღნიშნა, რომ “როდესაც ასეთი სახის სასტიკი მოპყრობის ფაქტების შესახებ ცნობებები აღმოჩნდება პროკურატურის ან სასამართლოს მოხელის ხელში, ისინი განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოიქცნენ, რათა არ მოხდეს ამ შემთხვევების უგულვებელყოფა შესამჩნევი ფიზიკური ნიშნების არარსებობის გამო [...] შესაბამისად, სასტიკი მოპყრობის შესახებ ცნობების ნამდვილობის შეფასების დროს, შესაძლებელია საჭირო იყოს ჩვენების მიღება ყველა საქმესთან დაკავშირებული პირისგან, დროულად დანაშაულებრივი ქმედების ადგილის შესწავლა და/ან საექსპერტო სამედიცინო შემოწმება.”⁹⁸

ალექსანდრე მხეიძის პირველი სამედიცინო გამოკვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მას არ ჰქონდა ფიზიკური ძალადობის აშკარა ნიშნები; ექიმმა გამოიტანა დასკვნა, რომ ალექსანდრე მხეიძე იყო “ჯანმრთელი”. მიუხედავად ამისა, ოფიციალურ პირებს მაინც დროულად უნდა ჩაეტარებინათ გამოძიება მის მიერ გამოთქმული საჩივარის საფუძველზე პოლიციელების მიერ მის მიმართ სასტიკი მოპყრობის შესახებ.

⁹⁷ ტელეკომპანია “იმედი”, 2004 წლის 12 ივლისი.

⁹⁸ წამების საწინააღმდეგო კომიტეტის სტანდარტები, CPT/Inf (2004) 28, პარაგრაფი 29.

2005 წლის 6 აპრილს, 27 წლის არქიტექტორი, ალექსანდრე მხეიძე პოლიციამ დააკავა თბილისის მახლობლად, სოფელ წყნეთში. ისი ცნობით, მას სცემდნენ და წიხლებს ურტყამდნენ გზაში, როცა მიჰყავდათ შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში ჩიტადის ქუჩაზე, თბილისის ცენტრში. Xოლო იქაც მისი ცემა განაგრძეს. მოგვიანებით იმავე დღეს იგი გადაიყვანეს ქ. თბილისის № 1 წინასწარი დაკავების დაწესებულებაში.

ექიმმა, რომელმაც გამოკვლევა ჩაუტარა ალექსანდრე მხეიძეს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მიყვანისას, თავის ანგარიშში აღნიშნა, რომ დაკავებული ჩიოდა მისი დაკავებისას პოლიციის მიერ მის მიმართ განხორციელებულ სასტიკ მოპყრობას. ექიმის მიხედვით, მის ორივე წვივზე და მარჯვენა თეძოზე კანი “ოდნავ შეწითლებულიყო”. ექიმმა დასვა დიაგნოზი “ჯანმრთელია”.

როდესაც ალექსანდრე მხეიძე გადაიყვანეს თბილისის № 1 წინასაგამოძიებო იზოლატორში 8 აპრილს, სტანდარტული პროცედურების შესაბამისად იგი კვლავ გამოიკვლიეს. ექიმმა აღმოაჩინა მუქი ლურჯი სისხლჩაქცევა მარჯვენა წვივზე, ნაკაწრი მარჯვენა ხელზე, რომელიც დაფარული იყო მუქი წითელი “ფუფხით”, და მუქი მოლურჯო-მოყვითალო სისხლჩაქცევა მარჯვენა თეძოს შიდა მხრიდან, მენჯთან ახლოს. მან დაამატა, რომ ალექსანდრე მხეიძე უჩიოდა თავის, კისრის და ხერხემლის ტკივილს და აცხადებდა, რომ ეს ჭრილობები მას მიაყენეს პოლიციელებმა წყნეთში.

20 აპრილს, მისი დაკავებიდან 2 კვირის შემდეგ, ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურამ გასცა ბრძანება სასამართლო სამედიცინო გამოკვლევის შესახებ. გამოკვლევა ჩატარდა მეორე დღეს. ექსპერტმა გამოიტანა დასკვნა, რომ ალექსანდრე მხეიძის სხეულზე აღმოჩენილი სისხლჩაქცევები და ჭრილობები მიყენებული იყო მძიმე, ბლაგვი საგნით და მათი მიყენების დროის მონაკვეთი არ ეწინააღმდეგებოდა იმ განცხადებებს, რომლების შესახებაც ალექსანდრე მხეიძემ განაცხადა.

წამების წინააღმდეგ კომიტეტმა დაკვირვების შედეგად დაადგინა, რომ “დროული ქმედება (წამების შესახებ საჩივრების გამოძიების დროს) მნიშვნელოვანია ორმაგად: ერთის მხრივ იმისათვის, რომ დაზარალებული კვლავ არ გახდეს მსგავსი მოპყრობის მსხვერპლი; და, მეორეს მხრივ, იმიტომ, რომ თუ გამოყენებული მეთოდები არ დატოვებს მუდმივ ან სერიოზულ კვალს, როგორც წესი, წამების ფიზიკური ნიშნები, განსაკუთრებით კი სასტიკი, არაჰუმანური ან შეურაცხმყოფელი მოპყრობის კვალი, მალე ქრება”.⁹⁹ დროულობის აუცილებლობა ეხება როგორც საჩივრების თავდაპირველ გამოკვლევას, ასევე თვითონ გამოძიების ხანგრძლივობას. წამების საწინააღმდეგო კომიტეტის სტანდარტების მიხედვით, ხაზი ესმევა იმ ფაქტს, რომ “თუ სასტიკი მოპყრობის მიმანიშნებელ ინფორმაციას არ მოსდევს სწრაფი და ეფექტური რეაგირება, ის ადამიანები, რომლებსაც სურვილი აქვთ სასტიკი მოპყრობა განხორციელონ თავისუფლება-აღკვეთილი პირების წინააღმდეგ, მიდიან იმ დასკვნამდე, (რისთვისაც მათ საკმარისი მიზეზი გააჩნიათ) რომ მსგავსი ქმედებებისთვის მათ არავინ დასჯის.”¹⁰⁰

საერთაშორისო ამნისტია მიიღო დიდი რაოდენობით საქმეების აღწერა, როდესაც დაკავებულები აცხადებდნენ, რომ მათი სხეულის დაზიანებები წარმოშობილი იყო პოლიციის მიერ დაკავების დროს სასტიკი მოპყრობის შედეგად. თავისუფლების ინსტიტუტის წამრომადგენელმა, თეა თუთბერიძემ სასერთაშორისო ამნისტიას განუცხადა: “ჩვენი ინფორმაციის თანახმად, უმრავლეს შემთხვევებში დაკავებისას ან

⁹⁹ Encarnacion Blanco Abad v. Spain, კომუნიკაციები № 59/1996. გაეროს დოკუმენტი; CAT/C/20/D/59/1996 (1998), პარაგრაფი 8.2.

¹⁰⁰ წამების საწინააღმდეგო კომიტეტის სტანდარტები, CPT/Inf (2004) 28, პარაგრაფი 25.

დაკავებულის პოლიციის სამსახურში მანქანით გადაყვანის დროს პოლიცია მიმართავს ძალადობას. თუ დაკავებულს დააჩნდა სხეულის დაზიანება, პოლიცია ყოველთვის განაცხადებს, რომ დაკავებულმა პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია.”¹⁰¹ სახალხო დამცველის თქმით, დაკავების დროს პოლიციის მიერ ძალადობის ფაქტები ხშირდება. “დაკავებულებისადმი სხეულის დაზიანებების მიყენება ძირითადად ხდება მათი პირველად დაკავების დროს. იმის გარჩევა, გაუწია თუ არა დაკავებულმა წინააღმდეგობა, თუ პოლიციამ გამოიყენა შეუსატყვისი ძალადობა, ძნელია. მიუხედავად ამისა, სხეულის დაზიანებების და დაკავებულთა საჩივრების დიდი რაოდენობის გამო, სავარაუდოა, რომ პოლიცია, მართლაც, იყენებს არაპროპორციულ ძალას.”¹⁰² საერთაშორისო ამნისტიის ინფორმაციით, სასტიკი მოპყრობის საჩივარზე დაწყებული მრავალი გამოძიება დროულად არ აღძრულა.

არსებობს რამდენიმე მიზეზი პოლიციის მიერ დაკავებულთა მიმართ სისასტიკის გამოჩენისა. თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელმა ლევან რამიშვილმა განაცხადა, რომ “პოლიცია ხშირად ფიქრობს, რომ სამართლიანობის მიღწევა უნდა მოხდეს ფიზიკური ძალადობით. ჩვენ ვსჯით მათ, იმიტომ რომ ისინი ამას იმსახურებენ.”

კიდევ ერთი მიზეზი გამოიხატება იმაში, რომ პოლიციელებს ან სრულებით არ აქვთ, ან მეტად მცირე წვრთნა აქვთ მიღებული დაპატიმრების კანონიერად და ძალადობის მხოლოდ პროპორციული ოდენობის გამოყენებით განხორციელების შესახებ. 2004 წლის ივლისიდან ნოემბრამდე პოლიციის სტრუქტურებიდან დაითხოვეს საგზაო, სატრანსპორტო და თბილისში არსებული აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს 16,000 პოლიციელი. მათ ნაცვლად შეიქმნა ახალი საპატრულო პოლიცია, რომელიც პირველად 2004 წლის აგვისტოს გაჩნდა თბილისში. ამას მოჰყვა სხვა ქალაქებიც, ისე როგორც, მაგალითად ზუგდიდში, სადაც საპატრულო პოლიცია გაჩნდა 2005 წლის აპრილში. ოფიციალური პირების თქმით, ეს რეფორმა განხორციელდა, რათა დაეთხოვათ ზედმეტი თანამშრომლები და ებრძოლათ პოლიციაში არსებულ კორუფციასთან.

პოლიციის საკითხების ადგილობრივი ექსპერტის თქმით, “ამჟამინდელი საპატრულო პოლიციელების ხოლოდ 15 პროცენტი მუშაობდა წინა პოლიციის სტრუქტურებში. ძირითადად, ახალ თანამშრომლებებს აკლიათ გამოცდილება. ახალმა თანამშრომლებმა სამუშაოს დაწყებამდე გაიარეს ორკვირიანი ტრენინგი, ხოლო 2005 წლის გაზაფხულზე მათ კიდევ გაიარეს რამოდენიმე კვირიანი წვრთნის პროგრამა.”¹⁰³

იუხედავად ამისა, საერთაშორისო ამნისტიამ მიიღო რამდენიმე საქმის აღწერა საპატრულო პოლიციის მიერ დაკავებულთა მიმართ სასტიკი მოპყრობის შესახებ, მაშინ როცა განსაკუთრებულად ბევრია ამგვარი ცნობა სპეციალური პოლიციის რაზმის (იგივე სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი) თანამშრომლების ქმედებების შესახებ.

გიორგი აბხაიძემ, გივი ჯანიაშივილმა და მალხაზ თალაკვაძემ განაცხადეს დაკავების დროს მათ მიმართ სასტიკი მოპყრობის შესახებ. გიორგი აბხაიძის განცხადებით, მისი ცემა გააგრძელეს შინაგან საქმეთა სამინისტროში მიყვანის შემდეგაც. არსებობდა საფუძვლიანი ნიშნები იმისა, რომ გივი ჯანიაშივილისა და მალხაზ თალაკვაძის საქმეების გამოძიება არ მოხდა დროულად. გიორგი აბხაიძის საჩივრის საფუძველზე მიმდინარე გამოძიება კვლავ გრძელდება; ჯერ-ჯერობით არ მომხდარა დამნაშავეისათვის ბრალდების წაყენება.

¹⁰¹ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ, თბილისი, 2005 წლის 1 ივნისი.

¹⁰² საერთაშორისო ამნისტიისადმი წერილი თარიღით - 2005 წლის 14 აგვისტო.

¹⁰³ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ, თბილისი, 2005 წლის 6 მაისი.

2005 წლის 19 აპრილს, ტაქსით მოძრაობისას გიორგი აბხაიძე, სამართლის ფაკულტეტის სტუდენტი, რომლის ასაკიც ოც წელსაა გადაცილებული, და მისი ორი მეგობარი, პოლიციამ გააჩერა ქ.თბილისის ისანი-სამგორის რაიონში, დააბრალა ნარკოტიკების დიდი რაოდენობით ფლობა და წაიყვანა ვაკე-საბურთალოს რაიონში შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლატორში.

2005 წლის 21 აპრილს სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფის თანამშრომლები გაესაუბრნენ გიორგი აბხაიძეს წინასწარი დაკავების იზოლატორში. მან განაცხადა რომ პოლიციამ იგი სცემა დაკავებისას, ისევე როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში. მონიტორინგის ჯგუფმა დააფიქსირა სისხლჩაქცევები სახეზე და ზურგზე, ხოლო ნაკაწრები ფეხებზე. იყო ცნობა დაკავების დროს გიორგი აბხაიძის თანა-მოპასუხის ცემის ფაქტზეც.

აბხაიძის ადვოკატების მოთხოვნის შედეგად, 2005 წლის 22 აპრილს მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში მას ჩაუტარდა სასამართლო სამედიცინო გამოკვლევა. სახელმწიფო სასამართლო ექსპერტმა აღმოაჩინა სისხლჩაქცევები სახეზე, ნიკაპზე, ზურგზე, მარჯვენა მხარზე, ხელებსა და ფეხებზე. მან გააკეთა დასკვნა, რომ სხეულის დაზიანებები გამოწვეული იყო ბლაგვი, მძიმე საგნით. გიორგი აბხაიძე უჩიოდა თავის ტკვილებს, გაბრუებას, ტკივილს გულის არეში და თავბრუს ხვევას. რსებული ცნობით, თბილისის საქალაქო პროკურატურამ აღძრა გამოძიება აბხაიძის მიმართ სასტიკი მოპყრობის ფაქტის საფუძველზე. მიუხედავად ამისა, მისი ერთერთი ადვოკატის - თამუნა ჯაფარიძის თქმით, 18 ნოემბრისათვის ბრალდება ჯერ არავის ჰქონდა წაყენებული.

გიორგი აბხაიძის ადვოკატებმა აღექსანდრე ალადაშვილმა და თამუნა ჯაფარიძემ გამოთქვეს ეჭვი მისი დაკავების სამართლიანობაში. ჩხრეკის ორდენის მიხედვით, მის ჯიბეში ნაპოვნი იყო დიდი რაოდენობის ჰეროინი. თუმცა, ტოგორც თამუნა ჯაფარიძემ უთხრა საერთაშორისო ამნისტიას: “ორი მოწმე, რომელიც ესწრებოდა ჩხრეკას, რეალურად იყო პოლიციის მიერ დაქირავებული ამ საქმიანობისთვის. სახალხო დამცველისაგან შევიტყვეთ, რომ ერთ-ერთ მათგანს 2003 წლიდან მოყოლებული ნათამაშევი ჰქონდა “მოწმის როლი” ათამდე საქმეში.” აპრილში პიველი მოსმენის შედეგად გიორგი აბხაიძეს მიუსაჯეს სამ თვემდე ადმინისტრაციული პატიმრობა. 2005 წლის 1 აგვისტოს ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ, ელენე თევდორაძემ, მიწერა წერილი გენერალური პროკურორის მოადგილეს, სადაც იგი მოუწოდებდა მას, “საქმის პირადი კონტროლის ქვეშ აყვანას”, ვინაიდან ელენე თევდორაძე ეჭვობდა, რომ ჩხრეკა ჩატარდა არაკანონიერად. გიორგი აბხაიძე კვლავ იმყოფება წინასწარი დაკავების ქვეშ და მისი საქმე ელოდება სასამართლო განხილვას.

გივი ჯანიაშვილი დააკავა 30-ზე მეტმა ნიღბიანმა პოლიციელმა პოლიციის სპეციალური ქვეგანყოფილიდან. დაკავება მოხდა მის სახლში ქ. ღუსთავში, 2005 წლის 12 მაისს. იგი ამტკიცებს, რომ როდესაც პოლიცია შეუვარდა სახლში, იგი იმყოფებოდა ლოჯინში და არ გაუწვეია არანაირი წინააღმდეგობა. მას არ ჰქონდა იარაღი. გივი ჯანიაშვილმა თავის ადვოკატს უთხრა, რომ პოლიციამ ის მძიმედ სცემა, მათ შორის იარაღის ტარებით. მისი მეუღლე, 11 წლის შვილი და რამდენიმე მეზობელი, ანგარიშის მიხედვით, ესწრებოდნენ ცემას. როდესაც იგი გამოიკვლიეს 16 მაისს, დამოუკიდებელმა სასამართლო ექსპერტმა, მაია ნიკოლეიშვილმა აღმოაჩინა სისხლჩაქცევები თვალების გარშემო და შუბლზე, აგრეთვე იგი გაჭირვებით დადიოდა მარჯვენა ფეხში ტკივილის გამო. ექსპერტის მიხედვით, სხეულის დაზიანებები მიყენებული იყო ბლაგვი საგნით გამუდმებული ცემის შედეგად. გივი ჯანიაშვილის დაკავებიდან მხოლოდ რაღაც ექვსი კვირის შემდეგ, 29 ივნისს, ქ. თბილისის საქალაქო პროკურატურამ გახსნა გამოძიება

გივი ჯანიაშვილის მიმართ სამართალდამცავების მიერ სხეულის დაზიანების მიყენების ფაქტზე. 10 ნოემბრის ინფორმაციით არცერთი დამნაშავეისადმი არ არის წარდგენილი ბრალდება.¹⁰⁴

მაღხაზ თალაკვაძე დააკავეს 2005 წლის 2 სექტემბერს, გამთენიისას, დაახლოებით დილის 5 საათზე, სპეციალური პოლიციის განყოფილების 30-მდე თანამშრომელმა. რამდენიმე მათგანი იყო შემოსილი ნიღბით. ისინი შევარდნენ მის სახლში ტყიბულის რაიონში, ქ. ქუთაისის მახლობლად. მისი ადვოკატის, ზურაბ როსტიაშვილის თქმით, პოლიციამ იგი სცემა, მათ შორის იარაღის კონდახით, რის შემდეგაც მან დაკარგა გონება.¹⁰⁵ მაღხაზ თალაკვაძის თქმით, მისი მეუღლე, დედამთილი და პატარა ქალიშვილი აგრეთვე სცემეს. დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტი ფირმა “ვექტორიდან”, ნუგზარ თოფურძე, რომელმაც გამოკვლევა ჩაუტარა მაღხაზ თალაკვაძის მეუღლეს, ირმა ქანთელაძეს 7 სექტემბერს, აღმოაჩინა მრავალი დაღურჯებული ადგილები ორივე მხარზე. იგი უჩიოდა თავის ტკივილსა და გაბრუნებას. ექსპერტის თანახმად, დაღურჯებების წარმოშობის დროის მონაკვეთი, როგორც ეს დაადგინა გამოკვლევებმა, არ ეწინააღმდეგება ირმა ქანთელაძის მიერ გაკეთებულ განცხადებას.¹⁰⁶ ზურაბ როსტიაშვილის თანახმად, მოსამართლემ იგნორირება გაუწია თბილისის საქალაქო სასამართლოში წინასარი მოსმენის დროს ადვოკატის მიერ სასტიკი მოპყრობის შესახებ გაკეთებულ განცხადებას, და არც გამოძიება აღძრულა ამ ცნობის საფუძველზე.¹⁰⁷ მაღხაზ თელაქვაძე ამჟამად იმყოფება ქ. თბილისის № 1 წინასაგამომძიებლო იზოლატორში და ელოდება სასამართლოს გამართვას შემდეგ ბრალდებაზე: “ნარკოტიკების არალეგალური შენახვა განსაკუთრებით დიდი ოდენობით” (მუხლი 260, ნაწილი 3) და “იარაღის არალეგალური წარმოება და გასაღება” (236).

იმის დასადგენად, თუ სხეულის დაზიანებები არსებობდა დაკავებამდე თუ დაკავების დროს გაჩნდა, აგრეთვე იყო თუ არა ისინი მიყენებული პოლიციის ძალადობის შედეგად, საერთაშორისო ამნისტია მოუწოდებს პასუხისმგებელ პირებს უზრუნველყონ გამოძიებების დროული წარმოება ყველა იმ შემთხვევაში, სადაც დაკავებულებს აღმოაჩნდათ სხეულის შესამჩნევი დაზიანებები იმის შემდეგ, რაც ისინი დაკავებულ იქნენ პოლიციის მიერ და/ან აცხადებენ რომ აწამეს ან სასტიკად მოეპყრნენ.

კამათის ნიადაგზე მომხდარ ამირან რობაქიძის მკვლელობაში პოლიციის თანამშრომლები, როგორც ჩანს, შეეცადნენ დაეფარათ პოლიციელის მიერ გასროლის ფაქტი. არსებობს სანდო ცნობები, რომ პროკურატურის მიერ ამირან რობაქიძის მკვლელობის საქმეზე ჩატარებული გამოძიება არ იყო მიუკერძოებელი.

2004 წლის 24 ნოემბერს დაახლოებით დამის ორ საათსა და ოცდაათ წუთზე პოლიციამ გააჩერა ავტომანქანა, სადაც იმყოფებოდა 19 წლის ამირან რობაქიძე და მისი ხუთი მეგობარი, რომლებიც მოძრაობდნენ დიდუბის რაიონში, ქ. თბილისი.

ერთ-ერთი მისი ადვოკატის, ალექსანდრე ალადაშვილის თქმით, ექვსი კაცი გადმოვიდა მანქანიდან ხელებ აწეული, ამის შემდეგ, პოლიციის მოთხოვნის

¹⁰⁴ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ ზურაბ როსტიაშვილთან, თბილისი, 2005 წლის 24 ოქტომბერი.

¹⁰⁵ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ, თბილისი, 2005 წლის 24 ოქტომბერი. საერთაშორისო ამნისტიამ ვერ შეძლო მაღხაზ თალაკვაძის სამედიცინო შემოწმების ანგარიშის მოძიება.

¹⁰⁶ ფირმა “ვექტორიდან” ელექტრონული მიმოწერა, 2005 წლის 15 ნოემბერი.

¹⁰⁷ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ, თბილისი 2005 წლის 24 ოქტომბერი.

შესაბამისად, ხელები დააწვეეს მანქანაზე.¹⁰⁸ ახალგაზრდების თქმით, როდესაც პოლიციის ერთ-ერთი თანამშრომელი იარაღს უმიზნებდა ერთ-ერთ ახალგაზრდას, მას ხელები უკანკალებდა, და, სავარაუდოდ, იგი იმყოფებოდა არაფხიზელ მდგომარეობაში. შემდეგ პოლიციამ მოითხოვა, რომ დაკავებულები დაწოლილიყვნენ მიწაზე. ხალგარდების ცნობით, როდესაც ისინი წვებოდნენ მიწაზე, გაიგეს გასროლის ხმა და შემდეგ გააცნობიერეს, რომ ერთერთმა პოლიციელმა მოკლა ამირან რობაქიძე. ახალგაზრდები ამტკიცებენ, რომ მათ არ ქონიათ არანაირი იარაღი და პოლიციამ იარაღი მას შემდეგ ჩაუდო მათ, რაც ამირან რობაქიძე უკვე მკვდარი იყო.

პოლიციის ოფიცრები კი ამტკიცებენ, რომ მას შემდეგ რაც მათ გააჩერეს მანქანა, ამირან რობაქიძე გადმოხტა და ორჯერ ესროლა პოლიციელებს; თუმცა, ტყვია არავის მოხვედრია. ამის საპასუხოდ, პოლიციის ოფიცრმა ესროლა და მოკლა იგი. პოლიციის თანახმად, ამის შემდეგ, მათ გაჩხრიკეს დანარჩენი პირები და მანქანა და აღმოაჩინეს რამდენიმე ტყვიამფრქვევი და ხელყუმბარები.

ხუთივე ახალგაზრდა კაცი წაიყვანეს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის განყოფილებაში და ბრალი წაუყენეს “პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევაში” (მუხლი 353, ნაწილი 2) და “ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ფლობაში” (მუხლი 236, ნაწილები 1 და 2). 2005 წლის 19 აპრილს ბრალდება “პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევა” მათ მოუსხსნეს.¹⁰⁹

ალექსანდრე ალადაშვილმა საერთაშორისო ამნისტიას განუცხადა: “პოლიციამ მრავალი არალოგიკური განცხადება გააკეთა, როდესაც ისინი დაკითხეს 24 და 30 ნოემბერს. მაგალითად, მათ თქვეს, რომ ის გადმოვიდა ავტომობილიდან მარჯვენა უკანა კარიდან. თუმცა, კრიმინალურმა გამოკვლევამ მოგვიანებით გამოავლინა, რომ ის იჯდა ავტომობილის უკანა სკამის მარცხენა მხარეს. მას მოუწვევდა სამ მეგობარზე გადაბიჯება, იმისათვის რომ დაეტოვებინა ავტომობილი მარჯვენა კარებიდან.” მან დასძინა: “20 იანვარს იუსტიციის სამინისტროს მიერ ჩატარებულმა კრიმინალურმა გამოკვლევამ დაადგინა, რომ ტყვიით მიყენებული ჭრილობა იყო ამირანის მარცხენა მკლავის ქვეშ. ეს შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ მას ხელი ზემოთ ჰქონდა აწეული. როგორ შეიძლება მას სჭეროდა იარაღი და მაინც დაეჭრათ მკლავის ქვეშ ამ ადგილას? ეს შეუძლებელია. 7 მარტს ჩვენ მივიღეთ კიდევ ერთი კრიმინალური ექსპერტიზის შედეგები, რომლის თანახმადაც ამირანი იდგა მანქანის მარცხენა მხარეს, არა მარჯვენა მხარეს, როგორც თქვეს პოლიციელებმა”.

სახალხო დამცველის 2004 წლის პარლამენტისათვის 2005 წლის აპრილში წარდგენილი ანგარიშის, რომელიც განიხილავს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ სიტუაციას საქართველოში, თანახმად “შესაძლებელია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური პირები დაინტერესებულები იყვნენ დაემაღლათ [პოლიციელის] დანაშაული, ვინაიდან ეს იყო ის პერიოდი, როდესაც საპატრულო პოლიცია პირველ ნაბიჯებს დგამდა მოქალაქეების რწმენის მოსაპოვებლად. ამიტომ ხელისუფლებას არ სურდა ახლად მოპოვებული ნდობის საფრთხეში ჩაგდება.”

ამირან რობაქიძის ბაბუამ საერთაშორისო ამნისტიას უთხრა: “დიდუბე-ჩუღურეთის პროკურატურის ოფიციალურმა პირმა მითხრა, რომ ისინი ელოდებოდნენ

¹⁰⁸ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ, თბილისი, 2005 წლის 8 მაისი.

¹⁰⁹ 2005 წლის 10 ნოემბერს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის განყოფილებამ საერთაშორისო ამნისტიას მიაწოდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც დაკავებულთაგან ორი პიროვნება გაათავისუფლეს თავდებით; ორი გაათავისუფლეს პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ, ხოლო ერთი გაათავისუფლეს “პიროვნული გარნტიით”.

ინსტრუქციებს ზედა ეშელონებიდან, ვინაიდან მნიშვნელოვანი საქმე იყო.”¹¹⁰ ადვოკატმა თამუნა ჯაფარიძემ, რომელიც აგრეთვე მუშაობს ამირან რობაქიძის საქმეზე, თქვა: “გამომძიებელმა მითხრა, რომ ის არ გახსნიდა საქმეს პოლიციელის წინააღმდეგ, ვინაიდან მას ამისთვის გაათავისუფლებდნენ.”¹¹¹ არსებობდა განცხადებები, რომ იმის შემდეგ, რაც სატელევიზიო არხმა “რუსთავი 2”-მა პროგრამაში “თორმეტი საათის კურიერი” გააკეთა განცხადება ამირან რობაქიძის სიკვდილის შესახებ, შინაგან საქმეთა მინისტროს წამრომადგენელმა ზოწოლა განახორციელა სატელევიზიო არხზე აღნიშნული საქმის შესახებ რეპორტაჟის შეწყვეტის მოთხოვნით.

ამირან რობაქიძის ადვოკატების ექსთენიანი დაუღალავი შრომის, მრავალი საჩივრის და ძლიერი მტკიცების (რაც ემყარებოდა რამოდენიმე კრიმინალურ ექსპერტიზას) შეგროვების შედეგად, 14 ივნისს საქმე გაიხსნა პოლიციის ერთი თანამშრომლის წინააღმდეგ. მას წარუდგინეს ადამიანის მკვლელობის ბრალდება. ამირან რობაქიძის ადვოკატები ამტკიცებდნენ, ამირან რობაქიძის მკვლელობისას იქ მყოფი ხუთი ადამიანის ჩვენებაზე დაყრდნობით, რომ პოლიციელმა მართლაც ჩაიდინა მკვლელობა. მათ აგრეთვე გამოხატეს შეშფოთება იმის შესახებ, რომ 20 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ, მიუხედავად დანაშაულის სერიოზულობისა, თავდებით გაათავისუფლა ბრალდებული პოლიციელი. გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის განყოფილების თანახმად, პოლიციელი გაათავისუფლეს თავდებით მის მიერ “*დანაშაულის აღიარების*” შემდეგ.¹¹²

გენერალურმა პროკურორმა საერთაშორისო ამნისტიას განუცხადა, რომ “გამომძიების მიუკერძოებლობისა და საჭირო ექსპერტიზის უზრუნველსაყოფად” იგი აპირებს ჩამოაყალიბოს ჯგუფი, რომელიც შედგება “30-მდე ექსპერტ-გამომძიებლისაგან და პროკურორისაგან, რომლებიც სპეციალიზირებული იქნებიან და ჩაატარებენ გამოძიებას [წამებისა და სასტიკი მოპყრობის საქმეებზე] ქვეყანაში. მათ სჭირდებათ ტრენინგი საჭირო უნარების გასავითარებლად და ასევე ადამიანის უფლებების კანონმდებლობაში.”¹¹³ გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის განყოფილების ყოველთვიური საინფორმაციო ბუკლეტის პირველი ნომრის თანახმად, რომელიც მოიცავს 2005 წლის მაისის ინფორმაციას, “უახლოეს მომავალში, განყოფი [..] მიიღებს საგამომძიებლო ფუნქციებს და შესაბამისად ჩაატარებს გამოძიებას წამების ფაქტების თაობაზე.”

ამასთანავე, განიხილებოდა საკითხი – უნდა მიეცეს თუ არა სახალხო დამცველს უფლება ჩაატაროს გამოძიება, მოიძიოს მტკიცებულებები და დაკითხოს თვითმხილველები იმ შემთხვევებში დროს, როდესაც საქმე ეხება ადამიანის უფლებების დარღვევას.¹¹⁴ სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლის, ანა ჟვანიას სიტყვით, ოფისს შეეძლება გარკვეული საგამომძიებლო ფუნქციების განხორციელება, მაგრამ არა სისხლის სამართლის საქმეების ახტვრა.¹¹⁵

საერთაშორისო ამნისტიას აზრით, გადამწყვეტია რომ ორგანოს, რომელიც ჩაატარებს გამოძიებას წამებისა და სასტიკი მოპყრობის შესახებ, გააჩნდეს

¹¹⁰ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ, თბილისი, 2005 წლის 18 მაისი.

¹¹¹ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ, თბილისი, 2005 წლის 18 მაისი.

¹¹² 2005 წლის 10 ნოემბერს წერილით მიღებული ინფორმაცია.

¹¹³ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ, თბილისი, 2005 წლის 25 მაისი.

¹¹⁴ იხ. “საქართველოს კრიმინალური კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგია”, რომელიც დაამტკიცა პრეზიდენტმა სააკაშვილმა 2005 წლის ივნისში.

¹¹⁵ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ, თბილისი, 2005 წლის 26 ოქტომბერი. დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. “საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგია”, რომელიც დაამტკიცა პრეზიდენტმა სააკაშვილმა 2005 წლის ივნისში.

ფუნქციონალური დამოუკიდებლობა. გამოძიებლები უნდა იყვნენ დამოუკიდებელი ყველანაირი დაწესებულებისაგან, ორგანოსა თუ პირისაგან, რომლებიც თავად შესაძლოა იყვნენ გამოძიების ობიექტები. ასევე, ისინი უნდა იყვნენ კომპეტენტურები და მიუკერძოებლები. საგამომძიებლო ორგანოს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება და ვალდებულება მოიძიოს ყველანაირი ინფორმაცია საქმის გამოძიებისათვის. ასევე მნიშვნელოვანია გამოძიებლებს ხელთ ჰქონდეთ საჭირო ფულადი და ტექნიკური რესურსები, რომელიც საჭიროა ეფექტური გამოძიებისათვის. საგამომძიებლო ორგანოს უნდა ჰქონდეს უფლება დაავალდებულოს წამებასა და სასტიკ მოპყრობაში ეჭვიმტანილი პირი, ისევე როგორც მოწმეები, გამოცხადდნენ და მისცენ ჩვენება. ამისთვის, საგამომძიებლო ორგანოს უნდა ჰქონდეს უფლება გასცეს მოწმეებს სასამართლო გამოძახების უწყება, მათ შორის საქმეში სავარაუდოდ ჩართულ ნებისმიერ ოფიციალურ პირს, და მოსთხოვოს ჩვენება. ყოველი ამგვარი საქმის მწარმოებელ მთავარ გამოძიებელს უნდა გააჩნდეს გავლილი სპეციალური წვრთნა, ან ჰქონდეს გამოცდილება წამების დოკუმენტირებასა და წამების ან/და სხვა ტრამვის მსხვერპლებთან მუშაობისა.¹¹⁶

საგამომძიებლო უნარების სრულყოფა და პროცედურების დაცვა

მაშინაც კი, როდესაც პროკურატურა მონდომებულია დროულად, საფუძვლიანად და მიუკერძოებლად გამოიძიოს ცნობები წამებისა და სასტიკ მოპყრობის შესახებ, არსებობს რიგი სირთულისა, რომლებიც ხელს უშლის წარმატებულ სამართალდარღვევებს. ხელისუფლების წარმომადგენლები თავად აღიარებენ ბევრი ასეთი პრობლემის არსებობას. მაგალითად, 2005 წლის 25 მაისს საერთაშორისო ამნისტიასთან შეხვედრისას, საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა მიუთითა, რომ “ბევრ შემთხვევაში ჩვენ არ შეგვიძლია დავადგინოთ, თუ ვინ და როგორ აწამა ესა თუ ის პირი. ჩვენ გულისხმობენ ვმუშაობთ, რათა გავაუმჯობესოთ რეგისტრაციის, ჩანაწერთა წარმოებისა და სამედიცინო შემოწმების სისტემა. როდესაც სისტემა კარგად ამუშავდება, ჩვენ უკვე გვეცოდინება, თუ სად მოხდა დარღვევა. ეს მოგვცემს საკმარის კარგ მტკიცებას იმისათვის, რომ აღვძრათ საქმე პოლიციის თანამშრომლებზე.”¹¹⁷ წამებასა და სასტიკ მოპყრობაში დამნაშავენი ხშირად ბოროტად იყენებენ აღრიცხვის დაბალ სტანდარტებს, რათა დაფარონ მათი დანაშაულების მტკიცებები.¹¹⁸

დაუსჯელობის ხელშემწყობი კიდევ ერთი ფაქტორია გამოძიებელთა პროფესიული უნარებისა და გამოცდილების უკმარისობა. გენერალურმა პროკურორმა დაადასტურა, რომ წამებისა და სასტიკი მოპყრობის საქმეების გამოძიებლებს ესაჭიროებათ წვრთნა. მისი თქმით, “იმისათვის, რომ სწორად იყოს გამოძიებული

¹¹⁶ დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. სტამბულის პროტოკოლი. წამების დ სხვა სასტიკი და არაჰუმანური მოპყრობის ან სასჯელის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტაციის სახელმძღვანელო. გაეროს დოკუმენტები HR/P/PT/8/Rev. 1, თავი 3.

¹¹⁷ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ, თბილისი, 2005 წლის 25 მაისი.

¹¹⁸ 2005 წლის 1 მაისს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის დეპარტამენტმა წარმოადგინა ახალი სარეგისტრაციო ჟურნალები, რომლებიც გამოიყენება პოლიციის თანამშრომლების მიერ პოლიციის ყველა განყოფილებაში და წინასწარი დაკავების დაწესებულებებში. ჯერ კიდევ უცნობია, მოახერხებს თუ არა დეპარტამენტის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯები აღრიცხვის სისტემის საფუძვლიანად გაუმჯობესებას. ომბუდსმენის ოფისის წარმომადგენლის, ანა ჟვანიას თქმით, ახალი ჟურნალების წარმოდგენის შემდეგ ომბუდსმენის მონიტორინგის ჯგუფმა აღმოაჩინა მრავალი შემთხვევა, როდესაც მათი შევსება არ ხდებოდა სწორად, ძირითადად რეგიონებში. მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ატარებს საწვრთნელ კურსებს პოლიციელთათვის ჟურნალის შევსების წესების თაობაზე, საქართველოს ყველა რეგიონი ჯერ არ დაფარულა. (ინტერვიუ ანა ჟვანიასთან, 2005 წლის 26 ოქტომბერი).

წამებისა და სასტიკი მოპყრობის საქმეები, აუცილებელია ისეთი ადამიანები, რომლებსაც აქვთ საჭირო უნარები, მაგრამ ჩვენს გამოძიებლებს არ აქვთ წამების საქმეებთან მუშაობის გამოცდილება. წინა ხელისუფლების პერიოდში მათ მუშაობაში ეს არ შედიოდა.”¹¹⁹ როგორც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დირექტორმა ანა დოლიძემ საერთაშორისო ამნისტიას განუცხადა, “ჩვენი გამოძიებლები არ ითვალისწინებენ მსხვერპლის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. წამების საქმეებს ისინი იძიებენ, როგორც ნებისმიერ სხვა საქმეს. წამების მსხვერპლნი ხშირად ცვლიან ჩვენებებს და პოლიცია მათ ხშირად ეჭვის თვალთ უყურებს.”¹²⁰

საერთაშორისო ამნისტიამ კმაყოფილებით აღნიშნა ბოლო დროს მიღებული დადგენილებები იმის თაობაზე, რომ 2005 წლის 1 ნოემბრიდან სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა უნდა ატარონ პირადობის დამადასტურებელი ბარათები ყოველთვის, როდესაც შედიან წინასწარი დაკავებისა და თავისუფლების აღკვეთის ზონაში და აგრეთვე დაკავებულებთან და პატიმრებთან შეხვედრებისას.¹²¹ სახელობითი ბარათები და/ან თვალსაჩინო საიდენტიფიკაციო ნომერი წამებისა და სასტიკი მოპყრობისგან დაცვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია და იგი უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ხელისუფლების წამებისა და სასტიკი მოპყრობის აღმოფხვრის საქმეში. საერთაშორისო ამნისტიას მიაჩნია, რომ პოლიციელთა ანონიმურობა ზრდის წამებისა და სასტიკი მოპყრობის რისკს და ხელს უწყობს დაუსჯელობას.

საერთაშორისო ამნისტია მოუწოდებს სახალხო დამცველს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ ზემოთ აღნიშნული დადგენილების შესრულების მონიტორინგს, სასჯელადსრულებითი დაწესებულებების მონიტორინგის პროგრამის ფარგლებში.

საერთაშორისო ამნისტია შემოფოთებულია იმის გამო, რომ როგორც გაირკვა, საგანგებო პოლიციის ქვეგანყოფილების თანამშრომლები არ დაავალდებულეს ატარონ პირადობის დამადასტურებელი ნიშნები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მრავალგზის შემჩნეულნი იყვნენ დაკავებისას დაკავებულთა მიმართ სასტიკ მოპყრობაში. ნიღბები, რომლებიც განსაკუთრებით ხშირად საგანგებო პოლიციის მიერ გამოიყენება, ან სხვა საშუალებები, რომლებიც პოლიციის თანამშრომელთა პიროვნებას მალავს, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა გამოიყენებოდეს, თუ ასეთი ღონისძიება აუცილებელია შესაბამისი თანამშრომლების უსაფრთხოების დასაცავად ან რაიმე მსგავსი მოსაზრებითაა ნაკარნახევი. ასეთ შემთხვევებშიც კი ყოველი თანამშრომლის ამოცნობა უნდა შეიძლებოდეს ინდივიდუალური საიდენტიფიკაციო ნომრით ან სხვა მსგავსი საშუალებით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ეჭვიტანილ პირთა თანამდებობრივი უფლებამოსილების შეჩერება გამოძიების დასრულებამდე

გაეროს ეფექტური გამოძიებისა, და წამების და სხვა სასტიკი, არაჰუმანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის აღრიცხვის პრინციპების თანახმად, “ის პირები, რომელთაც შესაძლოა დაუმტკიცდეს მონაწილეობა წამებას ან სასტიკ მოპყრობაში, უნდა იქნენ ჩამოშორებულნი მმართველ ან ნებისმიერ ისეთ თანამდებობას, სადაც მათ ექნებათ პირდაპირი თუ არაპირდაპირი ზემოქმედების საშუალება მომჩივანის,

¹¹⁹ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ, თბილისი, 2005 წლის 25 მაისი.

¹²⁰ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ, თბილისი, 2005 წლის 25 მაისი.

¹²¹ საერთაშორისო ამნისტიას აცნობებს, რომ იარსებებს ორი სახის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა: ერთის ტარება მოხდება კისერზე, მეორე კი მიმაგრებული იქნება ტანისამოსზე. ყველა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა მოიცავს პირადობის ნომერს, მფლობელის სახელს და მის თანამდებობას.

მოწმეების, მათი ოჯახის წევრების, ან ისეთი პირების მიმართ, ვინც აწარმოებენ გამოძიებას.”¹²² ექვმიტანილი პირები ასევე უნდა ჩამოშორდნენ ყველა ისეთ თანამდებობას, სადაც შესაძლოა ვინმე სხვასაც მოეპყრებინათ სასტიკად. ამავე დროს, თანამდებობრივი უფლებამოსილების შეჩერებამ არ უნდა მოახდინოს გავლენა გამოძიების შედეგზე; იგი სულაც არ ნიშნავს, რომ თანამდებობის პირი ბრალეულია.

2005 წლის მარტში გაკეთებულ წინასწარ განცხადებაში წლის დასაწყისში ჩატარებული ვიზიტის შესახებ, წამების თაობაზე სპეციალურმა მომსახურებელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ „წამებაში ბრალდებული ნებისმიერი საჯარო მოხელეები, მათ შორის პროკურორები და მოსამართლეები, ვინც კი გარეულია ნივთმტკიცების შეთხზვასა ან იგნორირებაში, უნდა იყვნენ დაუყოვნებლივ და ვიდრე სამართლომდე ჩამოშორებული თანამდებობას, ხოლო მათი საქმე უნდა გამოძიებულ იქნას.”¹²³

2005 წლის 25 მაისს გენერალურმა პროკურორმა საერთაშორისო ამნისტიას განუცხადა, რომ “თუ არსებობს მტკიცება იმისა, რომ პირს აღმოაჩნდა დაზიანებები, და თუ ის მიუთითებს შესაბამის ქმედებაზე პასუხისმგებელ პირზე, და თუკი დაერწმუნდით, რომ პოლიციელი იმყოფებოდა საკანში, ან განყოფილებაში იმ დროს, როდესაც დაკავებულმა მიიღო დაზიანებები, ჩვენ აუცილებლად წავუყენებთ ბრალს ამ თანამშრომელს და ჩამოვაშორებთ მას თანამდებობიდან გამოძიების დასრულებამდე.”

შინაგან საქმეთა გენერალურ ინსპექციას აქვს ზოგადი პასუხისმგებლობა პოლიციის არასათანადო ქცევის საქმეების გამოძიებისა, ასევე დისციპლინარული სანქციების საკითხის აღძვრისა და შესაბამისი საქმეების გენერალურ პროკურატურაში გადაგზავნის თაობაზე. ს უკანასკნელი კი შესაბამისად აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს. გენერალურ ინსპექციას უფლება აქვს წამებასა და სასტიკ მოპყრობაში ექვმიტანილ დამნაშავეებს შეუჩეროს უფლებამოსილება.

მაგრამ თუკი განვიხილავთ პოლიციის მიერ წამებასა და სასტიკ მოპყრობასთან დაკავშირებულ ცნობების სიხშირეს, მასთან შედარებით საგრძნობლად იშვიათია ისეთი შემთხვევები, როდესაც პოლიციელებს გამოძიების დროს უწყდებათ უფლებამოსილება.

მიღებული ცნობის თანახმად, 2005 წლის 8 აპრილს პოლიციის დაკავების ადგილას აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქ გურჯაანში სასტიკად მოეპყრნენ ელდარ კონენიშვილს. აქ იგი გადაყვანილი იყო ქ. თბილისის № 1 წინა-საგამოძიებო იზოლატორიდან. იმის მიუხედავად, რომ მას შეეძლია დაესახელებინა სავარაუდო დამნაშავეები, 10 ნოემბრისათვის ჯერ კიდევ არავის შეწყვეტია უფლებამოსილება სასტიკი მოპყრობის ფაქტის საფუძველზე და არც არავის მიმართ აღძრულა საქმე.

საერთაშორისო ამნისტიამ მოინახულა ელდარ კონენიშვილი ქ. თბილისის № 1 საგამოძიებო იზოლატორში 2005 წლის 13 აპრილს. ელდარ კონენიშვილი, რომელიც ქურდობისა და გამოძიებისათვის ხელის შეშლის ბრალდებით იხდის ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთის სასჯელს და ციხის სასადილოში მუშაობს, ციხიდან გადაყვანილ იქნა სასამართლოში აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქ გურჯაანში 2005 წლის 8 აპრილს. მისი განცხადებით, მას უთხრეს, რომ უნდა გამოსულიყო მოწმედ სასამართლო პროცესზე. თუმცა, მას შემდეგ, რაც მან რამდენიმე ხანი სასამართლოს

¹²² პრინციპი 3 (ბ), გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 55/89, წამებისა და სხვა სასტიკი, არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტაციის პრინციპები. 2000 წლის 4 დეკემბერი.

¹²³ წამება და სხვა სასტიკი, არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობა ან დასჯა, გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის სპეციალური მომსახურებლის, მანფრედ ნოვაკის წინასწარი შენიშვნები, საქართველოს მისია, გაეროს დოკუმენტები. E/CN.4/2005/62/Add.3, (f), 2005 წლის 16 მარტი.

შენობაში არსებულ საკანში გაატარა, ის გადაიყვანეს გურჯაანის პოლიციის განყოფილებაში. შემდეგ, ის ცნობის თანახმად ჩაიყვანეს პირველ სართულზე და ოთხი საათის განმავლობაში დაკითხავდნენ - საღამოს შვიდ საათამდე. ელდარ კონენიშვილმა საერთაშორისო ამნისტიას განუცხადა: “იქ პოლიციის თანამშრომლებმა დამიწყეს ცემა. ისინი თავში და სახეშიც მირტყამდნენ. აიღეს სკამის ფეხი და დამარტყეს მარცხენა ხელის თითებზე. ცემის დროს ოთახში შემოვიდნენ სხვა პოლიციის თანამშრომელი და პროკურორი და დამიწყეს დადანაშაულება გურჯაანში მომხდარ მკვლელობაში. ერთ-ერთმა თანამშრომელმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მომაყენა და დამემუქრა, რომ იარაღს ჩამარტყამდა. ის ასევე მემუქრებოდა, რომ სცემდა ჩემს მეუღლეს, დედას და შვილებს თუ მე არ ვაღიარებდი მკვლელობას. შემდეგ მან გამიყვანა აივანზე და მითხრა ‘ამ აივნიდან გადაგაგდებ და თუ მოკვდები, ვიტყვი, რომ გაქცევას ცდილობდი’-ო. ცემის დროს მე რამდენჯერმე დავკარგე გონება. პირიდან სისხლი მომდიოდა და წესიერად ვეღარ ვხედავდი. მოძრაობა მიჭირდა.” როგორც ითქვა, საღამოს პოლიციამ მოიყვანა მოხუცი კაცი და აიძულებდნენ მას ეთქვა, რომ ამოიცნო მკვლეელი ელდარ კონენიშვილის სახით. ელდარ კონენიშვილმა უარყო მკვლელობასთან ყოველგვარი კავშირი. საერთაშორისო ამნისტიას მან უთხრა, რომ შეძლებდა ამოეცნო სასტიკი მოპყრობის ერთ-ერთი დამნაშავე მაინც.

საღამოს ელდარ კონენიშვილი დააბრუნეს ქ. თბილისის № 1 საგამოძიებო იზოლატორში. “მე არ მომიტხოვია ექიმის დახმარება, რადგან მეშინოდა. როდესაც საკანში დამაბრუნეს მე ვაღებინებდი და ხველებსას სისხლი მდიოდა. შემდეგ ჩემს საკანში მყოფმა სხვა პატიმრებმა და ციხის დაცვამ ექიმს გამოუძახეს. ძლიერი თავის ტკივილი მქონდა და რამდენიმე დღის განმავლობაში საჭმელი კუჭში არ მიჩერდებოდა, მქონდა სისხლდენა. დახმარების გარეშე სიარული დღემდე მიჭირს.”¹²⁴ ციხის მორიგე ექიმმა ჩაიწერა ელდარ კონენიშვილის საჩივარი, რომ მას სასტიკად მოეპყრნენ გურჯაანის პოლიციის განყოფილებაში. თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენლის, თეა თუთბერიძის თანახმად, 9 აპრილს ციხის სამედიცინო პერსონალმა მას უთხრა, რომ ელდარ კონენიშვილი ვერ ახერხებდა სამედიცინო შემოწმებაზე დახმარების გარეშე მისვლას და დაზიანებების გამო ვერ მოახერხა საჩივრის შედგენა.

9 აპრილს, შაბათს, ელდარ კონენიშვილის სამართლებრივ წარმომადგენელს გელა ნიკოლეიშვილს თავდაპირველად უარი ეთქვა მის მონახულებაზე. რამდენიმე საათის შემდეგ, პენიტენციარული სისტემის ხელმძღვანელი პირებისათვის პრეს კონფერენციის მოწვევით დამუქრების შემდეგ, მას დართეს ნება ენახა ელდარ კონენიშვილი. ადვოკატებს, როგორც წესი, არ შეუძლიათ პატიმრების მონახულება არასამუშაო საათებში.

13 აპრილს გენერალურმა პროკურატურამ საჯარო ბრიფინგზე გამოაცხადა, რომ ორი დღის წინ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ელდარ კონენიშვილის სავარაუდო ცემასთან დაკავშირებით “თანამდებობრივი უფლებამოსილების გადაჭარბების” მუხლით. “ჯერჯერობით არაფერია ბრალდებული ან უფლებამოსილება-მოხსნილი. ამისათვის მეტი

¹²⁴ კონენიშვილის საქმესთან დაკავშირებით, 2005 წლის 23 ივნისს კანონში პატიმრობის შესახებ შევიდა ცვლილება (მუხლი 92 (2)) და იგი იკითხება ასე “პატიმრების სამედიცინო შემოწმება სავალდებულოა თითოეულ საქმეში, როდესაც პირი შედის ან ბრუნდება პენიტენციარულ დაწესებულებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის გადის ან შემოდის სასამართლო სხდომაზე”. საერთაშორისო ამნისტიამ ინფორმაცია მიიღო გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის განყოფილებიდან წერილობით, 2005 წლის 10 ნოემბერს. სავარაუდოდ, ელდარ კონენიშვილი არა სასამართლოს, არამედ პოლიციის გამოძიებლის მოთხოვნის საფუძველზე გამოიყვანეს წინასწარი დაკავების იზოლატორიდან. ცვლილების შესვლამდე, ექიმებს ევალებოდათ მხოლოდ იმ დაცვის ქვეშ მყოფთა შემოწმება, რომლებიც საგამოძიებო იზოლატორში პირველად შედიოდნენ.

ინფორმაცია გვეჭირდება”, განაცხადა გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის განყოფილების უფროსმა, ლაშა მალრაძემ. მან აღნიშნა იმის შესაძლებლობა, რომ ელდარ კონენიშვილი შეიძლებოდა სხვა პატიმრებს ეცვიათ, როდესაც ის 8 აპრილს საგამოძიებო იზოლატორში დაბრუნდა. მან განმარტა, რომ გენერალური პროკურატურის თანამშრომლები იყვნენ გაგზავნილნი გურჯაანში ამ განცხადების გამოსაძიებლად და რომ ციხის ზედამხედველები, რომლებმაც ის გურჯაანში გადაიყვანეს, დაიკითხნენ. მეორე პატიმარმა, რომელიც თბილისისკენ გზაში იგივე მანქანაში იმყოფებოდა, გენერალური პროკურატურის ოფიციალურ პირებს განუცხადა, რომ ელდარ კონენიშვილმა უთხრა მას, რომ ის სცემეს, თუმცა სერიოზული დაზიანება არ მიუღია.

ბრიფინგზე ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ, ელენე თევდორაძემ, მოუწოდა გენერალური პროკურატურას ელდარ კონენიშვილის მიერ დასახელებული პოლიციის თანამშრომლისათვის შეეწყვიტათ სამსახურებრივი უფლებამოსილება გამოძიების მიმდინარეობის პერიოდში.

2005 წლის 29 აპრილს გელა ნიკოლეიშვილმა საერთაშორისო ამნისტიას განუცხადა - “გენერალურმა პროკურატურამ რამდენჯერმე დაკითხა ელდარი ცემასთან დაკავშირებით, ისე რომ მე არ შემატყობინეს. მათ მითხრეს, რომ არ იცოდნენ თუ მე ვიყავი მისი იურიდიული წარმომადგენელი, თუმცა მე ყველა შესაბამისი დოკუმენტაცია მქონდა ჩაბარებული ციხის ადმინისტრაციისათვის, ამდენად, მათ ეს ინფორმაცია საქმეში უნდა ჰქონოდათ.” 2005 წლის 21 ოქტომბერს გელა ნიკოლეიშვილმა საერთაშორისო ამნისტიას შეატყობინა, რომ “ის ადამიანები, ვინც კონენიშვილი სცემეს, ისევე თავიანთ თანამდებობებზე არიან და არავისთვის წაუყენებიათ ბრალდება.”

2005 წლის 10 ნოემბერს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის განყოფილებამ საერთაშორისო ამნისტიას ამცნო, რომ ელდარ კონენიშვილის გურჯაანის პოლიციაში სასტიკ მოპყრობასთან დაკავშირებით წარმოებული გამოძიების ფარგლებში დაიკითხა 30 მოწმე და ჩატარდა იმ ადგილის დათვალიერება, სადაც მას სავარაუდოდ სასტიკად მოეპყრნენ. მაგრამ, ადამიანის უფლებათა დაცვის განყოფილების თანახმად, “დროის გასვლის გამო [. . .] ნივთმტკიცებების ამოღება გართულებულია”.

ნიკოლოზ ოქრუაშვილის საქმე აჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პოლიციის თანამშრომელთა უფლებამოსილების შეჩერება, როდესაც მკაფიო ნიშნებია იმისა, რომ ისინი აწამებდნენ ან სასტიკად ეპყრობოდნენ დაკავებულს. ნიკოლოზ ოქრუაშვილის მიერ დასახელებული პოლიციის არცერთი თანამშრომელი, რომელმაც ცნობისამებრ აწამა იგი 2003 წლის აპრილში, არ მოუხსნიათ თანამდებობიდან და არავის წარედგინა ბრალდება დაზარალებულის მიერ გაკეთებული განცხადებების და საჩივრების საფუძველზე. თუმცა, სხვა ცნობით, 2005 წელს ბრალი წაეყენა ერთერთ მონაწილე პოლიციელს დხვა დაკავებულის მიმართ სასტიკი მოპყრობის გამო, ნიკოლოზ ოქრუაშვილის მიერ საჩივრის შეტანის შემდგომ.¹²⁵

ნიკოლოზ ოქრუაშვილი პოლიციამ 2003 წლის 22 აპრილს დააკავა და ბრალად დასდო 12 აპრილს თბილისში, გორგასლის ქუჩაზე მდებარე მალაზიის გაძარცვა. მისმა ადვოკატმა, ზურაბ ჯორჯიაშვილმა საერთაშორისო ამნისტიას უამბო - “სამინისტროს განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთან ბრძოლის დეპარტამენტის ექვსმა თანამშრომელმა აწამეს ის ელექტროშოკით, ჩამოაცვეს აირწინალი და გადაუკეტეს ჰაერის წყარო. შედეგად, მან გონება რამდენიმეჯერ დაკარგა.” როგორც აღინიშნა, პირველ დაკითხვებს, როდესაც მან “აღიარებას” მოაწერა ხელი, ადვოკატი არ ესწრებოდა.

¹²⁵ სატელეფონო საუბარი ნიკოლოზ ოქრუაშვილის ადვოკატ ზურაბ ჯორჯიაშვილთან, 2005 წლის 13 სექტემბერს.

ნიკოლოზ ოქრუაშვილის საქმის განხილვისას, 2003 წლის 24 აპრილს მთაწმინდა კრწანისის რაიონულ სასამართლოში მოსამართლემ ჰკითხა ნიკოლოზ ოქრუაშვილს, თუ სად მიიღო მან ის დაზიანებები, რომლებიც ჯერ კიდევ თვალსაჩინო იყო. მან აუხსნა, რომ ის აწამეს შინაგან საქმეთა სამინისტროში და მას შეეძლო ამოეცნო ექვსიდან ოთხი თანამშრომელი, რომლებმაც ის აწამა. მოსამართლემ დაადგინა, რომ დაწვებულიყო გამოძიება ამ განცხადებების საფუძველზე. 2003 წლის 24 ან 25 აპრილს ნიკოლოზ ოქრუაშვილის № მე-5-ე საგამოძიებო იზოლატორში გადაყვანისას ჩატარებული სამედიცინო შემოწმების თანახმად, მას აღენიშნებოდა რამდენიმე დაზიანება, მათ შორის დაღურჯება მარცხენა თვალთან, თავის უკანა ნაწილსა და მარცხენა მუხლზე. მისი ადვოკატის ცნობით, მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა პროკურატურამ არ აღძრა სისხლის სამართლის საქმე რაკი, მისი 26 ივნისის განცხადებით, მათ მიერ ჩატარებულმა წინასწარმა გამოძიებამ დაადგინა, რომ “დანაშაულს ადგილი არ ჰქონია.”

2004 წლის 16 ივნისს, სულ დაახლოებით რვა თვის შემდეგ იმის შემდეგ, რაც ნიკოლოზ ოქრუაშვილის ადვოკატმა გაასაჩივრა პროკურატურის გადაწყვეტილება წამების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის არ აღძვრასთან დაკავშირებით, მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ მიიღო სარჩელი და რაიონულმა პროკურატურამ 10 აგვისტოს აღძრა სისხლის სამართლის საქმე ნიკოლოზ ოქრუაშვილის მიმართ “თანამდებობრივი უფლებამოსილების გადაჭარბებასთან დაკავშირებით [. . .] სხეულის დაზიანებასთან მიმართებაში.”¹²⁶ თუმცა, პოლიციის არცერთი თანამშრომელს ბრალდება არ წარდგენია და გამოძიება შეწყდა 2004 წლის 10 ნოემბერს, “რადგან სისხლის სამართლის [. . .] პასუხისგებაში მისაცემი [. . .] ადამიანების პიროვნება ვერ იქნა დადგენილი.”¹²⁷ მიღებული ცნობით, ნიკოლოზ ოქრუაშვილსა და მის ადვოკატს არ მიეცა უფლება ენახათ წამების ფაქტზე წარმოებული გამოძიების დოკუმენტები.

2004 წლის 12 ივლისს მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ნიკოლოზ ოქრუაშვილს მიესაჯა ექვსი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა. მისი ადვოკატის ზურაბ ჯორჯიაშვილის ცნობით, წამებისას ოქრუაშვილის მიერ გაკეთებული განცხადებები ძარცვაში მონაწილეობის თაობაზე გამოყენებულ იქნა მის საწინააღმდეგო მტკიცებულებად სასამართლოში, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ წამების საწინააღმდეგო კონვენციით აღებულ ვალდებულებებს.

2005 წლის 13 იანვარს პროკურატურამ ნიკოლოზ ოქრუაშვილის ადვოკატს შეატყობინა, რომ წამების შესახებ გაკეთებული განცხადებების საფუძველზე ჩატარდა გამოძიება, მაგრამ ვერ დადგინდა დამნაშავე. ადვოკატმა გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება და მისი განცხადებით, 2005 წლის 7 მარტს გენერალურმა პროკურატურამ განაახლა გამოძიება წამების ფაქტზე. გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის განყოფილებამ საერთაშორისო ამნისტიას შეატყობინა, რომ საქმე 2005 წლის 22 ივნისს გადაეგზავნა ქ. თბილისის საქალაქო პროკურატურას შემდგომი გამოძიებისთვის.¹²⁸

2005 წლის ივნისში, სააპელაციო მოსმენაზე, თბილისის საოლქო სასამართლომ შეამცირა ნიკოლოზ ოქრუაშვილის სასჯელი სამ წელსა და ექვს თვემდე თავისუფლების აღკვეთით. ის “აღიარება”, რომელიც, მისი თქმით, წინასწარ

¹²⁶ საერთაშორისო ამნისტიამ ინფორმაცია მიიღო გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის განყოფილებიდან წერილობით, 2005 წლის 10 ნოემბერს.

¹²⁷ საერთაშორისო ამნისტიამ ინფორმაცია მიიღო გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის განყოფილებიდან წერილობით, 2005 წლის 10 ნოემბერს.

¹²⁸ საერთაშორისო ამნისტიამ ინფორმაცია მიიღო წერილობით, 2005 წლის 10 ნოემბერს.

დაკავებისას ძალადობრივად იყო მოპოვებული, ამოღებულ იქნა საქმიდან, როგორც მტკიცებულება. ზურაბ ჯორჯიაშვილის თქმით, თბილისის საოლქო სასამართლომ იმიტომ შეამცირა სასჯელის ვადა, რომ მისი კლიენტი იყო წამებისა და სასტიკი მოპყრობის მსხვერპლი წინასწარი დაკავებისას. ყველაფრის მიუხედავად, ამ საქმესთან დაკავშირებით პოლიციის არცერთი თანამშრომელს არ შეჩერებია თანამდებობრივი უფლებამოსილება და არავის წაყენებია ბრალდება.

სასჯელის სიმძიმის შესაბამისობა დანაშაულის სიმძიმესთან

იმ 14 პოლიციელთაგან, რომლებიც ვარდების რევოლუციის შემდეგ გასამართლდნენ და დაისაჯნენ დაკავებულებზე ფიზიკური ძალადობისათვის, რამდენიმეს თავისუფლების აღკვეთის საგრძნობი ვადები მიესაჯათ. თუმცა, იმის მიუხედავად, რომ 14-დან ოთხს თავიდან სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ, მათ მოგვიანებით სასჯელი პირობითი ფორმით შეეცვალათ და პრობაციული ზედამხედველობით განთავისუფლდნენ.¹²⁹ ამათგან სამს ჩამოერთვა ერთი წლის განმავლობაში ოფიციალური თანამდებობის დაკავების უფლება.¹³⁰ საერთაშორისო ამნისტიისთვის გაუგებარია, თუ რა იყო პრობაციის პირობით მათი გათავისუფლების საფუძველი. ყველა შემთხვევაში საერთაშორისო ამნისტია მოუწოდებს ხელისუფლებას უზრუნველყოს წამებისა და სასტიკი მოპყრობის ყველა საქმეში სასჯელის სიმძიმის - დანაშაულის სიმძიმესთან შესაბამისობა.

თანამდებობაზე არ აღდგენა

ამჟამად საკმაოდ გაურკვეველი და საკმაოდ წინააღმდეგობრივია სამართლებრივი სიტუაცია ისეთ საკითხში, როგორცაა წამებასა და სასტიკ მოპყრობაში სჯავრდადებულ დამნაშავე პირთა ისეთ ძველ სამუშაო ადგილებზე აღდგენა, სადაც მათ კვლავაც შეეძლებათ ადამიანის უფლებათა დარღვევა. 1993 წლიდან მოქმედი პოლიციის შესახებ კანონის მიხედვით კრიმინალური წარსულის მქონე პირები არ დაიშვებიან პოლიციის რიგებში სამუშაოდ, მაგრამ 2005 წლის აგვისტოს ძალაში შესული სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლი უშვებს ამგვარ შესაძლებლობას. ამ მუხლის თანახმად, თუ “წამება” ან “არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა” ჩადენილია საჯარო მოხელის მიერ, დანაშაული შეიძლება დაისაჯოს გარკვეული თანამდებობის დაკავების უფლების ან გარკვეული პროფესიული საქმიანობის განხორციელების შეზღუდვით ხუთ წლამდე ვადით, რაც ემატება პატიმრობას და/ან ჯარიმას.¹³¹ მოსამართლეს ენიჭება უფლება განსაზღვროს, საჭიროა თუ არა და რა ვადით უნდა შეეზღუდოს უფლებამოსილება წამებისა და სასტიკი მოპყრობისათვის მსჯავრდებულ დამნაშავეს.

საერთაშორისო ამნისტია მიიჩნევს, რომ წამებასა და სასტიკ მოპყრობაში მსჯავრდებული სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლები უნდა დაისაჯონ დანაშაულის სიმძიმესთან შესაბამისი ადმინისტრაციული სასჯელითაც. დისციპლინარული სანქციების არჩევანი უნდა მოიცავდეს სამუშაოდან აღდგენის შესაძლებლობის გარეშე გათავისუფლების შესაძლებლობას.

¹²⁹ სასჯელი შეიცვალა სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლით (“პირობითი სასჯელი”) და 64-2 მუხლით (“პრობაცია”)

¹³⁰ ამ საქმეებთან დაკავშირებით ინფორმაცია მოგვაწოდა გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის განყოფილებამ, 2005 წლის 10 ნოემბერს.

¹³¹ კანონი პოლიციის შესახებ, თავი 6, მუხლი 20, ნაწილი 5ა.

წამების დანაშაულის ხანდაზმულობის შეზღუდვის გაუქმება

საერთაშორისო ამნისტია ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ, რადგან წამების დანაშაულის სტატუსი საერთაშორისო სამართალში აბსოლუტურ ნორმით რეგულირდება, არ უნდა არსებობდეს წამების დანაშაულის ვადაგასულების შემზღუდავი მუხლი.

საქართველოს კანონმდებლობაში ცნობს წამებისა და სასტიკი მოპყრობისათვის სისხლის სამართლებრივი დევნის შემზღუდავ პირობას. დროის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეზე. თუ წამებაში ბრალდებული პირი სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელია, შეზღუდვის მუხლი ადის მაქსიმუმ 25 წლამდე. საერთაშორისო ამნისტია მოუწოდებს საქართველოს კანონმდებლებს, გააუქმოს წამების დანაშაულის დასჯის ვადის შემზღუდავი მუხლი.

რეპარაცია

წამების საწინააღმდეგო კონვენციის მე-14-ე მუხლის თანახმად “თითოეულმა მონაწილემ სახელმწიფომ მის სამართლებრივ სისტემაში უნდა უზრუნველყოს, რომ წამების მსხვერპლმა მიიღოს ანაზღაურება და იქონიოს სამართლიანი და ადეკვატური კომპენსაციის ხელშეწყობილი უფლება, ყველა იმ საშუალების ჩათვლით, რაც საჭიროა შეძლებისდაგვარად სრული რეაბილიტაციისათვის. წამების შედეგად მსხვერპლის სიკვდილის შემთხვევაში, კომპენსაციის მიღების უფლება ენიჭება მის კმაყოფილებაზე მყოფ პირებს.” 2002 წლის აპრილის დასკვნით დაკვირვებებსა და მეორე პერიოდულ ანგარიშში (გაეროს) ადამიანის უფლებათა კომიტეტმა კონკრეტულად მოუწოდა მთავრობის პირებს, უზრუნველყონ “წამებისა და სასტიკი მოპყრობის მსხვერპლთა შესაბამისი კომპენსაცია”.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევის მსხვერპლთათვის ანაზღაურებისა და რეპარაციის უფლების ძირითადი პრინციპები და წესები¹³² ანაზღაურების ხუთ ფორმას გამოარჩევს. ეს არის: რესტიტუცია,¹³³ კომპენსაცია,¹³⁴ რეაბილიტაცია,¹³⁵ დაკმაყოფილება¹³⁶ და არ განმეორების გარანტიები.¹³⁷

¹³² ადამიანის უფლებათა კომიტეტის რეზოლუცია 2005/35. UN Doc. E/CN.4/2005/L.10/Add.11, 2005 წლის 19 აპრილი.

¹³³ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლითა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით გათვალისწინებული უფლების დარღვევების მსხვერპლთათვის რეპარაციისა და დახმარების ძირითადი წესების მე-19-ე მუხლის თანახმად, “რესტიტუციამ, როდესაც ეს შესაძლებელია, უნდა აღადგინოს მსხვერპლის თავდაპირველი მდგომარეობა, როგორც ეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლითა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით გათვალისწინებული უფლების დარღვევამდე იყო. რესტიტუცია მოიცავს თავისუფლების აღდგენას, ადამიანის უფლებების დაცვას, პიროვნების, ოჯახური ცხოვრებისა და მოქალაქეობის აღდგენას, საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებას, სამუშაო ადგილზე აღდგენას და კერძო საკუთრების დაბრუნებას.”

¹³⁴ მე-20-ე მუხლის თანახმად, “კომპენსაცია უნდა გაიცეს ეკონომიკურად შეფასებად ზარალზე და პროპორციულად უნდა შეესაბამებოდეს თითოეული დარღვევის სიმძიმეს და გამომდინარეობდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლითა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით გათვალისწინებული უფლების სერიოზული დარღვევიდან.”

¹³⁵ 21-ე მუხლის თანახმად, “რეაბილიტაცია უნდა მოიცავდეს სამედიცინო და ფსიქოლოგიურ მკურნალობას და იურიდიულ და სოციალურ მომსახურებას”.

¹³⁶ როგორც 22-ე მუხლი განსაზღვრავს, დაკმაყოფილება, სადაც შესაძლებელია, უნდა მოიცავდეს ისეთ ნაბიჯებს, როგორცაა “ეფექტური ღონისძიებები განგრძობადი დარღვევების

საქართველოს კონსტიტუცია საერთაშორისო სამართლითა და სტანდარტებით გათვალისწინებულ მხოლოდ რამდენიმე ასპექტს ითვალისწინებს. 42-ე (9) მუხლის თანახმად, “ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო თვითმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან.” კონსტიტუცია არც კონკრეტულ მითითებას შეიცავს წამების მიმართ, როგორც ზარალის ფორმაზე და არც მოითხოვს რეაბილიტაციას ან რეპარაციის სხვა ფორმას. ინდივიდუალურ პირებს აქვთ უფლება შეიტანონ სარჩელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, თუ ისინი თვლიან, რომ მათ მიმართ გამოყენებული კანონი არ არის კონსტიტუციური. თუმცა, ეს სასამართლო არ არის უფლებამოსილი გასცეს ანაზღაურების განაჩენი ფუნდამენტური უფლებების დარღვევისათვის. შესამართლო პროცესის წარმოების უფლების განხორციელება შესაძლოა სისხლის სამართლისა ან სამოქალაქო საქმის აღძვრის მეშვეობით.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ადამიანი, რომელსაც მიაღდა ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზარალი უკანონო ქმედებების შედეგად, მათ შორის დაუსაბუთებელი დაპატიმრების და სხვა “სისხლის სამართლის პროცედურული ორგანოების მიერ უკანონო ან შემთხვევითი ქმედებების” გზით, უფლებამოსილია მიიღოს კომპენსაცია.

საერთაშორისო ამნისტია მოუწოდებს ხელისუფლებას შეიტანოს ცვლილება კანონმდებლობაში, რათა მიეცეს საშუალება წამების მსხვერპლთ და მათი ოჯახის წევრებს და მათზე დამოკიდებულ პირებს, მიიღონ დროული რეპარაცია სახელმწიფოსაგან, რაც უნდა მოიცავდეს რესტიტუციას და სამართლიანსა და ადეკვატურ ფინანსურ კომპენსაციას, და ასევე შესაბამისი სამედიცინო მკურნალობას და რეაბილიტაციას.

საერთაშორისო ამნისტია ამჯერად არ იცნობს შემთხვევებს, რომლებშიც წამებისა და სასტიკი მოპყრობის მსხვერპლებს მიეღოთ რაიმე კომპენსაცია. არასამთავრობო ორგანიზაციამ ლედრესს, თავის ანგარიშში, სახელწოდებით “საქართველო გზაჯვარედინზე – დროა უზრუნველყოფილ იქნას პასუხისმგებლობა და სამართლიანობა წამების ფაქტებზე”, რომელიც გამოიცა 2005 წლის აგვისტოში, განაცხადა, რომ “წამებას გადარჩენილი ადამიანები [. . .] ხშირად ოფიციალური მკურნალობისა და რეპარაციის გარეშე არიან მიტოვებულნი, არ იღებენ არც რეაბილიტაციას, რაც იძულებულს ხდის მათ სანაცვლოდ დაეყრდნონ არასამთავრობო ორგანიზაციების სარეაბილიტაციო ცენტრების მიერ მიწოდებულ დახმარებას.”

საერთაშორისო ამნისტია შეშფოთებულია, რომ წამებისა და სასტიკი მოპყრობის მსხვერპლნი, რომელთა მიმართ დანაშაულის ჩამდენებს არ უგიათ პასუხი სამართლის წინაშე, ამჟამად არ არიან უფლებამოსილნი მიიღონ რაიმე სახის რეპარაცია. წამების მუხლით აღძრული საქმეების გამოძიებათა რიცხვთან შედარებით, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ აღრიცხული შემთხვევების რაოდენობასთან შედარებით, დამნაშავეთა რეალურად დასჯის შემთხვევათა რიცხვი

შეწყვეტისათვის”, “საჯარო ბოდიშის მოხდა, მათ შორის ფაქტების აღიარება და პასუხისმგებლობის აღება”.

¹³⁷ არ-გამორების გარანტია, სადაც შესაძლებელია, უნდა მოიცავდეს ისეთ ნაბიჯებს, როგორცაა “სასამართლო სისტემის გაძლიერება,” “ქვეყნის კოდექსისა და ეთიკური ნორმების დაცვის გაძლიერება, განსაკუთრებით საერთაშორისო სტანდარტების, საჯარო მოხელეთა მიერ, მათ შორის სამართალდამცავების, სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლების, მედიის, სამედიცინო, ფსიქოლოგიური, სოციალური სამსახურებისა და სამხედრო პერსონალის, აგრეთვე ეკონომიკური დაწესებულებების მიერ.”

მეტად მცირეა. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა აცნობიერებს სისტემაში არსებულ ნაკლებს, რაც არ იძლევა საშუალებას დადგინდეს დამნაშავეთა ვინაობა, საბოლოო ჯამში სწორედ წამების მსხვერპლს უწევს შედეგებთან შეგუება. საერთაშორისო ამნისტიას მიაჩნია, რომ ვიდრე არ იქნება ჩამოყალიბებული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დროულ, სრულფასოვან და მიუკერძოებელ გამოძიებას წამებისა და სასტიკი მოპყრობის ყველა ცნობის საფუძველზე, რომელიც დასრულება წარმატებით და წამების ფაქტის დადასტურების შემთხვევაში დასჯის ყველა დამრღვევს, სახელმწიფომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა სისტემაში არსებულ ხარვეზების გამო და უნდა უზრუნველყოს სამართლებრივი საშუალებები, რათა მსხვერპლებმა შეძლონ შესაბამისი დახმარების მიღება.

თუმცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ამბობს, რომ “დამრღვევის დადგენის შეუძლებლობა არ აუქმებს სამოქალაქო სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას” და რომ ასეთ შემთხვევაში “სარჩელი ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შეიძლება შეტანილ იქნას სახელმწიფოს სახელზე სამოქალაქო სამართალწარმოებაში”, ამ მუხლის ძალაში შესვლა პარლამენტის მიერ სამჯერ იქნა გადადებული. საერთაშორისო ამნისტიის ინფორმაციით, 2005 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, ზემოთაღნიშნული პუნქტი ძალაში უნდა შევიდეს 2006 წლის 1 იანვრიდან და ჩვენი ორგანიზაცია მოუწოდებს კანონმდებლებს უზრუნველყონ დათქმული ვადების დაცვა.

გამოძიების, სასამართლოს და პროკურატურის მონიტორინგის მექანიზმის შექმნა

ზემორე თავებში საერთაშორისო ამნისტიამ ყურადღება გაამახვილა სისასტიკისგან სამართლებრივი დაცვის მექანიზმების ნაკლოვანებებზე და წამებისა და სასტიკი მოპყრობის შესახებ ცნობების საფუძველზე გამოძიების ჩატარების სფეროში არსებულ ხარვეზებზე.

ხელისუფლების ორგანოებს საერთაშორისო ამნისტია ურჩევს, ჩამოაყალიბოს პოლიციის, პროკურატურისა და სასამართლოსაგან დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც დეტალურად შეისწავლის სამართალდამცავი ორგანოების მიერ წამებისა და სასტიკი მოპყრობის შემთხვევების ყველა ფაქტზე ჩატარებულ გამოძიებებს და ასეთი საქმეების პროცედურულ საკითხებს. ამ ორგანოს უნდა მიეცეს საშუალება დაესწროს წინასწარ განხილვებსა და სასამართლო პროცესებს, იკვლიოს გამოძიებისა და სხვა შესაბამისი პროცესები. გარდა ამისა, ამ ორგანოს უნდა მიეცეს უფლებამოსილება წარმოადგინოს თავისი დასკვნები და მისცეს რეკომენდაციები შესაბამის უწყებებს და გამოაქვეყნოს ანგარიში საჯარო განხილვისთვის.

რეკომენდაციები

საქართველოს ხელისუფლებას

- წამებისა და სასტიკი მოპყრობის აღმოფხვრა შენარჩუნებულ იქნას ხელისუფლების სტრატეგიულ პრიორიტეტად.
- დროულად და სრულად შესრულდეს რეკომენდაციები ისეთი სამთავრობათაშორისო ორგანოებისა, როგორებიცაა გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაჰუმანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და სასჯელის შესახებ სპეციალური მომხსენებელი, გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, გაეროს სხვა სააგენტოები, აგრეთვე წამების, არაჰუმანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციის ევროპული კომიტეტი.
- სახალხო დამცველმა და ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ თბილისის გარეთ, საქართველოს რეგიონებში წამებისა და სასტიკი მოპყრობის აღმოფხვრას.
- დროულად ჩამოყალიბდეს ეროვნულ დონეზე წამების პრევენციის მექანიზმ(ებ)ი, რომელიც უზრუნველყოფს გაეროს წამების, სასტიკი და არაჰუმანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის საწინააღმდეგო კონვენციის არჩევითი პროტოკოლით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნის შესრულებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ამ მექანიზმს ჰქონდეს ფუნქციური დამოუკიდებლობა; რომ მექანიზმში ჩართულ წევრებს გააჩნდეთ საჭირო უნარები და პროფესიული ცოდნა; რომ ისინი იყვნენ დამოუკიდებლები, ხოლო მათი შერჩევა ხორციელდებოდეს გამჭვირვალე წესით.
- უზრუნველყოფილ იქნას სასამართლოების სრული დამოუკიდებლობა.

წამებისა და სასტიკი მოპყრობის საქმეები დღის სინათლეზე იქნას გამოტანილი

- უზრუნველყოფილ იქნას ადექვატური დაცვა იმ დაკავებულთათვის, ვინც შეიტანენ საჩივარს წამების ან სასტიკი მოპყრობის თაობაზე, რათა მათ ჰქონდეთ საშუალება საჩივარი შეიტანონ სამომავლო დევნისა ან შურისძიების შიშის გარეშე.
- გაიზარდოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული დაკავების ადგილების მონიტორინგის არეალი თბილისის გარეთ, ქვეყნის რეგიონებში.
- მონიტორებმა უნდა ჩამოართვან ჩვენება და დააფიქსირონ ყველა განცხადება იმ დაკავებულების, რომელთა განცხადებით ისინი აწამეს ან სასტიკად მოეპყრნენ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ სხეულზე არ აღენიშნებათ შესამჩნევი დაზიანების კვალი. ინფორმაცია ასეთი შემთხვევების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს შესაბამის ორგანოებს გამოძიებისათვის.
- მონიტორებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა გასაუბრება, რომელსაც ისინი ჩაატარებენ დაკავებულებთან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, მოხდეს განცალკევებულ პირობებში.

სამართლებრივი დაცვის გარანტიები და მათი განხორციელება

- კონსტიტუციაში შეტანილ იქნას ცვლილება, რომელიც აბსოლუტურად აკრძალავს წამებას და რომლის თანახმად არანაირი განსაკუთრებული პირობები არ იქნება წამების გასამართლებელ გარემოება, როგორც ამას მოითხოვს წამების საწინააღმდეგო კონვენციის მუხლი 2 (2).
- მიენიჭოს პრიორიტეტული მნიშვნელობა ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული სამართლებრივი დაცვის გარანტიებს, რომლებიც ეხება წამებასა და სასტიკ მოპყრობას. გამოძიებულ იქნას ყველა განცხადება, რომელთა თანახმადაც დაირღვა სამართლებრივი დაცვის გარანტიები, ხოლო ეჭვმიტანილები მიცემულ იქნენ პასუხისგებაში.
- უზრუნველყოფილ იქნას თანამედროვე კანონმდებლობის ამსახველი ტექსტების ხელმისაწვდომობა სპეციალისტების, სამართალდამცავებისა და საზოგადოებისათვის საქართველოს მთელს ტერიტორიაზე. ამ მხრივ, აუცილებელია დროულად ითარგმნოს საკანონმდებლო მასალა შესაბამის უნციტრესობათა ენებზე.
- უზრუნველყოფილ იქნას, რომ დაკავებულებს დაპატიმრებისთანავე დროულად ეცნობოთ ყველა გასაჩივრების მექანიზმის შესახებ, - მათ შორის სახალხო დამცველის ინსტიტუტის შესახებ, - რაც კი მათ განკარგულებაშია, თუკი მათ დაკავების პერიოდში განიცადეს წამება ან სასტიკი მოპყრობა. მაგალითად, გადაეცეს დაკავებულებს ინფორმაციული ბროშურა მათთვის გასაგებ შესაბამის ენაზე, ხოლო ამ ინფორმაციის შემცველი პლაკატები პოლიციის განყოფილებებსა და წინასწარი დაკავების დაწესებულებებში თვალსაჩინო ადგილას გამოეკრას.
- უზრუნველყოფილ იქნას, რომ ყველა დაკავებულს ჰქონდეს ადვოკატის დროული დახმარების მიღების საშუალება, დაკავების მომენტიდან და სისხლის სამართლის პროცედურების განხორციელების ყველა ეტაპზე.
- უზრუნველყოფილ იქნას, რომ ყველა დაკავებულმა, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, გაიაროს სამედიცინო შემოწმება წინასწარი დაკავების ყველა დაწესებულებაში შესვლისას.
- უზრუნველყოფილ იქნას, რომ ყველა ექიმს, რომელიც სინჯავს დაკავებულს წინასწარი დაკავების დაწესებულებაში, ჰქონდეს ფორმალური და დე-ფაქტო დამოუკიდებლობა და უზრუნველყოფილი იყოს სპეციალური წვრთნით.
- ჩატარდეს დროული სპეციალიზირებული სამედიცინო შემოწმება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ცნობა წამებისა და სასტიკი მოპყრობის ფაქტის თაობაზე (ფსიქოლოგიური ხასიათის სასტიკი მოპყრობის ჩათვლით).
- ჩატარდეს სამედიცინო შემოწმება განცალკევებით, ექიმის კონტროლის ქვეშ და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა ან სხვა სახელმწიფო მოხელეების დაუსწრებლად. გაუპატიურების ან სხვა ფორმის სექსუალური ძალადობის შემთხვევაში, შემოწმების ჩატარებისთვის მოწვეული სპეციალისტი უნდა იყოს იგივე სქესის, როგორც მსხვერპლი, თუ ამას სხვაგვარად არ მოითხოვს დაკავებული.
- აუდიო, ან უმჯობესია ვიდეო ჩაწერის საშუალება იყოს ხელმისაწვდომი ყველა დაკითხვისას და უზრუნველყოფილ იქნას საჭირო ტექნიკური მოწყობილობის ხელმისაწვდომობა.

- შეიქმნას პოლიციის მიერ დაკითხვების დროს გამოსაყენებელი ქცევის კოდექსი და პოლიციის უთიკის კოდექსი. ჩატარდეს ტრენინგი კოდექსების შესრულებაზე.
- დაევალოთ მოსამართლეებს რეგულარულად შეეკითხონ პოლიციის ზედამხედველობიდან სასამართლოში წარდგენილ პირებს, ხორციელდებოდა თუ არა მათ მიმართ პოლიციის მხრიდან წამება და სასტიკი მოპყრობა.
- სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები გაიწვრთნან წამების გარეშე გამოძიების მეთოდების გამოყენებაში, მათ ასევე ესწავლოთ დაკავების დროს მხოლოდ კანონიერი და პროპორციული მეთოდების გამოყენება.
- ჩატარდეს მრავალმხრივი ტრენინგი მოსამართლეების, პროკურორებისა და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისათვის, სადაც მათ განემარტებათ მათი ვალდებულება – პრევენციული ზომები მიიღონ და გამოიძიონ წამებისა და სასტიკი მოპყრობის შემთხვევები, დამნაშავენი კი მართლმსაჯულებას გადასცენ.

ბოლო მოვლს დაუსჯელობას

- წამებისა და სასტიკი მოპყრობის შესახებ გაკეთებული ყველა განცხადება გამოძიებულ იქნას დროულად, საფუძვლიანად და მიუკერძოებლად, რაც გულისხმობს მსხვერპლისა და ყველა თვითმხილველების გამოიკითხვას და ყველა შესაბამისი ნივთმტკიცების მოძიებას.
- გამოქვეყნდეს გამოძიებების შედეგები და დაისაჯონ დამნაშავენი.
- გაუმჯობესდეს და მოწესრიგდეს პოლიციის მიერ ჩანაწერების წარმოების სისტემა, რაც, სხვა საკითხებთან ერთად, აღწუსხავს დაკითხვებზე დამსწრე ყველა ადამიანის ვინაობას და მათი დაკავებულთან კონტაქტისა და მონახულების ზუსტ დროს.
- უზრუნველყოფილ იქნას სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიერ საიდენტიფიკაციო ნიშნების მუდმივად ტარება დაპატიმრებისას, ასევე დაკავების დაწესებულებისა და თავისუფლების აღკვეთის ადგილების მონახულებისას, და აგრეთვე დაკავებულებსა და პატიმრებთან შეხვედრისას.
- აიკრძალოს ნიღბებისა და სხვა პოლიციელის ვინაობის დამფარავი საშუალებების გამოყენება. გამონაკლისი შეიძლება დაიშვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აუცილებლობა აიხსნება პოლიციის თანამშრომლის უსაფრთხოების მოსაზრებით. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყოველ თანამშრომელს, მათ შორის სპეცდანიშნულების რაზმის წევრებსაც, ეკეთათ პირადი განმასხვავებელი ნიშანი, მაგალითად პირადი ნომერი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია პირის ამოცნობა.
- პოლიციის თანამშრომლებს, რომლებიც იმყოფებიან ადამიანის უფლებათა დარღვევის ბრალდებით გამოძიების მეთვალყურეობის ქვეშ, დაუყოვნებლივ შეუწყდეს თანამდებობრივი უფლებამოსილება მათ მიმართ დისციპლინარული და სამართლებრივი პროცედურების დასრულებამდე.
- დაიგმოს წამება და სასტიკი მოპყრობა და გადაიდგას გადამწყვეტი ნაბიჯები, რათა პოლიციამ და საზოგადოებამ დაინახოს, რომ წამებისა და სასტიკი მოპყრობის შემთხვევებისთვის შეწყნარება არ იქნება.

- პროკურორებმა და სხვა საჯარო პირებმა თავი შეიკავეს გამოძიების შედეგების გამოქვეყნებამდე გამოძიებასთან დაკავშირებული საჯარო დასკვნების გაკეთებისაგან.
- პოლიციის თანამშრომლებს მიეწოდოთ უახლესი და განახლებადი ინფორმაცია წამებასა და სასტიკ მოპყრობასთან დაკავშირებით დასჯილი და მოვალეობებისგან განთავისუფლებული პოლიციელების შესახებ.
- შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა გახადოს ინფორმაცია ინსპექციის მიერ წამებასა და სასტიკ მოპყრობასთან დაკავშირებული ცნობების გამოძიებების შესახებ. გრეთვე, გამოქვეყნდეს წამებისა და სასტიკი მოპყრობის ფაქტების გამო პოლიციის თანამშრომელთა თანამდებობიდან განთავისუფლების სტატისტიკა.
- უზრუნველყოფილ იქნას, რომ წამებისა და სასტიკი მოპყრობის საქმეებში დამნაშავეთათვის გამოტანილი განაჩენი შეესაბამება დანაშაულის სიმძიმეს.
- წამებასა და სასტიკ მოპყრობასთან გათანაბრებულ დანაშაულში ბრალდებული პოლიციელებისათვის გაცემული დისციპლინარული სანქციები შეესაბამებოდეს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. დისციპლინარული სანქციები უნდა ითვალისწინებდეს თანამდებობიდან აღდგენის გარეშე დათხოვნის შესაძლებლობას.
- გაუქმდეს წამებისთვის გასამართლების დროითი შეზღუდვის მუხლი.
- უზრუნველყოფილ იქნას, რომ წამებისა და სასტიკი მოპყრობის მსხვერპლთა და წამების შედეგად დაღუპულ პირთა ნათესავებს ჰქონდეთ შეუფერხებელი შესაძლებლობა მიიღონ ზარალის ანაზღაურება და განახორციელონ თავიანთი უფლება რეპარაციის მიღებაზე, რომელიც უნდა მოიცავდეს სამართლიან და ადეკვატურ კომპენსაციას, რესტიტუციას, რეაბილიტაციას, დაკმაყოფილებასა და არ-განმეორების გარანტიას, ხოლო ყველა დაკავებულს ეცნობოს ამ უფლების არსებობის შესახებ.
- პარლამენტმა უზრუნველყოს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-4-ე ნაწილი, კომპენსაციის შესახებ, შევიდეს ძალაში 2006 წლის 1 იანვარს, როგორც ეს ამჟამად არის დაგეგმილი.
- პროკურორებმა და გამოძიებლებმა გაიარონ სპეციალური მომზადება წამებისა და სასტიკი მოპყრობის შესახებ ცნობების საფუძველზე გამოძიების სფეროში, რაც საშუალებას მისცემს მათ გამოიძიონ ასეთი შემთხვევები დროულად, საფუძვლიანად და მიუკერძოებლად.

განხორციელდეს სამართლებრივი გარანტიების განხორციელების, წამებისა და სასტიკი მოპყრობის ცნობების საფუძველზე გამოძიების მონიტორინგი

- შეიქმნას დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც დეტალურად განიხილავს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ წამებისა და სასტიკი მოპყრობის ყველა ფაქტზე ჩატარებულ გამოძიებას და ასეთ საქმეებში სამართლებრივ პროცედურებს.
- უზრუნველყოფილ იქნას, რომ ამ ორგანოს წარმომადგენლებს ჰქონდეთ შესაძლებლობა დაესწრონ წინასწარ განხილვებსა და სასამართლო პროცესებს, იკვლიონ გამოძიებების მსგეველობა და სხვა შესაბამისი პროცედურები.

- ამ ორგანოს მიეცეს უფლებამოსილება წარმოადგინოს თავისი დასკვნები და მისცეს რეკომენდაციები შესაბამის უწყებებს, აგრეთვე გამოაქვეყნოს საჯარო ანგარიში.

საერთაშორისო თანამეგობრობას

- ყველა შესაბამის ორმხრივ და მრავალმხრივ შეხვედრებზე, მოუწოდონ საქართველოს ხელისუფლებას ზემოთ ჩამოყალიბებული რეკომენდაციების განხორციელებისკენ.
- უზრუნველყონ ფინანსური მხარდაჭერა პოლიციის წვრთნისათვის გამოძიების წამების გარეშე ჩატარების მეთოდებისა და ზედმეტი ძალის გამოყენების გარეშე დაკავების პრაქტიკული უნარების შესასწავლად.
- უზრუნველყონ ფინანსური მხარდაჭერა პროკურორების სწავლებისათვის წამების ან სასტიკი მოპყრობის ყოველ ცნობაზე დროული, საფუძვლიანი და მიუკერძოებელი გამოძიების ჩასატარებლად.
- უზრუნველყონ ფინანსური მხარდაჭერა წამების ან სასტიკი მოპყრობის ფაქტებზე საფუძვლიანი გამოძიებისთვის აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობის, მათ შორის კრიმინალოგიური ტექნიკის, შესაძენად.

ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) მიმართ:

- უზრუნველყოფილ იქნას, რომ საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა წამებისა და სასტიკი მოპყრობის აღმოსაფხვრელად ეუთოს საქართველოში მუშაობის პრიორიტეტად დარჩეს
- გაიზარდოს ადამიანის უფლებათა დარღვევის საქმეთა, განსაკუთრებით წამების, სასტიკი მოპყრობისა და/ან მათ საწინააღმდეგო სამართლებრივი გარანტიების სერიოზული დარღვევების შემთხვევების მონიტორინგი.
- რეგულარულად გამოითქვას შემოფოთება ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევებთან დაკავშირებით შესაბამის სახელისუფლებო დონეებზე.

ევროპის კავშირის (EU) მიმართ:

- უზრუნველყოფილ იქნას წამებისა და სასტიკი მოპყრობისა და დამნაშავეთა დაუსჯელობის აღმოფხვრის შესახებ რეკომენდაციების შეტანა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმაში, რომელიც შეთანხმდება საქართველოს მთავრობასთან.

